

აირჩიე პროფესია

2013 წელი

„აირჩიე პროფესია“ პროფესიული ორიენტაციის სფეროში ქართულ ენაზე გამოცემული პირველი სახელმძღვანელოა. ის განკუთვნილია ღამამთავრებელი კლასების მოსწავლეთათვის, ასევე მათთვის, ვისაც ჯერ არ აურჩევია პროფესია ან მისი შეცვლა სურს. წიგნში თავმოყრილია სასარგებლო ინფორმაცია პროფესიული ორიენტაციის სფეროში უკანასკნელ წლებში გამოცემული ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურიდან და, ასევე, პროფესიის არჩევის მსურველთათვის მომზადებული გზამკვლევებიდან.

სახელმძღვანელო მომზადებულია ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრის (PMC) მიერ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და World Vision- ის რეგიონული წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში, საქართველოს ოფისის თანამშრომლობის საფუძველზე, World Vision-ის ფინანსური მხარდაჭერით.

აირჩიე პროფესია

სამეცნიერო რედაქცია: ია კუტალაძე

ენობრივი რედაქცია: გიორგი მაჭავარიანი

დიზაინი: ქეთი ხარებავა

მასალების თარგმნაზე მუშაობდნენ:

თამარ ბენიძე, ქრისტინე კანდელაკი, გელა ლომიაშვილი, ლამარა სუხიგაშვილი, ნინო ჯორჯაძე.

აღბათ, ერთ დღეს ყველას მოუწევს დაფიქრება და იმის გადაწყვეტა, თუ რა უნდა აკეთოს მომავალში...

პროფესიის არჩევა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა ცხოვრებაში. თუ გსურთ წარმატებას მიაღწიოთ კარიერაში და საკუთარი შესაძლებლობები სრულად გამოიყენოთ, ეს წიგნი მუსტად ის არის, რაც გჭირდებათ.

სამუშაო ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოიდგინეთ, თუ 40 წლის მანძილზე სრული დაგვირთვით იმუშავებთ, სამსახურში 80 000 საათზე მეტ დროს გაატარებთ. ამიტომ მნიშვნელოვანია, არჩეული პროფესია საინტერესო იყოს თქვენთვის და გაძლევდეთ საკუთარი უნარების სრულად გამოყენების შესაძლებლობას. რა სჯობს იმას, როცა ორშაბათი დღის გათენების არ გეშინიათ, ყოველდღიურად სიხარულით მიდისართ სამსახურში და თქვენი შრომა სიამოვნებას განიჭებთ! ამის უზრუნველსაყოფად კი ის პროფესია უნდა აირჩიოთ, რომელიც წარმატების მიღწევის ყველაზე მეტ შანსს მოგცემთ და რომელიც გაინტერესებთ.

ეს წიგნი თვითგამორკვევაში დაგეხმარებათ, გაგაცნობთ კარიერასა და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მრავალმხრივ ბუნებას, საინტერესო და სახალისო სავარჯიშოები კი ხელს შეგიწყობთ პრაქტიკაში გამოიყენოთ მიღებული ცოდნა. წიგნი დაგეხმარებათ აირჩიოთ პროფესია, რომელიც თქვენი შესაძლებლობებისა და პოტენციალის სრულად რეალიზების საშუალებას მოგცემთ, დაგეხმარებათ საკუთარი თავის შეცნობასა და თქვენი ღირებულებების, ინტერესების, უნარებისა და პიროვნული მახასიათებლების გააზრებაში, რაც, შესაძლოა, თქვენთვის იდეალური სამუშაოსა და პროფესიის არჩევის საფუძველი გახდეს.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან გზაგასაყარზე სწორი არჩევანის გაკეთებას შეძლებთ.

წარმატებას გისურვებთ!

შინაარსი

შესავალი.....	5
<u>თავი 1:</u> კარიერული განვითარება.....	13
<u>თავი 2:</u> პროფესიის არჩევა – გაღაწყვებილების მიღების პროცესი.....	31
<u>თავი 3:</u> ღირებულებები.....	62
<u>თავი 4:</u> ინტერესები.....	82
<u>თავი 5:</u> უნარები.....	98
<u>თავი 6:</u> პიროვნება.....	128
<u>თავი 7:</u> სამუშაო გარემო და პროფესიული შესაძლებლობები.....	160
<u>თავი 8:</u> იდეალური სამუშაოს ძიების პროცესი.....	182

შესავალი

როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი? რატომ ირჩევთ მომავალ პროფესიას? რას მოელოთ პროფესიის დაუფლების შემდეგ?

ადამიანების უმრავლესობა პროფესიისაგან უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე მხოლოდ მაღალი ანაზღაურებაა. ჩვენ საკუთარი პროფესიისაგან კმაყოფილების მიღება გვჭირდება. კმაყოფილებას კი ადამიანს წარმატების მიღწევა, დახარჯული ენერჯისა და გაწეული შრომისათვის წახალისება, დაწინაურების შესაძლებლობა და იმის განცდა ანიჭებს, რომ რასაც ის აკეთებს, მართლაც მნიშვნელოვანია.

თანამედროვე სამყაროში ადამიანები თავიანთი ცხოვრების უდიდეს ნაწილს მუშაობაში აგარებენ. ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ სამოგადოებასთან ჰარმონიული ურთიერთობისა და საკუთარი სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია სამუშაოს ცხოვრებაში წარმატებით ინტეგრირება. სამუშაოსაგან მიღებული მხოლოდ მაგერიალური სარგებელი ვერ უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას. მუშაობის პროცესში თქვენ ასევე იკმაყოფილებთ იმგვარ ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს, როგორებიცაა, მაგალითად, საკუთარი თავის კომპეგენგურად აღქმის მოთხოვნილება და საკუთარი მნიშვნელოვნების განსაზღვრა ცხოვრებაში. სამუშაო, რომელსაც ასრულებთ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს და როგორ

აღვიქვამენ სხვები. თქვენს პირად ცხოვრებასა და სოციალურ როლზე დიდ გავლენას მოახდენს ის, თუ როგორ სამუშაოს აირჩევთ და როგორ მოახერხებთ საკუთარი სამუშაოს შერწყმას თქვენს ცხოვრებასთან.

აღბათ ბავშვობაში ბევრს უოცნებია ლეგექტივობაზე, ექიმობაზე, მომღერლობაზე, მეხანძრეობაზე და ბევრ სხვა ისეთ პროფესიაზე, რომლებსაც მოზრდილ ასაკში უკვე ფანტაზიად მიიჩნევთ. საოცნებო სამუშაო ხშირად თამაშს უფრო ჰგავს, ვიდრე – სამსახურს. მაგალითად, როცა ადამიანები იურისტობაზე ოცნებობენ, ისინი არ ფიქრობენ, რომ ერთ დღეს ქაღალდებში ჩაფლულნი გაიღვიძებენ და ზოგჯერ მომაბეზრებელ, არაკეთილსინდისიერ კლიენტთან მოუწვეთ ურთიერთობა. თუ ამ პროფესიაზე ადამიანი სერიოზულად ფიქრობს და ნამდვილად აინტერესებს, მისთვის ასეთ რთულ კლიენტთან მუშაობაც საინტერესო გამოწვევა უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში ის უბრალოდ ბავშვობის ოცნებად დარჩება... თუმცა ბავშვობა გადის და თითქმის ყველა ადამიანი უფიქრდება იმას, თუ რა უნდა აკეთოს მომავალში.

რა თქმა უნდა, ზუსტად იმის განსაზღვრა შეუძლებელია რა მოხდება მომავალში. ხშირად გვაბნევენ და გვაშინებს ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვახერხოთ ჩვენი მომავალი კარიერის დაგეგმვა. პროფესიის არჩევის მნიშვნელობის უკეთ გასააზრებლად ორ შემთხვევას განვიხილავთ: 1) ზოგიერთი ადამიანისათვის ყოველ დღით გაღვიძება და სამსახურში წასვლა მუდმივ ტანჯვას წარმოადგენს. ისინი მხოლოდ იმიტომ მუშაობენ, რომ მათგან ამას კონკრეტული გარემოებები მოითხოვს. მათ არ მოსწონთ საკუთარი საქმე, მუდმივად საათს უყურებენ, შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს და სამსახურიდან წასვლაზე ფიქრობენ. ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოყენებას, ხშირად მათი

პიროვნული თვისებები და ღირებულებები წინააღმდეგობაში მოდის შესრულებულ სამუშაოსთან, რაც უფრო აუტანელს ხდის ყოველდღიურ ცხოვრებას. 2) ამის საპირისპიროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სიხარულით მიდიან სამსახურში. სამუშაო მათთვის თვითგამოხატვის, პიროვნული ზრდის, გართობისა და სიამოვნების მიღების წყაროს წარმოადგენს. ამგვარი ადამიანებისათვის წარმოქმნილი სირთულეები უფრო საინტერესოცაა, რადგან მათ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენისა და გამოყენების საშუალება ეძლევათ. ეს ყველაფერი კი მათი ცხოვრების სხვა მხარეებზე დადებითად აისახება. ამ დროს ისინი კონკრეტული მიზნისაკენ მიისწრაფვიან და მზად არიან დაბრკოლებების დასაძლევად.

თქვენი თავი ამ ორ სიტუაციაში წარმოიდგინეთ და დაფიქრდით: როგორი მომავალი გსურთ? ამ შეკითხვაზე პასუხი ალბათ ყველასათვის ნათელია, თუმცა ისეთი პროფესიის არჩევა, რომელიც სიამოვნებას მოგანიჭებთ და თქვენთვის მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს დაგიკმაყოფილებთ, არც ისე ადვილია. ეს თქვენგან მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს.

თქვენ გაქვთ ალტერნატივა – დაგეგმეთ მომავალი იმის ნაცვლად, რომ ელოდოთ, თუ რას მოგიტანთ ხვალინდელი დღე. მომავლის წინასწარ განჭვრევა შესაძლოა რთული იყოს, მაგრამ ეს სწორედ ის არის, რაც თქვენვე შეგიძლიათ მართოთ. საკუთარი თავის შეცნობისა და აწმყოს გათვალისწინების შემდეგობით იმის მკაფიო ხედვა შეგიძლიათ ჩამოიყალიბოთ, თუ რა მიმართულებით გსურთ სვლა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ უნდა შეიმუშაოთ და განახორციელოთ სამოქმედო გეგმა, რომლის დახმარებითაც თქვენს საოცნებო კარიერას ცხადად აქცევთ.

პროფესიის არჩევისა და კარიერის შექმნის პროცესების შესწავლა დღეს ერთ დისციპლინაში, პროფესიულ ორიენტაციაში ერთიანდება.

პროფესიული ორიენტაცია საკუთარი თავის, შრომითი ბაზრისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ორგანიზება და სისტემაში მოყვანაა.

ეს ყველაფერი კი სწორი, თქვენთვის შესაფერისი პროფესიის არჩევაში გეხმარებათ. პროფესიული ორიენტაცია რამდენიმე სფეროს მოიცავს: ფსიქოლოგიას, განათლებას, სოციოლოგიას, შრომის ეკონომიკას. თუმცაღა ფსიქოლოგია პროფესიული ორიენტაციის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

პროფესიული ორიენტაცია, როგორც შრომის ფსიქოლოგიის მიმართულება, უკვე 100 წელზე მეტს ითვლის. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ მისი ჩამოყალიბება ცნობილ ამერიკელ ფსიქოლოგს ჰუგო მიუნსტერბერგს უკავშირდება. XX საუკუნის დასაწყისში მან პირველმა შეიმუშავა და გამოიყენა ფსიქოლოგიური ტესტები ადამიანების პროფესიული შესაძლებლობების შესამოწმებლად. ამ პერიოდშივე განვითარდა ფსიქოლოგიის მიმართულება – პროფესიის ფსიქოლოგია. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო წრეებში პროფესიული ორიენტაციის ისტორიის ათვლას 1903 წლიდან იწყებენ, როდესაც ფრენკ პარსონსმა საფრანგეთში, სგრასბურგში, პროფორიენტაციის პირველი კაბინეტი გახსნა. ამის შემდგომ, 1908 წელს, უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსტონში, პროფესიის არჩევის ბიურო ჩამოყალიბდა.

XX საუკუნის დასაწყისში პროფესიული ორიენტაციის „ლაბორატორიების“ ჩამოყალიბების

ძირითადი მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: ამ პერიოდში რიგ ქვეყნებში ინდუსტრია სწრაფად განვითარდა, რასაც სოფლის მცხოვრებთა ქალაქებში გადასახლება მოჰყვა. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვამ განსხვავებული მოთხოვნები გააჩინა, ცხადია, ყველას არ შეეძლო ახალ გარემოში მუშაობა. ამ პრობლემის წინაშე, პირველ რიგში, დამსაქმებლები დადგნენ – არსებული სამუშაო ძალიდან მათ ყველაზე შესაფერისი ადამიანები უნდა ამოერჩიათ. ამავე დროს მრავალფეროვანი სამუშაოებისა და მაღალი კონკურენციის ფონზე დასაქმების მსურველებსაც გაუჭირდათ სამსახურის პოვნა. ამის გამო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სპეციალური პროფორიენტაციული სამსახურები შეიქმნა, რომლებიც დამსაქმებლებს სასურველი მონაცემების მქონე კადრების შერჩევაში, ხოლო სამსახურის მაძიებლებს შესაფერისი სამსახურის მოძებნაში ეხმარებოდნენ.

პროფესიული ორიენტაცია განსაკუთრებით აქტუალური დამამთავრებელ კლასებში ხდება, როდესაც უნდა გადაწყვიტოთ, თუ რა მიმართულებით წახვალთ სკოლის დამთავრების შემდეგ – განაგრძობთ სწავლას თუ რაიმე საქმიანობით დაკავდებით. შესაბამისად, უკვე უნდა გქონდეთ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა გიპის სამუშაო შეგეფერებათ ან რა პროფესიის დაუფლება გსურთ. თუმცა სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიული ორიენტაციის პროცესი არ სრულდება. შესაძლოა უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში მრავალი ისეთი საგნისა თუ მიმართულების შესწავლა მოგიხდეთ, რომლებმაც თქვენი არჩევანის შეცვლა გამოიწვიოს, კონსულტაციის გარეშე კი სწორი გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდებათ.

კარიერის დაგეგმვასა და პროფესიასთან დაკავშირებულ რჩევებს მხოლოდ მოსწავლეები და სტუდენტები არ საჭიროებენ, ამ პროცესებში ჩართვა მნიშვნელოვანია როგორც დასაქმებული, ისე უმუშევარი

ზრდასრული ადამიანებისათვისაც. შესაძლოა, დასაქმებულებმა პროფესიის ან საქმიანობის სფეროს შეცვლა მოინდომონ, რაც ადვილი გადასაწყვეტი არ არის. პროფესიონალის რჩევები ასეთ ადამიანებს შესაფერისი გადაწყვეტილების მიღებასა და სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვაში ეხმარება. რაც შეეხებათ უმუშევრებს, პროფკონსულტანგის მომსახურება და კარიერის სახელმძღვანელოები მათ საკუთარი ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების გამორკვევაში, დამსაქმებლების მოთხოვნებისა და შრომითი ბაზრის გაანალიზებაში, კვალიფიკაციის ასამაღლებელი საშუალებებისა და სამუშაოს მოძიებაში ეხმარება. თანამედროვე ხედვის თანახმად, კარიერის დაგეგმვა და პროფესიული ორიენტაცია პროცესს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ერთჯერადი არჩევანის გაკეთებას კი არ გულისხმობს, არამედ კარიერის მართვის უნარების განვითარებას, გადაწყვეტილების მიღების ხერხების შესწავლასა და ამ ყველაფრის მთელი ცხოვრების მანძილზე გამოყენებას მოიცავს.

პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობას მრავალი კვლევა ადასტურებს. კვლევების მონაცემები ასეთია: პროფესიული ორიენტაცია ხელს უწყობს სამუშაოს შესახებ ინფორმაციის მოძიების აქტივობების ზრდას, აუმაღლებს შრომის ბაზრის ეფექტიანობას. დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილ უნარებთან და კომპეტენციასთან ინდივიდის შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის შესაბამისობა შრომით ეფექტიანობას განაპირობებს; პროფესიული ორიენტაცია ამცირებს უმუშევრობის დონესა და სამსახურის თვითნებურად მიტოვების შემთხვევებს; უბიძგებს უმუშევარ ადამიანებს აიმაღლონ კვალიფიკაცია, მოძებნონ ახალი გიპის სამუშაო და ა. შ. პროფესიულმა ორიენტაციამ შეიძლება განათლების ხელმისაწვდომობა და განათლების სისტემის

გამჭვირვალობა გაზარდოს; დაეხმაროს სასწავლებლებს მოსწავლეთა/სტუდენტთა საჭიროებების შესწავლასა და დაკმაყოფილებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სხვადასხვა ტიპის განათლების მიღების მსურველთა და, შესაბამისად, იმ ადამიანთა რაოდენობის ზრდას, რომლებსაც წარმატებული კარიერა აქვთ.

დღეს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ძირითადი მიზანია, დაეხმაროს ადამიანს საკუთარი მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების, ბაზრის მოთხოვნებისა თუ განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით აირჩიოს ან შეიცვალოს პროფესია. ასეთი სამსახურები დღეს საქართველოშიც იქმნება. სანამ ეს სერვისი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება, შეგიძლიათ ესტუმროთ ვებგვერდს *აირჩიე პროფესია* (www.myprofession.ge), იქ თქვენთვის საინტერესო მრავალგვარ ინფორმაციას იპოვით, შეაფასებთ ტესტს, რომელიც თვითგამორკვევასა და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ, მეტს შეიგყობთ პროფესიებისა და განათლების სისტემის შესახებ – ყოველივე ეს კი საშუალებას მოგცემთ მიღებული ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ არსებულ ცოდნას დაუკავშიროთ.

იმ ქვეყნებში, რომლებშიც პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტაციების გრადიცია არსებობს, ჩვეულებრივ, დაინტერესებულ პირებს მრავალფეროვან მომსახურებას სთავაზობენ, მაგალითად, ჯგუფური განხილვები, ბეჭდური და ელექტრონული ინფორმაცია, სასკოლო გაკვეთილები, საგელეფონო რჩევების მიცემა, ინტერნეტის მეშვეობით დახმარება. ახალგაზრდებს კარიერის დაგეგმვაში ეხმარებიან როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში. ასეთი მომსახურების მიღება შესაძლებელია კერძო ორგანიზაციების

დახმარებითაც და, რა თქმა უნდა, სპეციალური სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების მეშვეობითაც.

წლების განმავლობაში პროფესიული ორიენტაციის პროცესში გამოყენებულ მთავარ მეთოდებს ინტერვიუ და ტესტირება წარმოადგენდა, თუმცაღა, ამჟამად ფსიქოლოგიური ტესტირების გარდა პროფესიული არჩევანის გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროფესიული (კარიერის) კონსულტანტები არიან ჩართულები, რომელთა გამოცდილება და ხელვა მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

როგორი სერვისიც არ უნდა იყოს თქვენთვის ხელმისაწვდომი, საბოლოო სიტყვა მაინც თქვენ გეკუთვნით. ამიგომ პროფესიის არჩევისას თქვენს ინფორმირებულობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს პირველი სახელმძღვანელოა საქართველოში, რომელიც ახალგაზრდებს პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაში, განათლებასა და პროფესიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. ყურადღებით გაეცანით მას. ვიმედოვნებთ, რომ ის თქვენი გზამკვლევი და წარმატებული არჩევანის წინაპირობა იქნება.

მაშ ასე, თუ მიიხნევთ, რომ უკვე დროა აირჩიოთ მომავალი პროფესია ან ფიქრობთ, რომ სხვა სფეროში გასურთ ძალების მოსინჯვა, ეს სახელმძღვანელო მნიშვნელოვან დახმარებას გაგიწევთ.

1

კარიერული განვითარება

პროფესიის არჩევა და კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება დინამიური და რთული პროცესია. სკოლის დამთავრების შემდეგ თქვენ უნდა გადაწყვეტოთ რა პროფესიის დაუფლება გსურთ. ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ *კარიერის არჩევა* დამსაქმებლის პოვნას ან ისეთი სამუშაოს არჩევას ნიშნავს, რომლის შესრულებაც სურთ, მაგრამ კარიერის არჩევა ბევრად მეტია, ვიდრე სამსახურის მოძიება და მუშაობის დაწყება.

კარიერის დაგეგმვის და მართვის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აირჩიოთ და მიმართულება მისცეთ ცხოვრების კარიერულ ბილიკს, რომელიც მთელი თქვენი სიცოცხლის ნაწილია, ის მოიცავს ყველაფერს, რასაც აკეთებთ.

წარსულში ადამიანები კარიერულ გადაწყვეტილებასა და სამუშაოზე ფიქრს დიდ დროს არ უთმობდნენ. უმეტეს შემთხვევაში ისინი ირჩევდნენ და ასრულებდნენ ისეთ სამუშაოებს, რომლებითაც მშობლები იყვნენ დაკავებული ან ირჩევდნენ პროფესიას საკუთარი მშობლების ამრის გათვალისწინებით... წარსულში ადამიანთა უმეტესობისათვის ხშირად უჩვეულო იყო უკვე არჩეული პროფესიისა და

კარიერული კურსის შეცვლა. ცხოვრების მანძილზე რამდენიმე პროფესიის გამოცვლა მე-20 საუკუნის დასაწყისში ნამდვილად არ ითვლებოდა ჩვეულებრივ მოვლენად. 21-ე საუკუნეში კარიერული არჩევანის უფრო დიდი შესაძლებლობები ისეთი სამუშაოს პოვნის საშუალებას გაძლევთ, რომელიც უფრო შესაბამისია, თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეალური იქნება თქვენთვის. ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება საზოგადოებას მრავალგვარი პროფესიის დაუფლებისა და სამუშაოს შესასრულებლად უფრო მოქნილი გზების ძიების საშუალებას აძლევს. ახალი პროფესიებისა და ტექნოლოგიების განვითარება მილიონობით ადამიანს კარიერის გადახედვისა და გადაწყვეტილების ხელახლა მიღებისაკენ უბიძგებს. საერთოდ, ცვლილებები ჩვენი ცხოვრების თანმდევი ნაწილია, მაგრამ ცვლილება ყოველთვის წარმატების წინაპირობა არ არის, ის კარგად გააზრებული და დაგეგმილი უნდა იყოს.

ცხოვრების განმავლობაში მუდმივად ვცვლით ჩვენს შეხედულებებს იმის შესახებ, თუ რა მოგვწონს და რა – არა, იცვლება ჩვენი ღირებულებები და მსოფლმხედველობაც. აქედან გამომდინარე, ჩვენი კარიერული მიზნებიც შეხედულებებთან ერთად უნდა შეიცვალოს. იმისათვის, რომ საკუთარი კარიერა საუკეთესოდ მართოდ, მნიშვნელოვანია ისწავლოთ, თუ როგორ მიიღება ეფექტური გადაწყვეტილებები. ცვლილებების შესაძლებლობები თქვენს თვალწინაა, მთავარია იცოდეთ, როგორ გაიაროთ ცვლილებების პროცესი ისე, რომ არჩევანი თქვენი შესაბამისი აღმოჩნდეს.

ღონაღ სიუჟერის კარიერული განვითარების თეორია

კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ რამდენიმე თეორიაა ჩამოყალიბებული, ერთ-ერთი ყველაზე მიღებული ღონაღ სიუჟერის *კარიერული და ცხოვრებისეული განვითარების თეორიაა*. სიუჟერმა ერთ-ერთმა პირველმა დაახასიათა პროფესიული არჩევანი და კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები როგორც დინამიური, განვითარებადი პროცესი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება. სიუჟერის აზრით, ადამიანის კარიერული წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად იცნობს ის საკუთარ თავს, რამდენად შეუძლია მას თავისი „მე-კონცეფციის“ იდენტიფიცირება და პროფესიის არჩევის პროცესში მისი აქტიურად გამოყენება. განვმარგოთ „მე-კონცეფცია“: ეს არის ინდივიდის წარმოდგენა საკუთარი თავის შესახებ. ის მოიცავს შეხედულებებს საკუთარი მიღწევებისა და შესაძლებლობების, გენდერული როლების, იდენტობის, ინტერესებისა და ღირებულებების შესახებ.

პროფესიული „მე-კონცეფცია“ თქვენი პიროვნული თვისებების, ინტერესების, გამოცდილების, უნარებისა და ღირებულებების ურთიერთქმედებისა და ამ მახასიათებლების სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენების შედეგს წარმოადგენს. ახალ სიტუაციებში მოხვედრის, ახალი ადამიანებისა და სამუშაოსთან დაკავშირებული სამყაროს გაცნობის შემდგომ, სავარაუდოა, რომ თქვენი ინტერესები შეიცვლება, აღმოაჩენთ „მე“-ს გამოხატვის ახალ შესაძლებლობებს, აგრეთვე, იპოვით ახალ გზებს იმისათვის, რომ კარიერის არჩევის პროცესი თქვენი ღირებულებების გათვალისწინებით წარიმართოს.

კარიერული განვითარება

თავი 1

სიუპერის მიხედვით, პროფესიულ „მე-კონცეფციაზე“ პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის პიროვნული თავისებურებები, შესაძლებლობები, ინტერესები, გამოცდილება და ღირებულებები. მაგალითად, თუ შეგიძლიათ სხვების ყურადღებით მოსმენა ან მულამ მზად ხართ დაეხმართო მათ პრობლემების გადაჭრაში, მაშინ ამ მახასიათებლების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისეთი პროფესია შეგეფერებათ, რომელიც სხვების დახმარების საშუალებას მოგცემთ. სიუპერის მიხედვით, ადამიანისათვის საუკეთესო პროფესია არის ის, რომელშიც ის საკუთარი „მე-კონცეფციის“ რაც შეიძლება მეტ მხარეს წარმოაჩენს.

მრავალი ადამიანის მსგავსად ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება თქვენც დაგჭირდეთ კარიერული განვითარების მიმართულების გადახედვა. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ეკონომიკური ცვლილებები ან ტენდენციები, ტექნოლოგიური მიღწევები, უბრალოდ ინტერესების, ან ღირებულებების ცვლილება. შეიძლება თქვენი პიროვნული მახასიათებლებიც კი შეიცვალოს. ამიგომაც მნიშვნელოვანია შეგეძლოთ აღეკვამტური კარიერული გადაწყვეტილების მიღება. შედეგად, შესაბამისი მომენტის დადგომის შემთხვევაში, თავისუფლად გაუმიკლავდებით ამ გამოწვევებს.

სიუპერის მიხედვით, კარიერული განვითარება ხუთი ერთმანეთისაგან განსხვავებული საფეხურისაგან შედგება. არა აქვს მნიშვნელობა პირველად ირჩევთ პროფესიას, თუ მეათედ იღებთ კარიერასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას, მოცემულ თეორიაზე დაყრდნობით შეძლებთ განსაზღვროთ, რომელი საფეხური აღწერს ყველაზე კარგად თქვენს სიტუაციას. სიუპერის კარიერული განვითარების სტადიები შეჯამებული სახით ქვემოთაა მოცემული. უფრო დაწვრილებით თითოეულ მათგანს შემდგომ განვიხილავთ.

სიუპერის კარიერული განვითარების სტადიები

სტადია	მოკლე აღსანიშნავი
ზრდა	„შრომის სამყაროსა“ და პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიღება საკუთარი პიროვნული თვისებების, ინტერესების, შესაძლებლობების, გამოცდილებისა და ღირებულებების გათვალისწინებით.
გამოკვლევა	პროფესიული არჩევანის გამოკვეთა, დაკონკრეტება და არჩევა.
დაფუძნება	სამუშაო გამოცდილების მიღება და შეფასება.
შენარჩუნება	სტაბილური კარიერის ჩამოყალიბება, სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და საჭირო უნარების განვითარებაზე ბრუნვა.
აქტივობის შემცირება	პენსიაზე გასვლა ან ახალი პროფესიის დაუფლება/კარიერის შეცვლა.

ზრდის სტადია. სიუპერის მიხედვით, კარიერული განვითარების პირველ სტადიას ზრდა წარმოადგენს. იგი ძირითადად 14 წლამდე გრძელდება. ამ სტადიაზე ყალიბდება ინდივიდის დამოკიდებულებები და ქცევები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი „მე-კონცეფციის“ განვითარებაში. გარემოსთან ურთიერთქმედების საფუძველზე ადამიანები ეცნობიან სამუშაოს ძირითად მახასიათებლებს. გარემოსთან, ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება და შრომითი

აქტივობები, რომლის შესრულებაც გიწევთ პირდაპირ გემოქმედებას ახდენს კარიერასთან დაკავშირებული შეხედულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე. ყველა ბავშვი და მოზარდი ძირითადად ზრდის სტადიაზე იმყოფება, თუმცა ზრდასრული ადამიანიც (განსაკუთრებით ის, ვინც ჯერ კიდევ განიხილავს კარიერასთან დაკავშირებულ სხვადასხვა შესაძლებლობას) შეიძლება იყოს კარიერული განვითარების ზრდის სტადიაზე.

გამოკვლევის სტადია. კარიერული განვითარების პროცესის შემდეგი სტადიაა გამოკვლევა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესის ბირთვად მიიჩნევა. იგი დაახლოებით 15-დან 24 წლამდე გრძელდება. გამოკვლევის სტადია სამი ეტაპისაგან, ამოცანისაგან შედგება: *არჩევანის გამოკვეთა, დაკონკრეტება და არჩევა.*

⇒ *გამოკვეთა.* გამოკვეთის ეტაპი პროფესიასთან დაკავშირებული ოცნებებით ხასიათდება. ამ ეტაპზე გაჩენილი რომელიმე ვარიანტი შეიძლება რეალობადაც იქცეს, თუმცა მათი უმეტესობა უფრო იდეალისტურ ხასიათს ატარებს, ვიდრე რეალისტურს. პროფესიის სწორად არჩევა მოითხოვს კიდევ მომავალ კარიერაზე ოცნებას. თუმცა, ჩვეულებრივ, დგება ხოლმე დრო, როდესაც საჭირო ხდება ოცნებების უფრო რეალისტური მიზნებით ჩანაცვლება.

⇒ *დაკონკრეტება.* კარიერული განვითარების გამოკვლევის სტადიის შემდეგი ეტაპია დაკონკრეტება. იგი მოიცავს ბევრი ვარიანტიდან რამდენიმე ისეთი პროფესიის ამორჩევას, რომელსაც ინდივიდი შემდგომში უფრო დეტალურად შეისწავლის.

⇒ *არჩევა.* კარიერული განვითარების გამოკვლევის სტადიის ბოლო ეტაპს პროფესიის საბოლოოდ არჩევა წარმოადგენს. მრავალი პროფესიიდან რამდენიმე ვარიანტის შერჩევისა და შემდგომი არჩევანის გაკეთების პროცესში პროფესიულ თვითგამორკვევას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ამ პროცესში გასათვალისწინებელია ადამიანის პიროვნული თვისებები, ინტერესები, უნარები, შესაძლებლობები, გამოცდილება და ღირებულებები. ასევე მეტად მნიშვნელოვანია „შრომის სამყაროს“ შესახებ ინფორმაციის მიღება.

დაფუძნების სტადია. კარიერული განვითარების გამოკვლევის სტადიის დასრულების შემდეგ დაფუძნების სტადია იწყება, რომელიც არჩეულ პროფესიაში გამოცდილების დაგროვებას გულისხმობს და დაახლოებით 24-დან 44 წლამდე გრძელდება. ამ დროს ხდება მიღებული გადაწყვეტილების ერთგვარი გამოცდა და მისი მართებულობის განსამზღვრა.

დაფუძნების სტადია სამი ეტაპისაგან შედგება, ესენია:

⇒ *გამოცდის ეტაპი* (25-30 წლები) – ამ ეტაპზე ინდივიდი განსამზღვრავს შეესაბამება თუ არა მას არჩეული სფერო. გარკვეული შეუსაბამობების არსებობის შემთხვევაში მას მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა შეუძლია.

⇒ *სტაბილიზაციის ეტაპი* (30-40 წლები) – მოცემულ პერიოდში ინდივიდს დასახული აქვს პროფესიული მიზნები და დაგეგმილი აქვს კარიერა, რომელიც მოიცავს დაწინაურებას, სამსახურის შეცვლას, საგანმანათლებლო აქტივობებს და ა. შ.

კარიერული განვითარება
თავი 1
19

⇒ *კარიერული კრიზისის ეტაპი* (35-45 წლები) – ეს პერიოდი ძირითადად საკუთარი მიზნებისა და მიღწევების კიდევ ერთხელ შეფასებას გულისხმობს. ინდივიდი შეიძლება მიხვდეს, რომ მისი ოცნებები ვერასოდეს ახდება (მაგ., ვერ გახდება ორგანიზაციის პრეზიდენტი). ამ პერიოდში ადამიანებს ხშირად უხდებათ იმის გადაწყვეტა, თუ რა უნდათ, რის განხორციელებას შეძლებენ და რა ადგილი უჭირავს მათ ცხოვრებაში სამუშაოსა და კარიერას. აგრეთვე, ისინი უნდა დაფიქრდნენ, თუ რა „მსხვერპლის“ გაღებას შეძლებენ დასახული მიზნების მისაღწევად.

შენარჩუნების სტადია. კარიერული განვითარების პროცესის მეოთხე სტადია შენარჩუნება გახლავთ, რომელიც 45-დან 65 წლამდე გრძელდება. ამ დროს სტაბილურობა დასაქმებულის ძირითად მიზანს წარმოადგენს. შენარჩუნების სტადიაზე მყოფი ადამიანების უმეტესობა აგრძელებს სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და გამოცდილების დაგროვებას არჩეულ სფეროში. თუმცაღა შეიძლება გააცნობიერონ, რომ პროფესიის შეცვლა სურთ.

აქტივობის შემცირების სტადია. კარიერული განვითარების ბოლო, აქტივობის შემცირების სტადია ადამიანის ცხოვრებაში სამუშაოს როლის შემცირებას გულისხმობს. ეს სტადია ძირითადად საპენსიო ასაკის მოახლოებასთან ერთად დგება. იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიასთან და კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინდივიდი აქტივობის შემცირების სტადიაზე შეიძლება რამდენჯერმე

აღმოჩნდეს. აქტივობის საბოლოოდ შემცირება პენსიაზე გასვლის დროს ხდება, თუმცა ბევრი ადამიანისათვის ეს პერიოდი ერთი საქმიანობის მეორეთი ჩანაცვლებას წარმოადგენს.

დაიმახსოვრეთ, რომ პროფესიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება თითოეული ადამიანისათვის სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. თქვენ შეიძლება ზრდის სკადიაზე იმყოფებოდეთ მაშინ, როცა თქვენს რომელიმე მეგობარს არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს და შენარჩუნების სკადიაზე გადადის. შეიძლება უარი თქვათ იმ პროფესიაზე, რომელიც შეუსვლელი გეგონათ და დადგეთ საჭიროების წინაშე, ხელახლა გაეცნოთ შრომის სამყაროს და თავიდან ჩაერთოთ ძიების პროცესში. გაითვალისწინეთ, რომ პროფესიას საკმაოდ ბევრი ადამიანი იცვლის, ამიტომ თუ ფაქტის წინაშე დადგებით, არ შეშინდეთ, პირიქით, მოემზადეთ ახალი, უფრო საინტერესო გამოწვევისა და გამოცდილების მისაღებად.

განსაზღვრეთ, რომელ სკადიაზე იმყოფებით

პროფესიასთან და კარიერასთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე საკუთარ თავში ჩაღრმავებაა. ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები დაგეხმარებათ განსაზღვროთ ის, თუ კარიერული განვითარების რომელ სკადიაზე იმყოფებით.

სამარჯიშო 1.1 ავტობიოგრაფია

ეს სავარჯიშო დაგეხმარებათ განსაზღვროთ კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესის რომელ ეტაპზე იმყოფებით.

ზოგიერთი ადამიანი, განსაკუთრებით სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე მიიჩნევს, რომ ავტობიოგრაფიაში ბევრი არაფერი აქვს დასაწერი. შეიძლება თქვენც მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდეთ, მაგრამ დაიმახსოვრეთ, რომ თქვენ მიერ მიღებული გამოცდილების კარიერასთან დაკავშირება თავისუფლად შესაძლებელია.

თუ დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ხართ:

ჩამოთვალეთ რა კლასგარეშე აქტივობებით ხართ დაკავებული, გაიხსენეთ, თუ შეგისრულებიათ რაიმე სამუშაო, თუ გიმუშავიათ მოხალისედ. თქვენს ოჯახთან და მეგობრებთან ერთად განხორციელებული აქტივობებიც კი შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. პროფესიის არჩევასა და კარიერის განვითარებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ის გამოცდილება, რომელმაც განსაკუთრებული სიამოვნება მოგანიჭათ. ავტობიოგრაფია უნდა მოიცავდეს პროფესიასთან დაკავშირებულ თქვენს ყველა ფიქრსა და გრძნობას – დაწერეთ ყველაფერი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე მათგანი უმნიშვნელოდ გეჩვენებათ.

ავტობიოგრაფიის შედგენისას შემდეგ საკითხებზე დაფიქრდით და გაითვალისწინეთ:

- ოცნებები პროფესიისა და კარიერის შესახებ.
- ანაზღაურებადი სამუშაო, რომელიც შეგისრულებიათ.
- მოხალისედ მუშაობის გამოცდილება.
- სტაჟირება.
- ჰობი.
- თავისუფალ დროს განხორციელებული აქტივობები.
- სპორტი.
- სქესი.
- მიმდინარე საგანმანათლებლო სტატუსი.

- კითხვები, რომლებიც მომავალთან დაკავშირებით გაწუხებთ.
- თქვენთვის საინტერესო პროფესია/პროფესიები.
- პროფესიასთან/კარიერასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.

ავტობიოგრაფიის დაწერის შემდეგ უფრო მუსგ წარმოგენას შეიქმნით თქვენი „მე-კონცეფციის“ შესახებ. იმისათვის, რომ განსაზღვროთ, რომელ სტადიაზე იმყოფებით, მიუბრუნდით ავტობიოგრაფიას და გამოყოფით (გააფერადეთ ან შემოხაზეთ) ის ინფორმაცია, რომელიც საუკეთესოდ აღწერს მიმდინარე სიტუაციას, ანუ იმ ვითარებას, რომელშიც იმყოფებით. უნდა გამოყოფთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც თქვენთვის პრობლემურ საკითხებს უკავშირდება, ყველა გადაწყვეტილება, რომლის მიღებასაც აპირებთ ახლო მომავალში, შემდეგ კი ეს ყველაფერი იმ სიტუაციას უნდა დაუკავშიროთ, რომელშიც იმყოფებით.

საპარჯიშო 1.2 საჭიროებების განსაზღვრა

ახლა კი თქვენ მიერ გამოყოფილი ინფორმაცია შეადარეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილს და მონიშნეთ კარიერული განვითარების ის სტადია, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად შეგესაბამებათ. ამ სავარჯიშოს დასრულების შემდეგ ნათლად დაინახავთ, კარიერული განვითარების პროცესის რომელ სტადიაზე იმყოფებით.

ცხრილის ბოლო, მეოთხე სვეტში აღწერილია კარიერასთან დაკავშირებული საჭიროებები, რომელთაც, სავარაუდოდ, დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენთვის.

კარიერული განვითარება
 თაში 1
 25

პარიმერული განვითარების სტაქიები

სტაქია	ამოცანა	მაგალითი, ამონარიდი აქტიბიოგრაფიიდან	საქირობები
<input type="checkbox"/> მრღა	1. შრობითი ქცეებისა და დამოკიდებულებების ფორმირება 2. შრომის სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღება	„მეცდილობ გავარკვიო, რა მინდა ვაკეთო ცხოვრებაში.“ „ვაგროვებ ინფორმაციას შრომის ბაზრის შესახებ.“	გაიგეთ უფრო მეტი თქენი „მეკონცეფციის“ შესახებ. <ul style="list-style-type: none"> • გამოიკვლიეთ შრობით ბაზარზე არსებული ტენდენციები. • მოიხიეთ ინფორმაცია პროფესიების განვითარების ტენდენციების შესახებ • განსამზღვრეთ თქენი ინტერესები და შესაძლებლობები. • გაიგეთ მეტი თქენი შრობითი ღირებულებების შესახებ.

სტადია	ამოცანა	მაგალითი, ამონარიდი აკტობიოგრაფიიდან	საჭიროებები
<input type="checkbox"/> გამომკვლევა	<p>1. პროფესიასთან დაკავშირებული ოცნებების იდენტიფიცირება</p> <p>2. სასურველი პროფესიების რაოდენობის შეზღუდვა</p> <p>3. თქვენი „მე-კონცეფციის“ განსაზღვრა, რადგან ის დაკავშირებულია კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესთან</p> <p>4. პროფესიების გამოყოფა, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მიღება გასურთ</p>	<p>„ყოველთვის მინდოდა ვყოფილიყავი...“</p> <p>„რამდენიმე პროფესია მაინტერესებს, საჭიროა გავარკვიო, რომელი მათგანია უფრო რეალური“.</p> <p>„არ ვარ დარწმუნებული, რომ ბედნიერებას მომანიჭებს ამ პროფესიით მუშაობა“.</p> <p>„ნეტავ ამ პროფესიით მუშაობა წლების შემდეგაც მომანიჭებს სიამოვნებას“?</p> <p>„ახლა უნდა გავარკვიო, რომელი პროფესიის შესახებ მჭირდება მეტი ინფორმაციის მიღება“.</p>	<p>ლაფიქრით თქვენი საოცნებო პროფესიების შესახებ.</p> <p>• შეადგინეთ სასურველი პროფესიების სია.</p> <p>• სიაში მხოლოდ რეალური პროფესიები დატოვეთ.</p> <p>შეუსაბამეთ თქვენი „მე-კონცეფცია“ პროფესიას.</p> <p>შეაგროვეთ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ.</p> <p>• გამცანით სხვადასხვა პროფესიულ სფეროში არსებულ ტენდენციებს.</p>

სტადია	ამოცანა	მაგალითი, ამონარიდი ან ავტობიოგრაფიიდან	საჭიროებები
<input type="checkbox"/> დაფუძნება	1. სამუშაო გამოცდილების მიღება	<p>„ჩემი ამჟამინდელი სამუშაო საშუალებას მომცემს გამოვარკეო, მართლაც მინდა თუ არა ამ პროფესიით მუშაობა“.</p>	<ul style="list-style-type: none"> • გაიგეთ უფრო მეტი სასურველი პროფესიების შესახებ. • განსაზღვრეთ კარიერასთან დაკავშირებული პოტენციური დაბრკოლებები. • მოიხიეთ გზები დაბრკოლებების გადასაღებად. • კარგად დაფიქრდით პროფესიასთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. • დასახეთ არჩეულ პროფესიასთან დაკავშირებული მიზნები. • შეაღწიეთ გრაფიკი, რიმილის მიხედვითაც განახორციელებთ დასახულ მიზნებს.
			<p>გააგრძელებთ თვითგამორკვევის პროცესს.</p>

სტადია	ამოცანა	მაგალითი, ამონარიდი ავტობიოგრაფიიდან	საჭიროებები
<input type="checkbox"/> შენარჩუნება	<p>1. იმის განსამდგერა, განიჭებთ თუ არა პროფესია/ კარიერა კმაყოფილებას</p>	<p>„ამ ბოლო დროს ვცდილობ ტავარკვიო, მართლა ბედნიერი ვარ თუ არა იმით, რასაც ვაკეთებ“.</p> <p>„ვფიქრობ, სხვა პროფესიების შესახებ ხომ არ მოვიპოვო ინფორმაცია“.</p>	<p>განსამდგერეთ, გსურთ თუ არა არსებულ სამსახურში მუშაობა.</p> <p>შეაფასეთ, რამდენად კმაყოფილი ხართ სამსახურით/მუშაობით.</p>
<input type="checkbox"/> აქტივობის შემცირება	<p>2. დაწინაურების გზების ძიება</p> <p>3. სხვა სამსახურის (რომელიც თქვენს პროფესიას უკავშირდება) შესახებ ინფორმაციის ძიება</p>	<p>„ვედილობ ტავარკვიო, მაქვს თუ არა დაწინაურების შანსი“.</p> <p>„ვიმედოვნებ ვიპოვი სხვა სამსახურს, რომელიც ჩემი ამჟამინდელი საქმიანობის მსგავსი სამუშაოს შესრულების საშუალებას მომიცემს“.</p>	<p>მოძიეთ ინფორმაცია თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა კარიერული შესაძლებლობის შესახებ.</p> <p>შეისწავლეთ მეთოდები, რომლებიც ახალი სამსახურის მოძიებაში დაგეხმარებათ.</p>
<input type="checkbox"/> აქტივობის შემცირება	<p>ახალი სამსახურის ძიება ან საქმიანობის შეცვლა</p>	<p>„დარწმუნებული ვარ, რომ სამსახურის შეცვლა მინდა“.</p>	<p>განსამდგერეთ, რამდენად დროულია კონკრეტულ მომენტში პროფესიის ან სამსახურის შეცვლა.</p>

სიუპერის განვითარების თეორიის გაცნობა და სავარჯიშოების გაკეთება კიდევ ერთხელ ცხადად გაჩვენებთ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიის არჩევის პროცესში თვითგამორკვევასა და საკუთარ თავში ჩაღრმავებას. მომდევნო თავები დაგეხმარებათ საკუთრი ღირებულებების, ინტერესების, უნარებისა და პიროვნული მახასიათებლების გაცნობიერებაში და ეფექტიანი კარიერული გადაწყვეტილების მიღებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Darrel Anthony Luzzo, Lisa Ellen Severy ; Making Career Decisions That Count – A Practical Guide, 3rd Edition; Pearson prentice Hall, 2009.

2

პროფესიის არჩევა – გაღწევილები მის მიღების პროცესი

აღამიანებს სიცოცხლის მანძილზე მრავალი სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღება უხდებათ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიის არჩევაა. იმის დასადგენად, თუ რომელი პროფესია შეგეფერებათ მრავალი ფაქტორი უნდა გაითვალისწინოთ. თქვენთვის შესაფერისი პროფესიის ძიების პროცესში თქვენი უნარები, შესაძლებლობები, ინტერესები, ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები გადამწყვეტ როლს თამაშობს. ხშირ შემთხვევაში არჩევანის წინაშე მყოფმა აღამიანმა ჯერ კიდევ არ იცის, რომელი პროფესიის დაუფლება სურს, ზოგიერთს გარკვეული მისწრაფებები აქვს, მაგრამ საბოლოო არჩევანი მაინც ვერ გაუკეთებია. თუ ამ აღამიანთა რიცხვს მიეკუთვნებით, ქვემოთ მოცემული ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესის არსის გაგებაში შეგიწყობთ ხელს. თქვენ გაეცნობით იმ ნაბიჯებს, რომლებიც დაგეხმარებათ უპასუხოთ კითხვას – „რა უნდა ვაკეთო მომავალში?“

ნაბიჯები, რომლებიც პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ.

პროფესიის არჩევა არ არის რთული, თუ ამისათვის ეფექტურ გზებს გამოიხატავთ. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის კითხვების დასმისა და პასუხების გაცემის პროცესი, რომელიც რაღაცით სახლის ყიდვასაც შეიძლება მივამსგასოთ. წარმოიდგინეთ, რომ გადაწყვიტეთ ახალი ბინის შეძენა, რის შემდეგაც უკვე ძიებას იწყებთ. თქვენი გონება სავსეა სურვილებით, ოცნებებით და ყველაფრით, რაც უკვე იცით სახლის შესახებ... გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლება ზოგიერთ ოცნებასა და მოლოდინს სახე ეცვალოს. რაც უფრო კარგად ეძებთ, მით უფრო მეტ ინფორმაციას იღებთ, ხოლო რაც უფრო მეტ ენერჯიას ხარჯავთ თქვენი „პროექტის“ ხორცშესხმაზე, მით უფრო ღიღია შანსი, რომ თქვენს იდეალთან მიახლოებულ სახლს შეიძენთ.

რაღაც მომენტში შეიძლება გააცნობიეროთ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საქმის კეთება, როგორცაა სახლის არჩევა, უფრო რთულია და მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ელოდით. თქვენ აღმოაჩენთ, რომ საჭიროა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინება, რომელთა შესახებ ადრე არც კი გიფიქრიათ. ბევრი ფიქრის შემდეგ უკვე იწყებთ გადაწყვეტილებების მიღებას. შეიძლება გადაწყვიტოთ, რომ სახლს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამი საძინებელი ან ღიღი სამზარეულო, ან უნდა მდებარეობდეს წყნარ, ქალაქის ცენტრიდან მოშორებულ ქუჩაზე. თქვენ აგრძელებთ ძიებას და, ამასთან ერთად, გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. ამ დროს „თავსაგების“ სხვადასხვა ნაწილი ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს. პარალელურად თქვენ აგრეთვე გიწევთ რეალურ სამყაროში ნამდვილი სახლების დათვალიერება

და სიჭკუაყიის რეალისტური შეფასება, მაგალითად, იმის განჭვრეება, თუ რა თანხის გაღება შეგიძლიათ ბინის შესაძენად. თქვენი „თავსაგების“ ყოველი შემადგენელი ნაწილის ამოხსნა გეხმარებათ შემდეგი ნაწილის პოვნასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებაში. თითოეული გადაწყვეტილება კი, თავის მხრივ, გეხმარებათ ისეთი სფეროების აღმოჩენაში, რომელთა შესახებაც გადაწყვეტილება ჯერ არ მიგიღიათ. კვლევა-ძიების გაგრძელება უფრო მეტი გადაწყვეტილების მიღებაში გიწყობთ ხელს. საბოლოოდ, სახლი, რომლის შეძენასაც გადაწყვეტთ, შეიძლება საკმაოდ განსხვავდებოდეს თქვენს გონებაში წარმოსახული თავდაპირველი ვარიანტისაგან, რადგანაც მისი მახასიათებლები უკვე სიღრმისეული კვლევა-ძიებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს ასახავს და არა ოცნებას სახლის შესახებ.

ერთი რამ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, გახლავთ ის, რომ თქვენი მომავალი სამუშაოს ძირითადი კომპონენტების (მახასიათებლების) განსაზღვრას უფრო დიდი ძალა აქვს „თავსაგების“ ამოხსნის დროს, ვიდრე თქვენს სურვილებს. თქვენმა სურვილებმა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაგაბნიოთ კიდევ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მრავალი ძლიერი სურვილი გაქვთ, მაგრამ რომელიმეს მიმართ გამორჩეულად ერთგული არა ხართ. თქვენს საოცნებო სახლს შეიძლება ჰქონდეს სამი საწოლი ოთახი, დიდი ეზო პაგარა ნაკადულით, წყნარი მეზობლები, დიდი მისაღები ოთახი და ორი ბუხარი. როცა უძრავი ქონების აგენტი გიხვეწებთ სახლს, რომელსაც ორი ბუხარი აქვს, მაშინვე ყიდულობთ. გვიან კი აღმოაჩენთ, რომ არც თუ ისე სასიამოვნო მეზობლები გყავთ. როდესაც რეალობას დაუბრუნდებით, შეამჩნევთ, რომ ერთ-ერთი ოთახი „ბნელია“.

მსგავსი შეცდომა შეიძლება პროფესის არჩევის დროსაც დაუშვათ. იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს,

მნიშვნელოვანია კარგად გაეცნოთ კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესებს და ფაქტორებს, რომლებიც არჩევანის გაკეთებაზე ახდეს გავლენას.

კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესი რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს. თითოეული მათგანის გავლა საბოლოო მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. ქვემოთ ნათლად არის გამოყოფილი თითოეული ეტაპი, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეიძლება არ იყოს ასეთი სწორხაზოვანი. შესაძლოა, ძიების, გამოკვლევის, პატარ-პატარა გადაწყვეტილებების მიღებისა და ახალი შეკითხვების დასმის ეტაპები ერთდროულად გაიაროთ, თუმცაღა დროთა განმავლობაში აღმოაჩნეთ, რომ ნელ-ნელა ყველაფერს ნათელი ეფინება და საბოლოო მიზანი უკვე ახლოსაა. ერთ დღეს პროფესიის არჩევასთან დაკავშირებულ „თავსაგების“ ყველა ნაწილს ერთმანეთს მთარგმნებთ და გადაწყვეტილებასაც მიიღებთ.

ყურადღებით გაეცანით იმ ეტაპებს, რომლებიც პროფესიული და კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გაიაროთ:

1. გადაწყვიტეთ, რომ პროფესიის არჩევა გსურთ. პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოთ, რომ გადაწყვიტეთ. უბრალოდ გადაწყვეტილების მიღების სურვილი საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ ნათლად განსაზღვროთ როგორი ცხოვრება გსურთ, შემდეგ კი დამაჯერებელი და ამრიგად მოქმედებებით რეალობად აქციოთ ის.

2. თქვენი მომავალი პროფესიის არჩევა და კარიერის შექმნა პრიორიტეტად დაისახეთ. კარიერის შექმნა არ უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ გეგმას მრავალთა შორის. დაიმახსოვრეთ, რასაც გასცემთ, უკან ის დაგიბრუნდებათ.

3. დაიწყეთ თვითგამორკვევით. მთავარია აირჩიოთ ისეთი პროფესია და შეიქმნათ იმგვარი კარიერა, როგორიც ყველაზე მეტად შეგესაბამებათ. ამისათვის

აუცილებელია საკუთარ თავს ჩაულრმავდეთ და გაერკვეთ თქვენს პიროვნულ თვისებებში. მაშინაც კი, თუ მიიჩნევთ, რომ კარგად იცნობთ საკუთარ თავს, ეცადეთ სხვა თვალთ დაინახოთ თქვენი წარსული და აწმყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იპოვოთ ხელშესახები, რეალისტური და პრაქტიკული მახასიათებლები, რომლებიც შრომის სამყაროსა და თქვენს შორის შესაბამისობის დადგენაში დაგეხმარებათ.

4. ეპებეთ საკუთარი თავის სრულად გამოხატვის შესაძლებლობები. ხშირად აღამიანსა და პროფესიას შორის შეუსაბამობას ინდივიდის მიერ მხოლოდ გარედან მიღებული (ექსტერნალური) ჯილდოების, მაგ., ანამლაურებისა და სტატუსის გათვალისწინება იწვევს ხოლმე. თუ ჰარმონიული და დაბალანსებული ცხოვრებისაკენ მიისწრაფით, მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ცხოვრების თითოეული სფერო გაითვალისწინოთ. კარიერა/პროფესია, რომელიც ყველაზე მეტად შეგესაბამებათ, თქვენგან მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ იყოთ იმგვარი, როგორიც ხართ და აკეთოთ ის, რასაც ჩვეულებრივ აკეთებთ.

აღამიანები ხშირად იგანჯებიან არასწორად არჩეული პროფესიის გამო. თუმცაღა მათ შუძლიათ საკუთარი ცხოვრების მართვა. რადგანაც გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენვე შევექმნათ ჩვენი მომავალი, რაგომ არ უნდა გავაკეთოთ ეს კარგად?

5. დაანაწევრეთ დიდი შეკითხვა – „რა უნდა ვაკეთო ცხოვრებაში?“ თუ თქვენც აღამიანთა უმეტესობას ჰგავხართ, კარიერული გადაწყვეტილებების მიღების მცდელობისას, საინტერესო პროფესიებს (ექიმი, იურისტი...) წარმოიდგენთ ხოლმე. თქვენი ფიქრები ერთი საინტერესო პროფესიიდან მეორეზე გადადის, აქვე ერთვება

პროფესიის არჩევა
თავი 2
35

რომანტიკული წარმოსახვა. ფიქრობთ სამუშაოს ყველა დადებით მხარეზე: „ძალიან მომწონს ექიმობა. ეს „სამუშაო“ საკმაოდ ამაღელვებელი ჩანს – მოსაწყენი ოფისის საპირისპიროდ აღამიანებთან „მუშაობა“, მათი დახმარება და ა. შ.“ თუმცა ცოცხალი ხანში ნეგატიური ფიქრები ამოგივივდება – „სისხლის შიში მაქვს, მძიმე ავადმყოფებთან ღამეების გაგარება მომიწევს, უკმაყოფილო პაციენტების მეყოლება, ყველას რომ ვერ დავეხმარები?“ ხელში პოტენციური კარიერის მხოლოდ ისეთი სურათები გრჩებათ, რომლებიც კონკრეტული არჩევანის ვაკეთების საშუალებას არ გაძლევთ. უფრო უარესი კი ის არის, რომ ამ მეთოდის გამოყენება უფრო ბუნდოვანს ხდის სიგუაციას, რომელშიც იმყოფებით. დაიმახსოვრეთ, რომ როდესაც დიდ შეკითხვას – „რა უნდა ვაკეთო ცხოვრებაში“ – ნაწილებად დაყოფთ, პასუხების მოძიება ბევრად უფრო გაგიაღვივლებათ. იმისთვის რომ ამ კითხვას უპასუხოთ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს ყურადღება უნდა მიაქციოთ. ეს ფაქტორებია:

⇒ *ბუნებრივი ნიჭი და თანდაყოლილი შესაძლებლობები.* ყველა აღამიანი უნიკალური ნიჭით იბადება, რომელიც ისევე ინდივიდუალურია, როგორც თითის ანაბეჭდები. ნიჭი აღამიანს აძლევს სპეციფიკურ შესაძლებლობას მარტივად და სიამოვნებით აკეთოს ის, რისი კეთებაც სხვებისათვის წამების გოლფასია. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ კომედიური ქანრის მსახიობი ბუღალგრად რომ მუშაობდეს? ნიჭი სრულიად განსხვავდება შექმნილი ცოდნისაგან, უნარებისაგან და ინტერესებისაგან. თქვენი ინტერესები იცვლება. აგრეთვე შესაძლებელია ახალი უნარებისა და ცოდნის შექმნა. თუმცაღა თანდაყოლილი ნიჭი მთელი ცხოვრების განმავლობაში თქვენთან რჩება. მისი

შეცვლა შეუძლებელია. თქვენ უბრალოდ უნდა ისწავლოთ ნიჭის გამოყენება...

- ⇒ *პიროვნული თვისებები და გემპერამენტი.* არასწორად შერჩეული პროფესია ადამიანისაგან საკუთარი თავის დათრგუნვას მოითხოვს. სწორად შერჩეული პროფესია ადამიანის უნარებისა და შესაძლებლობების სამუშაოსთან შესაბამისობას გულისხმობს და ხელს უწყობს საკუთარი თავის სრულად გამოხატვას. თუ სამუშაო თქვენგან პიროვნული თვისებების დამალვას, თვითგამოხატვის შეზღუდვასა და თქვენი ღირებულებების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებას მოითხოვს, ესე იგი არჩეული კარიერა/პროფესია არ შეგეფერებათ.
- ⇒ *მნიშვნელოვნება, მისია, მიზანი.* ადამიანებისათვის, რომლებიც ერთუმიანებით ეკიდებიან საქმეს, ჩვეულებრივ, სამუშაო მათთვის სულერთი არ არის. ისინი ამბობენ იმით, რასაც აკეთებენ და გრძნობენ, რომ საკუთარი წვლილი შეაქვთ საზოგადოების განვითარებაში. ასეთი ადამიანები შეიძლება სამსახურში დადიან იმიტომაც, რომ გადასახადები გადაიხადონ, მაგრამ ეს არ წარმოადგენს იმ ძირითად მიზეზს, რის გამოც ისინი დილაობით საწოლიდან ღებებიან და სამსახურში მიდიან.
- ⇒ *საკუთარი საზღვრების გაფართოების სურვილი.* საზღვრების გაფართოების კარგი მაგალითია ორმოცი წლის ქალბატონი, რომელსაც კარიერის გაკეთება მედიცინის სფეროში სურდა. კოლეჯში მიღებული ნიშნები მას სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის საშუალებას არ აძლევდა. მას არც სამედიცინო განათლების მიღებისათვის აუცილებელი თანხები გააჩნდა, თუმცა მისი სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ის კოლეჯში დაბრუნდა, დაასრულა

მოსამზადებელი კურსები, შემდეგ კი სამედიცინო უნივერსიტეტში ჩააბარა და დაფინანსებაც მოიპოვა. ზოგიერთ ადამიანს არ სურს ან არ შეუძლია ახალი მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. მთვარია, რომ თქვენი არჩევანი კომპრომისზე არ იყოს დაფუძნებული. გააფართოვეთ თქვენი საზღვრები, თუმცა, ამავდროულად, რეალისტად დარჩით.

- ⇒ *მიზნის მიღწევა.* მუშაობა სასიამოვნოა, თუ კონკრეტული მიზნისაკენ მიისწრაფვით. თქვენთვის შესაფერისი კარიერა დაგეხმარებათ მიაღწიოთ პირად და ოჯახურ მიზნებს. იგი გამოწვევების წინაშე გაყენებთ, რომლებთან გამკლავებაც სიამოვნებას განიჭებთ.
- ⇒ *მიღებული ჯილდოები თქვენს ღირებულებებს უნდა შეესაბამებოდეს.* ჯილდოები მოტივატორებია, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობების სიამოვნებით შესრულებაში გეხმარებათ. ზოგიერთი ჯილდო თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვებისათვის, რადგან ისინი თქვენ ღირებულებებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, თუ სამუშაოს კარგად შესრულებისათვის აღიარება თქვენთვის მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს, მაშინ თქვენი მოტივირება ასეთი ჯილდოთი იქნება შესაძლებელი. მუშაობა ადეკვატური აღიარების გარეშე კი უკმაყოფილებას გამოიწვევს და უარყოფითად აისახება თქვენს „კარგად ყოფნაზე“ სამსახურში.
- ⇒ *შესაბამისი სამუშაო გარემო.* თითოეული ადამიანი კომფორტულად გრძნობს თავს ზოგიერთ სამუშაო გარემოში, ხოლო ზოგიერთი მისთვის სტრესული ან უბრალოდ შეუფერებელია. სამუშაო გარემოს მახასიათებლები, მაგალითად, კომპანიის ორგანიზაციული კლიმატი და მართვის სტილი თქვენზე

მულმივად გემოქმედებს. თქვენი სამუშაო გარემო აგრეთვე მოიცავს ფიზიკურ სამუშაო პირობებს, ოფისში შექმნილ განწყობილებასა და თქვენს ურთიერთობებს უფროსთან, კოლეგებთან, კლიენტებთან და მომხმარებლებთან.

⇒ *გადაწყვეტი ფაქტორი.* თქვენ მიერ განხილული პროფესიები მართლა შესაფერისი, განხორციელებადი და ხელმისაწვდომია? ნამდვილად შეგესაბამებათ? თუ გადაწყვეტილებები, რომელთაც თქვენი კარიერის მიმართულების შესახებ იღებთ არ არის მიღწევადი და არ შესრულდება ისე, როგორც მოელით, მაშინ ისინი მხოლოდ ოცნებებია და მეტი არაფერი. სავარაუდო მომავალი პროფესიის რეალურობის დადგენა მხოლოდ კვლევა-ძიების საშუალებითაა შესაძლებელი.

6. დასვით გამჭრიახი კითხვები. თქვენი ცხოვრება თქვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. გაკეთებული არჩევანის საფუძველს წარმოადგენს ის, თუ რამდენად კარგად უპასუხებთ ძირითად შეკითხვებს საკუთარი თავისა და მომავლის შესახებ. ხოლო პასუხების ხარისხი პირდაპირ უკავშირდება იმას, თუ რამდენად ფოკუსირებული, ლაკონური და მკაფიო ხარო კითხვების დასმის დროს.

ინტელექტუალი ადამიანების უმეტესობის მსგავსად შეიძლება თქვენ უკვე ბევრი რამ იცით საკუთარი თავის შესახებ, თუმცადა ხანდახან მათაც უჭირთ საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღება. ხშირად უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ცდილობთ საკუთარი თავის შეცნობას და როგორ იყენებთ თქვენს ცოდნას, ვიდრე ის, თუ რამდენი იცით. რაც უფრო მეტად იმუშავებთ შეკითხვების ჩამოყალიბებაზე, მით უფრო სასარგებლო პასუხებს მიიღებთ. ფაქტობრივად, როცა კითხვა

ადეკვატურადაა დასმული, პასუხი თითქოს ბუნებრივად და მარტივად გეძლევათ.

მნიშვნელოვანი კითხვის წარმატებით დასმისა და პასუხის მიღების ერთი საიდუმლო მათი პაგარ-პაგარა ნაწილებად დაყოფაა. რთულია უპასუხო ისეთ შეკითხვას, როგორცაა – „რა ვაკეთო მთელი ცხოვრების მანძილზე?“ მასთან გამკლავების ერთადერთი სწორი გზა მის მარტივ შეკითხვებად დანაწევრებაა.

7. ჩაულრმავდით ყველა მნიშვნელოვან კითხვას, გამოიყენეთ პროფესიული ორიენტაციის ტესტები, რომლებიც დაგეხმარებათ ბოლომდე დარწმუნდეთ იმაში, თუ რა გიპის მახასიათებლები უნდა ჰქონდეს თქვენს მომავალ სამუშაოს¹. ტესტები და სავარჯიშოები ახალი შესაძლებლობებისა და ახალი სამყაროს აღმოჩენის საშუალებას გაძლევთ. თუმცაღა იმისათვის, რომ რეალური შედეგი მიიღოთ, მნიშვნელოვანია გულწრფელად, მონდომებითა და გულისყურით მიუღვეთ თითოეულ მათგანს.

8. შექმენით კარიერა ნაბიჯ-ნაბიჯ. ადამიანები ხშირად მანამ ერიდებიან გადაწყვეტილების მიღებას, სანამ მთელ ინფორმაციას არ მიიღებენ და ყველა კითხვას პასუხს არ გასცემენ. მათ უგროვდებათ დიდძალი ინფორმაცია, რომელიც საბოლოოდ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას არ იძლევა. ადამიანები ცდილობენ თავი მოუყარონ თავიანთ ოცნებებს, მოთხოვნებს, სურვილებს, მისწრაფებებსა და მიზნებს, თუმცაღა

¹იხ. www.myprofession.ge

პროფესიის არჩევის ამ თითქოსდა მიმზიდველ მეთოდს ერთი ნაკლი აქვს: ის უბრალოდ არ მუშაობს! საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი სასარგებლო გზა თვითგამორკვევის ეტაპზე პაგარ-პაგარა ან თუნდაც რამდენიმე დიდი გადაწყვეტილების მიღებაა. თქვენ მიერ გაკეთებული თითოეული არჩევანი წარმოადგენს თავსაგების ნაწილს, რომლებიც საბოლოო პასუხამდე მისვლაში გეხმარებათ. თითოეული ნაწილი მნიშვნელოვანია, შესაბამისად, არჩევანიც ცალ-ცალკე უნდა გაკეთდეს. არჩევანის გაკეთება კი მაშინ უნდა მოხდეს, როცა საბოლოოდ დარწმუნდებით, რომ ნამდვილად გსურთ პროფესიის ესა თუ ის კომპონენტი თქვენი მომავალი სამუშაოს შემადგენელი ნაწილი გახდეს.

9. დარწმუნდით, რომ თავსაგების ყოველი ნაწილი სწორად აირჩიეთ. თქვენი მომავალი კარიერა სახლს ჰგავს, რომლის აშენებაც თითოეული აგურის სწორად შერჩევა და მორგება სჭირდება. თქვენი პროფესიის შემადგენელი თითოეული „აგურის“ არჩევანი მხოლოდ მაშინ უნდა გააკეთოთ, როცა მის სისწორეში ნამდვილად იქნებით დარწმუნებული. არჩევანის სისწორეში დარწმუნება შემდეგნაირადაა შესაძლებელი: ამისათვის კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდეთ საკუთარ თავს და თავიდან გაიაზროთ სასურველი პროფესიის ის მახასიათებლები, რომელთა შესახებაც გადაწყვეტილება უკვე მიღებული გაქვთ. მაგალითად, შეიძლება დარწმუნებული ხართ, რომ ბიზნესის სფეროში იმუშავეთ ან პირიქით, ნამდვილად იცით, რომ ბიზნესის სამყაროში თქვენი ადგილი არ არის. სასურველი პროფესიისათვის/სამუშაოსათვის კონკრეტული მოთხოვნის წაყენებაც დაგეხმარებათ, რომ დარწმუნდეთ თქვენი გადაწყვეტილების სისწორეში.

10. აირჩიეთ რისკი და არა კომფორტი. დაიმახსოვრეთ, ყველა გიპის არჩევანი გულისხმობს საკუთარ თავში გარკვეულ რისკს. გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ არის, რადგან შეიძლება ყოველდღიური ცხოვრების ნაცნობ და კომფორტულ სტილზე უარის თქმა მოგიხდეთ. როდესაც გარკვეულ რისკზე მიდიხართ სრულყოფილ ცხოვრებას ირჩევთ, შესაბამისად, იძენთ მეტ გამოცდილებას, ფართოვდება თქვენი თვალსაწიერი, ამროვნება, შესაძლებლობები, ეცნობით თქვენი ცხოვრების სხვა სფეროებს. ნუ მოერიდებით რისკიან ქმედებებს, მთავარია სწორად ამოირჩიოთ, თუ რა გიპის რისკიანი ქცევა იქნება თქვენთვის წარმატების მომგანი.

11. გამოიკვლიეთ, რა გიპის პროფესიები/სამუშაოები შეესაბამება თქვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. თქვენ მიერ განსაზღვრული სამუშაოს ძირითადი კომპონენტები იმ პროფესიის/კარიერის მახასიათებლებს წარმოადგენს, რომლებიც შესაძლოა შეგესაბამებოდეთ. გამოიკვლიეთ, მიიღეთ ინფორმაცია და ჩამოწერეთ რამდენიმე შესაძლო პროფესია, რომელთა შესახებ შემდგომ უფრო მეტს გაიგებთ.

12. გამოიჩინეთ გამძლეობა წარმოქნილი წინააღმდეგობების მიმართ. მანამ არ გაჩერდეთ, სანამ მუსტად არ გეცოდინებათ, თუ რას აპირებთ ცხოვრებაში. წარმატების მიღწევა მხოლოდ გამძლეობის გამოჩენითაა შესაძლებელი. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად კარგია თქვენი იდეა ან რამდენად ძლიერია თქვენი ოცნება, შეუპოვრობის გარეშე ისინი განუხორციელებელი დარჩება. ადამიანთა უმეტესობას ურჩევნია ჩვეულ, კომფორტულ მდგომარეობაში დარჩეს, რაც ხელს უშლის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას.

13. მანამ განაგრძეთ შესაძლო პროფესიების სიის შემცირება, სანამ საკმარისი ცოდნა არ გექნებათ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. როდესაც თავსატეხის თითქმის ყველა ნაწილი შეერთებულია, ღვება მომავალი პროფესიის არჩევის დრო – საბოლოო პასუხს ნათელი თავისით არ მოეუწინება, არჩევანი თქვენ თვითონ უნდა გააკეთოთ. რამდენიმე კვირის ან თვის წინ შეიძლება ეს შეუძლებლად გეჩვენებოდეთ, მაგრამ ახლა უკვე მზად ხართ, რადგან თქვენ გულმოდგინედ მუშაობდით პაგარა გადაწყვეტილებების მიღებაზე, ახლა უკვე აღვილია საბოლოო არჩევანის გაკეთება.

14. და ბოლოს... როცა თავად გადაწყვეტთ რა უნდა აკეთოთ სიცოცხლის მანძილზე, თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყება. მოკლედ ის ამგვარად შეიძლება აღწეროთ: თქვენი მიზნისაკენ მიიწევთ, წინააღმდეგობები გხვდებათ, გულმოდგინედ ცდილობთ მათ ვადალახვას და წარმატებას აღწევთ!

გადაწყვეტილების მიღების გრადიციული მეთოდები

ცხოვრებაში ხშირად ისეთი არჩევანის გაკეთება გიწევთ, რომელმაც შეიძლება თქვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალოს. ერთმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ბედნიერება მოგიტანოთ, სხვამ კი დაგაშვებინოთ შეცდომა, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე იხანებთ. იქიდან გამომდინარე, რომ თქვენი მომავალი ცხოვრება მიღებულ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, ცხადია, რომ ადამიანისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი აღეკვამური გადაწყვეტილების მიღებაა.

თითოეული ადამიანი მისთვის არსებით საკითხებს ინდივიდუალურად უდგება. ბავშვობისა და მოზარდობის

ასაკში ვითვისებთ გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც, ჩვენი აზრით, კარგად მუშაობს. შემდეგ კი მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე გაუცნობიერებლად ვიღებთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, რომელთაც ამ მეთოდებს ვანდობთ. თავში აზრადაც კი არ მოგვდის იმის შეფასება, თუ რამდენად სწორია ამ გადაწყვეტილებების მიღების თქვენს მიერ შერჩეული გზა. ადამიანები ცნობიერ ღონემე იშვიათად თუ განიხილავენ ხერხებს, რომელთაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყენებენ. ჰკითხეთ საკუთარ თავს: „რამდენად კარგად მუშაობს გადაწყვეტილების მიღების ჩემეული მეთოდები? დარწმუნებული ვარ, რომ ხერხები, რომელთა დახმარებითაც დასკვნები გამომაქვს ყველაზე ეფექტიანია? შემძლია ვენდო მათ ისე, რომ დარწმუნებული ვიყო – მივიღებ ისეთ ცხოვრებას, როგორიც მინდა?“

თითოეული ადამიანი ყოველდღიურად ათასობით გადაწყვეტილებას იღებს, მაგალითად, თეთრი პერანგი ჩაიცვას თუ ლურჯი. უმეტეს შემთხვევაში გადაწყვეტილებებს ავტომატურად ვიღებთ. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტულ გადაწყვეტილებას ვიღებთ, რადგან სხვა გზა არ გვაქვს, ზოგჯერ კი არ გვჭირდება მრავალ ვარიანტს შორის არჩევანის გაკეთება. თავისუფალი არჩევანის გაკეთება იშვიათად თუ გვიწევს. ეს არც ისე ცუდია. რუტინული გადაწყვეტილებების ავტომატურად მიღება საშუალებას გვაძლევს მეტი დრო დავუთმოთ სხვა საკითხებს.

შეხედეთ, როგორ იღებთ გადაწყვეტილებებს თქვენ და როგორ აკეთებენ ამას სხვები. გაარკვიეთ რამდენად კარგად მუშაობს თქვენი ტრადიციული მეთოდები. სხვა ხერხების გამოხაზვა ხომ არ იქნებოდა უმჯობესი? ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე მეთოდი, რომელთაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხშირად იყენებენ:

- ⇒ *ლოგიკა, ანალიზი, საღი აზრი.* ეს მოაზროვნე ადამიანის მიდგომაა; ასეთი ადამიანი რაციონალური, წინდახედული, ზომიერი და დაბალანსებულია. იგი ჩამოწერს სავარაუდო პროფესიების დადებით და უარყოფით მხარეებს, ანიჭებს მათ წონებს, აჯამებს ქულებს და საუკეთესო ქულის მქონე პროფესიას ირჩევს. თუმცაღა ამ დროს ვერ ვიგყვით, რომ გადაწყვეტილება თვითონ მიიღო – მან ეს პასუხისმგებლობა კონკრეტულ წესებს მიანდო.
- ⇒ *გრძნობები, მისწრაფებები, ვაგაცებები.* ადამიანები, რომლებიც ემოციებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებას, ამბობენ ხოლმე, რომ ისინი ინტუიციას ენდობიან. არც ეს არის ცუდი, უბრალოდ ისევ და ისევ გადაწყვეტილებას ჩვენ მაგივრად ჩვენი ემოციები იღებს. გრძნობები და ემოციები ხშირად დროში სგაბილური არ არის.
- ⇒ *რომანტიკული სურვილები.* ხშირად ჩვენ წარმოვიდგენთ ხოლმე კარიერას და მოგვწონს წარმოსახული სურათი, თვალწინ საინტერესო და მიმზიდველი მომავალი გვიდგას. ამგვარი კარიერა მხოლოდ წარმოსახვაში არსებობს, ადამიანებს ავიწყლებათ, რომ მუშაობა „მიწაზე“ მოუწევთ. არარეალისტური მოლოდინები არჩეული კარიერით უკმაყოფილებას იწვევს.
- ⇒ *გარეშე ფაქტორები.* პროფესიის არჩევაზე მოქმედებს: მედია, ექსპერტები, მშობლები, მეგობრები, ქურნალები, კარიერის კონსულტანტები, ჰოროსკოპები – გასაოცარია, თუ რამდენი ადამიანი იღებს თავის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს სხვების რეკომენდაციების საფუძველზე. არ გახდეთ იურისტი იმიტომ, რომ მშობლები გააბედნიეროთ. მათ არ მოუწევთ ყოველ დღით თქვენთან ერთად ადგომა

და სამსახურში წასვლა. ყველაზე კარგად საკუთარ თავს მხოლოდ თქვენ იცნობთ და თქვენი ცხოვრება ყველაზე მეტად თქვენვე გადარღვბთ. გარეშე ფაქტორები ინფორმაციის მიღების ძალიან კარგი საშუალებაა, მაგრამ თქვენი გემის კაპიგნობას მათ ნუ მიანდობთ. პირველ რიგში გაარკვიეთ, თუ რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი. ამის შემდეგ კი შესაფერისი კარიერის ძიება მედიის, მშობლებისა და ექსპერტების დახმარებით დაიწყეთ.

⇒ *რეაქცია, წინააღმდეგობა, დამყოლობა.* თქვენ იმას აკეთებთ, რასაც თქვენგან მოელიან... ან იმის საწინააღმდეგოს აკეთებთ, რასაც გეუბნებიან... ყოველივე ეს მარიონეტად გაქცევთ. წინააღმდეგობის გაწევა და დამყოლობა ერთი მონეტის ორი მხარეა. ეს ყველაფერი გარე გამლიზიანებელზე რეაქციას წარმოადგენს. თქვენ, როგორც გადაწყვეტილების მიმღები, არსად ჩანხართ.

⇒ *შემთხვევითობა.* მიჰყვებით დინებას, ელოდებით, როდის გაირკვევა ყველაფერი თავისით, ირჩევთ სამსახურს, რომელიც თქვენგან ნაკლებ ძალისხმევას ითხოვს, პროფესია მხოლოდ იმიტომ მოგწონთ, რომ დასაქმების შანსი მაღალია. გამოდის, რომ არაფერსა აქვს მნიშვნელობა, შეიძლება თქვენ, როგორც პიროვნებაც კი არ იყოთ მნიშვნელოვანი. ამ მეთოდის გამოყენებით, ფაქტობრივად, ბედისწერას ანდობთ არჩევანის გაკეთებას, შედეგად კი შეიძლება იმელები გაგიცრუვდეთ.

⇒ *„უნდა“ და „კი, მაგრამ“.* აღამიანს ხშირად შინაგანი ხმა ეუბნება, რას უნდა აკეთებდეს და რას – არა. შინაგანი ხმა მუდმივად აღარებს ჩვენს ქცევას დადგენილ სტანდარტებსა და იდეალებს. ეს ხმა მიმზიდველობის, ინტელექტის, სოციალური ფენის, შესაძლებლობებისა და

სხვა კრიტიკერიუმების მიხედვით გვაფასებს ჩვენ და ადამიანებს, რომლებსაც ვხვდებით. სამწუხაროდ, შინაგან ხმას არ გააჩნია წარმოსახვის უნარი და არ შეუძლია იმ შესაძლებლობების წარმოდგენა, რომლებიც თქვენი გამოცდილების მიღმა რჩება. ის გვკარნახობს, რა „უნდა“ გავაკეთოთ. შეიძლება მოგწონდეთ პროფესია, მაგრამ იფიქროთ, რომ არა გაქვთ საჭირო უნარები ან მაგერიალური რესურსი მის დასაუფლებლად. „კი, მაგრამ“... წინააღმდეგობა ძალიან ხშირად შეიძლება შეგხვდეთ, ეს არის ადამიანის რეაქცია ისეთ გარეშე ფაქტორზე, რომელიც შიშსა და შფოთვას იწვევს. „უნდა“ და „კი, მაგრამ“ ერთმანეთის მსგავსად მოქმედებს და აფერხებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

გაკეთეთ თავისუფალი არჩევანი

სრულიადაც არაფერია ცუდი იმაში, თუ გადაწყვეტილების მიღების დროს რომელიმე ან რამდენიმე გემოთ ჩამოთვლილ მეთოდს იყენებთ. ათასწლეულების მანძილზე ადამიანები მათ წარმატებით იყენებდნენ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდებიდან რომელიმეს გამოყენება, გარკვეული წესებისათვის გადაწყვეტილების უფლების დათმობაა – ეს კი თქვენი არჩევანი არ არის.

ამ მეთოდის უარყოფითი მხარე გახლავთ ის, რომ შეიძლება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდეთ. ბევრი ადამიანი ვერასდროს უახლოვდება ფინიშს. ისინი მიდიან გარკვეულ ეტაპამდე, თუმცა მათთვის სასურველ ადგილას შეიძლება ვერასოდეს აღმოჩნდნენ. ისინი გრძნობენ, რომ რეალურად გადაწყვეტილება არ მიუღიათ და მართლებიც არიან. მათი ამბივალენტურობა

(გაორება) იწვევს დაურწმუნებლობას, რის შედეგსაც დაძაბული და არაფოკუსირებული ქმედებები წარმოადგენს.

დამახსოვრეთ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ჩვენი პიროვნული სტანდარტებიდან გამომდინარე ვიღებთ. იმისათვის, რომ თქვენი ოცნებები ახდეს, 100 პროცენტით დარწმუნდით – ყოველი გადაწყვეტილების უკან თქვენ დგახართ! ხოლო საუკეთესო გზა იმისათვის, რომ თქვენი გადაწყვეტილებების უკან 100 პროცენტით თქვენ იდგეთ, თავისუფალი არჩევანის გაკეთებაა.

რა იგულისხმება თავისუფალ არჩევანში? შესაძლო განსაზღვრება შემდეგნაირად გამოიყურება: „თავისუფლად არჩევა, შინაარსიანი, ღრმა განხილვის შედეგად“. საკუთარი არჩევანის გასაკეთებლად ახალი უნარების დაუფლებაა საჭირო:

მიაქციეთ ყურადღება, დააკვირდით, როგორ იღებთ გადაწყვეტილებას. ეს გახლავთ თავისუფალი არჩევანის გაკეთებისათვის აუცილებელი პირველი ნაბიჯი. დააკვირდით, რა ხდება რეალურად, როცა გადაწყვეტილებას იღებთ. გაიხსენეთ თქვენ მიერ მიღებული სამი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. კიდევ ერთხელ თანამიმდევრობით წარმოიდგინეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი თავიდან ბოლომდე. რა გააკეთეთ პირველ რიგში? რა მოხდა ამის შემდეგ? გადაწყვეტილების მიღების რომელ მეთოდს იყენებდით: ლოგიკას, ანალიზს, საღ აზრს, ემოციებს, რომანტიკულ სურვილებს, გარეშე ფაქტორებსა თუ რაიმე სხვას. თავდაპირველად ერთი მეთოდის გამოყენება დაიწყეთ, თუ რამდენიმეს? შეცვალეთ თუ არა შემდგომში გადაწყვეტილების მიღების მეთოდი? არსებობს მეთოდი, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობით, თუ მათ კომბინაციას იყენებთ? გაჰყევით გადაწყვეტილების მიღების პროცესს ბოლომდე. ამგვარად ნათელი წარმოდგენა შეგექმნებათ გადაწყვეტილების მიღების თქვენთვის დამახასიათებელი სტილის შესახებ.

შემდეგი კითხვა, რომელიც საკუთარ თავს უნდა დაუსვავთ, გახლავთ ის, თუ რამდენად კარგად მუშაობს იდენტიფიცირებული მეთოდები ან მეთოდი თქვენს შემთხვევაში. საბოლოოდ, იღებთ თუ არა იმას, რაც გინდათ? რამდენად სტაბილურია დროში თქვენი გადაწყვეტილებები? ყოველთვის გრძნობთ, რომ გაკეთებული არჩევანი სწორია? თუ არა, სად გიმცყუნათ გამოყენებულმა მეთოდებმა? როგორ ფიქრობთ, გადაწყვეტილება თქვენით მიიღეთ, თუ „მეთოდმა გადაწყვიტა“ თქვენ მაგივრად? როდესაც სხვა მეთოდის გამოყენება დაიწყეთ, გამოიწვია თუ არა ამან შედეგის გაუმჯობესება? თუ მიიჩნევთ, რომ გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარება თქვენთვის სასარგებლო იქნება, შემდეგი მეთოდი განიხილეთ:

ყველაფერი შეისწავლეთ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც კითხვას სვამთ. თავისუფალი არჩევანი შინაარსიანი, ღრმა განხილვის შედეგად კეთდება.

თქვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ფლობის გარეშე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება სერიოზულ რისკს შეიცავს. რაც უფრო მეტი იცით, მით უფრო სწორ არჩევანს გააკეთებთ. „შინაარსიანი, ღრმა განხილვა“ გულისხმობს ზედმიწევნით მუსტ კვლევას, შესწავლას, განხილვას, თვითჩალრმავებას და ა. შ.

რა უნდა მოიძიოთ და რას უნდა ჩაუღრმავდეთ? ყველაფერს, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. საბედნიეროდ, თქვენ უკვე გაქვთ კვლევა-ძიებისათვის საჭირო ბევრი მეთოდი. გადაწყვეტილების მიღების გრადიციული მეთოდები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ კვლევისთვისაც კარგი ინსტრუმენტებია. ინფორმაციის მიღების მიზნით მათი გამოყენება სრულიად განსხვავდება ამ მეთოდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში

კრედიტით, არჩევან
თავი 2
49

გამოყენებისაგან. არჩევანის გასაკეთებლად გადაწყვეტილების მიღების გრადიციული მეთოდების კვლევა-ძიებაში გამოყენება შემდეგნაირად შეგიძლიათ:

- ⇒ *ლოგიკა, ანალიზი, სალი აზრი.* იკითხეთ თქვენთვის საინტერესო სფეროსათვის განკუთვნილი წიგნები და ჟურნალები. ჩამოწერეთ ყველა მნიშვნელოვანი კითხვა, რომლებზეც გადაწყვეტილების მისაღებად პასუხის გაცემა გჭირდებათ. გამოიყენეთ პროფესიული ორიენტაციის საკვლევი ტესტები თქვენი შესაძლებლობებისა და პიროვნების შესაფასებლად.
- ⇒ *გრძნობები, მისწრაფებები, სურვილები, ინტუიცია.* შეისწავლეთ თქვენი შინაგანი რესურსი, რადგან ის გადაწყვეტილების მიღების პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.
- ⇒ *რომანტიკული სურვილები.* თუ თქვენ იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებით, რომლებსაც რაიმე საკითხით განსაკუთრებული გაგაცემა ახასიათებს, ცივი გონებით შეხედეთ სიგუაციას. დაიმახსოვრეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან ვიყვართ ადამიანები, არ შეიძლება ექიმი გახდეთ... რაიმეს ყოველდღიურად კეთება შესაძლოა სრულიად განსხვავებოდეს იმისაგან, რითიც ჰობის დონეზე ხართ დაკავებული ანდა იმისაგან, რაც ოცნებებში წარმოგიდგენიათ.
- ⇒ *გარეშე ფაქტორები.* შეეკითხეთ ყველას, ვისაც ინფორმაცია აქვს თქვენთვის სასურველი პროფესიების შესახებ – განსაკუთრებით ამ პროფესიებით მომუშავე ადამიანებს. გაესაუბრეთ მათ იმისათვის, რომ თქვენი პირადი შეხედულებები ჩამოგიყალიბდეთ. დაუსვით კითხვები მეგობრებსა და ოჯახს. ნუ დაეყრდნობით მხოლოდ ინტერნეტ და ბეჭდურ წყაროებს – ესაუბრეთ რეალურ ადამიანებს.

- ⇒ *რეაქცია, წინააღმდეგობა, დამყოლობა.* უარყოფითი ემოციები და რეაქციები ძლიერ რესურსს წარმოადგენს. რა დამოკიდებულება აქვთ ადამიანებს ამა თუ იმ საკითხის მიმართ ბევრად უფრო მარტივია გაარკვიოთ იმის კითხვით, თუ რა არ მოსწონთ, ვიდრე – რა მოსწონთ. ადამიანებისათვის ყოველთვის ნათელია, თუ რა არ მოსწონთ. კარიერის კონსულტანტები ხშირად ისმენენ კლიენტებისაგან: „არ ვიცი, რა მინდა, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რა არ მინდა“. თუ შედარებით დამყოლი ადამიანი ხართ, დააკვირდით, რაიმე კონკრეტული მიმართულებით ხომ არ მიყავხართ ღინებას? გინდათ, რომ მან თქვენ მაგივრად გააკეთოს არჩევანი?
- ⇒ *შემთხვევითობა.* არ იფიქროთ, რომ შემთხვევითობის მეთოდის გამოყენება უსარგებლოა. ზოგჯერ, რაც შემთხვევითობად გვეჩვენება, შეიძლება სულაც არ იყოს ასეთი. როგორ უნდა გამოიყენოთ შემთხვევითობა თქვენს სასარგებლოდ? სამწუხაროდ, ამისათვის განკუთვნილი წესები არ არსებობს. ამიგომ ჰქვია მას შემთხვევითობა. უბრალოდ დაიმახსოვრეთ, მოვლენები, რომლებიც შემთხვევითად გეჩვენებათ, თქვენი „თავსატყუარის“ მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება იყოს.
- ⇒ *„უნდა“ და „კი, მაგრამ“.* შინაგანი ხმა, რომელიც მუდმივად გკარნახობთ ახალი შესაძლებლობების საწინააღმდეგო მოსაზრებებს და თქვენს ყოველ ნაბიჯს სტანდარტებსა და იდეალებს ადარებს, შეიძლება ეფექტურად გამოიყენოთ. ზოგჯერ ისინი პრაქტიკულ, რეალისტურ და ღირებულ შეხედულებებს გთავაზობენ. იმისათვის, რომ თავისუფალი გადაწყვეტილება მიიღოთ, თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რა გინდათ და რა შეზღუდვები აქვს თქვენს წინასწარ არჩევანს.

გაკეთეთ არჩევანი. მას შემდეგ, რაც შესაფერისი პროფესიის/კარიერის ძიებისას ყველა შესაძლო ფაქტორი გაითვალისწინეთ, ღგება არჩევანის გაკეთების მომენტი. იქიდან გამომდინარე, რომ პროფესია ხელშესახებ ნივთს არ წარმოადგენს, შესაბამისად, ხელს ვერ გაიწვდით რომელიმეს ამოსარჩევად, სასურველია, თქვენი ვარიანტები ფურცელზე ჩამოწერთ და რომელიმე აირჩიოთ. სულ ეს არის. გაწეული სამუშაოს შემდეგ თქვენ იცით, რომ არჩევანი შემთხვევით არ გაგიკეთებიათ. თქვენ ბევრი იკვლიეთ, გაეცანით ყველაფერს, რაც პროფესიასა და კარიერას უკავშირდება, ესაუბრეთ ადამიანებს, შეისწავლეთ თქვენი შინაგანი სამყარო, შესაძლებლობები და მიღრეკილებები. ახლა უკვე იცით, რომ საუკეთესო დროა იმისათვის, რომ არჩევანი თვითონ გააკეთოთ.

თუ გადაწყვეტილებას ვერ იღებთ . . .

თუ მაინც გიჭირთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, არ შეშინდეთ. ამაში უჩვეულო არაფერია. ადამიანთა უმეტესობას უჭირს ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელთაც მათთვის მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება ხოლმე. თუმცაღა ჯობს გადაწყვიტოთ, ვიდრე უბრალოდ ელოდოთ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ძირითადად შემდეგი მიზეზები აფერხებს:

⇒ **შეიძლება შეცდომას ვუშვებ და არასწორად ვირჩევ პროფესიას.** რა თქმა უნდა, არასწორი გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებითაა შესაძლებელი, მაგალითად, სად იცხოვროთ, ვისთან ერთად გააგაროთ ცხოვრება, რა პროფესიას დაეუფლოთ. რამაც შეიძლება დაგამშვიდოთ არის ის, რომ შეცდომებს ყველა უშვებს. პროფესიის

არასწორად არჩევის ძირითადი წინაპირობა მომზადების არასაკმარისი ღონეა. თუ გელმწივენით დაიცავთ გადაწყვეტილების მიღების გემოთ ჩამოთვლილ ნაბიჯებს, გამოიყენებთ ინფორმაციის მიღების მეთოდებსა და გააკეთებთ თავისუფალ არჩევანს, დიდი ალბათობით, წარმატებას მიაღწევთ. თუმცადა, უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიის არჩევა არ არის მათემატიკა. გარანტიას ვერაფერს მოგცემთ, რომ გადაწყვეტილება სწორად მიიღეთ. თქვენ უბრალოდ უნდა გარისკოთ.

- ⇒ არა ვარ დარწმუნებული, შევძლებ თუ არა. თუ არა ხართ თქვენს შესაძლებლობებში დარწმუნებული, ფიქრობთ, რომ შეიძლება სასურველი პროფესიით მუშაობამ წარმატება ვერ მოგიტანოთ, სასურველია კიდევ უფრო მეტი გაიგოთ საკუთარი თავის შესახებ. ამისათვის შეგიძლიათ პროფესიულ კონსულტანტებს მიმართოთ, რომლებიც სხვადასხვა მეთოდის, მათ შორის ტესტების დახმარებით, შეეცდებიან თვითგამორკვევაში დაგეხმარონ.
- ⇒ შეიძლება ვერ განსაზღვრეთ პროფესიის საკმარისად ხარისხიანი კომპონენტები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თქვენ განსაზღვრავთ იმ კომპონენტებსა და მახასიათებლებს, რომლებიც გსურთ თქვენს მომავალ პროფესიას გააჩნდეს. სწორედ ამ მახასიათებლებმა უნდა მიგიტოთონ, კონკრეტულად რომელი პროფესიები შეგესაბამებათ. კიდევ ერთხელ გადახედეთ თქვენ მიერ ჩამოწერილ კომპონენტებს. შესაძლებელია, რომ საკმაოდ გრძელი სია გქონდეთ, მაგრამ თქვენი კომპონენტები არ იყოს მკაფიო და მხოლოდ რომელიმე კონკრეტული პროფესიების ჯგუფისათვის დამახასიათებელი. ამგვარად, გამოდის, რომ უამრავი

პროფესიიდან ყველაფერი შეგუფერებათ – გადაწყვეტილებას კვლავ ვერ იღებთ. შეამოწმეთ თქვენ მიერ დასახელებული კომპონენტები, მაგალითად, წაუკითხეთ მეგობრებს. თუ ისინი, ამ მახასიათებლებიდან გამომდინარე, ერთ პროფესიასაც ვერ შემოგთავაზებენ ან პირიქით, უამრავ ვარიანტს დაგისახელებენ, ესე იგი, პროფესიის კომპონენტების უფრო მეტად დამუხტება და დაკონკრეტება გესაჭიროებათ.

⇒ **რამდენად კარგად გაქვთ განვითარებული სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი?** თუ გადაწყვეტილებას იმიტომ არ იღებთ, რომ დარწმუნებული არა ხართ მათ სისწორეში, დაუბრუნდით გადაწყვეტილების მიღების ნაბიჯებისა და თავისუფალი არჩევანის გაკეთების პროცესს.

⇒ **შეიძლება გადაწყვიტეთ, რომ არ გადაწყვიტოთ.** როდესაც ადამიანები ამბობენ, „მინდა ამის შესახებ ცოტა ხანი კიდევ ვიფიქრო“ ან „მსურს კიდევ ერთხელ განვიხილო ეს საკითხი“, ისინი ხანდახან თავს იტყუებენ. რეალურად ისინი შეიძლება არაცნობიერად წყვეტენ, რომ საბოლოო არჩევანი არ გააკეთონ. გადაწყვეტილების მიღების გადადებას ჯანსაღი გადაწყვეტილებაა, თუმცაღა თქვენთვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ ამას ცნობიერ ღონეზე გააკეთებთ, როდესაც თქვენს ცხოვრებას თქვენვე მართავთ და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობას თქვენ იღებთ.

⇒ **ხომ არ ცდილობთ შესაძლებლობების ღია დაგოვებას?** ბოგიერთი ადამიანი ამჯობინებს მოიცადოს და შეხედოს, როგორ ვითარდება სიტუაცია. იმისათვის, რომ ცვლილებებთან შეგუება შეძლონ, ისინი ყველა შესაძლებლობის ღია დაგოვებას ცდილობენ. მათთვის

ბუნებრივია გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავება. თუ თქვენ, ჩვეულებრივ, ღინებას მიჰყვებით, უმჯობესია სწორედ ამ მახასიათებლის შესაბამისი პროფესია აირჩიოთ, მაგრამ იმისათვის, რომ თქვენთვის იდეალური პროფესია იპოვოთ, მაინც მოგიწევთ საკუთარ თავს არჩევანის გაკეთებისაკენ უბიძგოთ. მოგჯერ გრძნობთ, რომ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება მიმზიდველი ვარიანტების არჩევის შესაძლებლობას გიკარგავთ, თუმცაღა გადაწყვეტილებებს ხომ ყოველდღიურად იღებთ ყოველგვარი მღელვარებისა და შფოთვის გარეშე?!

⇒ **იმდენი რამის გაკეთება მინდა...** აქ მთავარი ის არის, რომ ყველაფრის ერთდროულად გაკეთება შეუძლებელია. ჩვენ ადამიანები ვართ, რომელთაც შეზღუდული ღრო, ენერჯია და სასიცოცხლო ციკლი გვაქვს. აკეთოთ ის, რაც გიყვართ, აკეთოთ ის კარგად და ამისათვის კარგი ანაზღაურება მიიღოთ, ბევრად უკეთესია, ვიდრე თავი აარიდოთ ერთი მიმართულებით არჩევანის გაკეთებას. ერთ საქმეში დახელოვნებასა და წარმატების მიღწევას ადამიანის ცხოვრების ღიდი ნაწილი მიაქვს. დაფიქრდით, ადამიანთა უმეტესობა, რომლებითაც აღფრთოვანებული ხართ, კარგად ერთ საქმეს აკეთებს. მხოლოდ ძალიან ცოტა ადამიანი თუ აღწევს წარმატებას ბევრ სფეროში ერთად, რომელთა უმეტესობაც ჯერ ერთ სფეროში დახელოვნდა, შემდეგ კი ახალ მიმართულებებს დაეუფლა.

⇒ **მოგჯერ დასაბუთებული მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ თავი შეიკავოთ საბოლოო არჩევანის გაკეთებისაგან.** მოგჯერ ადამიანს უნდა იცოდეს უფრო მეტი, ვიდრე იმ პერიოდშია შესაძლებელი. თუ თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ, შეგიძლიათ გაიაროთ სასწავლო კურსები, სტაჟიორად იმუშაოთ რომელიმე

ორგანიზაციაში ან უბრალოდ მოიკიდოთ ბურგანთა და იმოგზაუროთ. ეს ყველაფერი თვალსაწიერის გაფართოებაში დაგეხმარებათ, რაც შემდგომ შესაძლოა დაგეხმაროთ პროფესიის სწორად არჩევაში.

პროფესიის არჩევისას დაშვებული შეცდომები

ყოველ ადამიანს მისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მიღგომები გააჩნია. ბევრის გონება, სავსეა ცრურწმენებით ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ხშირად ადამიანებს პროფესიების შესახებ მცდარი შეხედულებები უყალიბდებათ. ზოგიერთი მათგანი კი პროფესიის არჩევის პროცესს მხოლოდ ერთი მხრიდან უყურებს. განვიხილოთ გიპური შეცდომები, რომელთაც ადამიანები პროფესიის არჩევის დროს უშვებენ ხოლმე. მათი გაცნობიერება საშუალებას მოგვცემთ ყოველგვარი ცრურწმენისა და გავლენის გარეშე მიიღოთ გადაწყვეტილება.

1. პროფესიის არჩევა ცხოვრებაში მუდმივად ერთი და იმავე საქმის კეთებას გულისხმობს. პროფესიის არჩევისას ადამიანები ხშირად ფიქრობენ, რომ უნდა აირჩიონ ისეთი პროფესია, რომლის სამსახურშიც მთელი ცხოვრების მანძილზე იქნებიან. ისინი არ უშვებენ, რომ ოდესმე მისი შეცვლა იქნება შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ბევრი ფიქრობს, რომ წარუმატებელმა არჩევანმა შეიძლება „ფაგალური“ შედეგი მოუტანოს. თუმცადა, დღესდღეობით, წარმატებული კარიერის მქონე ადამიანები მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლობენ, ხშირად ისინი სხვა მომიჯნავე პროფესიებსაც ეუფლებიან და ამგვარად განაგრძობენ კარიერულ წინსვლას.

2. პროფესიების ღირსეულ და ნაკლებად ღირსეულ კატეგორიებად დაყოფა. პროფესიის პრესტიჟულობა, „მოდურობა“, არ წარმოადგენს კარიერული წარმატების გარანტიას. ზოგ პროფესიას ადამიანები „სასირცხვილოდ“ მიიჩნევენ. ასეთ შეხედულებებზე დაყრდნობით მსჯელობა სწორი არ არის, რადგან საზოგადოებისათვის ნებისმიერი სამუშაო მნიშვნელოვანია. მაგალითად, ბევრ დასავლურ

ქვეყანაში ისეთი არაპრესტიჟული პროფესია, როგორცაა დასუფთავების სამსახურის მუშაკი, უფრო მაღალანაზღაურებადია, ვიდრე პრესტიჟული შემოქმედებითი პროფესიები.

3. მეგობრებისა და ოჯახის პირდაპირი ან ირიბი გავლენა. პროფესიის არჩევის პროცესში მეგობრები ხშირად უზიარებენ ერთმანეთს შეხედულებებს. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მეგობრების აზრის გათვალისწინება, რომლებიც კარგად გიცნობენ და გულწრფელი და დასაბუთებული რჩევების მოცემა შეუძლიათ. თუმცადა ხშირად მეგობრებზე ორიენტირებული ადამიანი მათ მსგავს არჩევანს აკეთებს, ანუ, მაგალითად, იმიტომ სურს იურისტობა, რომ ამ პროფესიით მისი მეგობრები არიან დაინტერესებულნი. შეიძლება სამეგობროდან ერთ-ერთს პროფესია სრულიად დასაბუთებულად ჰქონდეს არჩეული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ ერთის აზრი ყველა დანარჩენმა უნდა გაითვალისწინოს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

პროფესიის არჩევისას მოზარდები ხშირად მშობლების გავლენის ქვეშ ექცევიან. ზოგიერთ ოჯახში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახის გრადიციულ პროფესიებს და შვილებსაც მათი დაუფლებისაკენ უბიძგებენ. აგრეთვე, ხშირად მშობლების სურვილია, რომ მათმა შვილებმა პრესტიჟული პროფესია შეისწავლონ. მშობლების მოსაზრების გათვალისწინება და რჩევების გააზრება საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა, გახსოვდეთ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც თქვენი მისაღებია.

4. ადამიანის მიმართ დამოკიდებულების გადაგანა მის პროფესიაზე. ინდივიდი შეიძლება ამა თუ იმ პროფესიით მხოლოდ იმიტომ დაინტერესდეს, რომ მისთვის მოსაწონი და საყვარელი ადამიანი ამ სფეროში მუშაობს. მაგალითად,

შესაძლოა იცნობდეთ მეცნიერს, რომელიც არაჩვეულებრივი ადამიანია. ამ დროს იწყებთ ფიქრს, რომ ყველა მეცნიერი კარგი ადამიანია და ინტერესდებით ამ პროფესიით. თუმცაღა მნიშვნელოვანია არ დაგავიწყდეთ, რომ თვითონ პროფესია კი არ განსაზღვრავს ადამიანის ავკარგიანობას, არამედ ყველა პროფესიაში მოიძებნება ჭკვიანი, მოწესრიგებული, სასიამოვნო ადამიანები.

5. პროფესიის მხოლოდ ერთი კონკრეტული კუთხით დაინტერესება. ხშირად ადამიანები პროფესიის მხოლოდ მიმზიდველ მხარეებს ხედავენ. მაგალითად, შეიძლება მიგიზიდოთ გეოლოგის პროფესიამ, რადგან ის ბევრ მოგზაურობას მოითხოვს. თუმცა ამ დროს არ უფიქრდებით, რომ მოგზაურობასთან ერთად ეს პროფესია თქვენგან გულმოდგინე შრომასა და ხშირად რუტინული დავალებების შესრულებას მოითხოვს. იმედგაცრუების თავიდან ასარიდებლად, მნიშვნელოვანია, რომ პროფესიის არჩევისას მისი ყველა მახასიათებელი შეისწავლოთ.

6. სასკოლო საგნების გაიგივება პროფესიასთან. იდეალურ შემთხვევაში სასკოლო საგნები ერთგვარ პროფორიენტაციულ როლს ასრულებს: მათი დახმარებით მოსწავლე შესაძლო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ეცნობა. უმეტეს შემთხვევაში კი სასკოლო საგნების სწავლება მოკლებულია პრაქტიკას და მხოლოდ თეორიამაჲა დაფუძნებული, რეალურ ცხოვრებაში კი კონკრეტული პროფესია ისეთი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს, როგორებიცაა კოლეგებთან, უფროსებთან დამკვეთებთან და კლიენტებთან ურთიერთობა, რის შესახებაც სკოლაში ფაქტობრივად არ საუბრობენ.

7. მოძველებული წარმოდგენა ქარხნებსა და წარმოების სფეროში მუშაობის შესახებ. აქ იგულისხმება

ის, რომ ადრე მრავალი პროფესია ხელით მუშობას, ფიზიკურ დატვირთვასა და რუგინული დაზარალებების შესრულებას მოითხოვდა. დასაქმებულები ძირითადად არახელსაყრელ პირობებში (დაბინძურება, ხმაური, საწარმოო გრავიმის მიღების საშიშროება) მუშაობდნენ. თუმცა, დღესდღეობით, ბევრ საწარმოში თანამშრომლებს გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ შექმნილი. თანამედროვე ქარხნებში ტექნოლოგიური პროცესების უმეტესობა ავტომატიზებულია, რაც უკვე აღარ მოითხოვს ფიზიკურ და ფსიქოფიზიოლოგიურ დატვირთვას.

8. საკუთარი პიროვნული თვისებების არცოდნა. რა თქმა უნდა, არც ისე ადვილია ჩაუღრმავდეთ საკუთარ პიროვნულ თვისებებსა და გაარკვიოთ, რისი კეთება გსურთ სამომავლოდ, თუმცა ამის გარეშე დასახული მიზნების მიღწევა რთულდება. ეს კი ნამდვილად არ წარმოადგენს წარმატებულ არჩევანს, რომელსაც კმაყოფილება და სიამოვნება მოაქვს.

9. იმ საკუთარი ფიზიკური მახასიათებლებისა თუ ნაკლოვანებების არცოდნა ან შეუფასებლობა, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიისათვის. ადამიანს, რომელსაც არა აქვს გაცნობიერებული თავისი ფიზიკური შესაძლებლობები, შეიძლება გაუჭირდეს როგორც დასახული მიზნების, ისე პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება. სამუშაო, რომელიც მოითხოვს იდეალურ ჯანმრთელობას, ფიზიკურ და სტრესის მიმართ გამძლეობას, შეიძლება მოუშვადებელ ადამიანში ძლიერი სტრესი ან ნერვული აშლილობა გამოიწვიოს. აგრეთვე, იზრდება შეცდომების რისკი, რომელთაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს.

10. პროფესიების „სასიცოცხლო ციკლის“ შეუფასებლობა. სამოგალოების, ინდუსტრიისა და წარმოების განვითარებასთან ერთად პროფესიების

ვითარდება, სახეს იცვლის, ზოგიერთი კი საერთოდ „კვდება“. შესაბამისად, პროფესიის არჩევას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აწმყოში არსებული სიგუაციის შეფასება, არამედ სამომავლო პერსპექტივების განჭვრეტა და შესაფერისი გადაწყვეტილების ამის შემდეგ მიღება.

რომ შევაჯამოთ, პროფესიის არჩევის დროს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი უნდა გაითვალისწინოთ: პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გადაწყვიტოთ, რომ გადაწყვიტოთ. შემდეგ უნდა გამოყოთ ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც გსურთ, რომ თქვენს მომავალ პროფესიას გააჩნდეს. ამასთან ერთად, უნდა გაიაზროთ საკუთარი პიროვნული თვისებები, ღირებულებები, ფიზიკური და ფსიქიკური უნარ-შესაძლებლობები, მისწრაფებები და მიღრეკილებები. ამ ინფორმაციის მოგროვების ბოლოს უნდა გამოკვეთოთ ის პროფესიები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენ მიერ დასახელებულ ძირითად კომპონენტებს. დაიმასხოვრეთ, ინფორმაციის მიღება ნებისმიერი წყაროდან შეგიძლიათ, მთავარია გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოთ. არ მოექცეთ არც შინაგანი და არც გარეგანი ფაქტორების გავლენის ქვეშ. გააკეთეთ თავისუფალი არჩევანი!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Nicholas Lore; The Pathfinder – How to Choose or Change Your Career for a Lifetime of Satisfaction and Success; A Touchstone book – A Division of Simon & Schuster, Inc., 1998.
2. Е. В. Гудкова; Основы Профориентации и Профессионального Консультирования; Издательство ЮурГУ, 2004.

3

ღირებულებები

ბევრი თქვენგანი ალბათ ფიქრობს, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული ჯილდოს მისაღებად მუშაობს. ჯილდო შეიძლება იყოს მაგერიალური, მაგალითად, ხელფასი. თუმცა, სწორად არჩეული პროფესიისაგან თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ხელფასია. თუ სამუშაო გაჯილდოვებით იმით, რომ სრულად პასუხობს თქვენს ღირებულებათა სისტემას, მაშინ პროფესიული კმაყოფილების გზას ადგახართ.

პროფესიული კონსულტაციის ბევრი პროგრამა პიროვნების ღირებულებებს ეფუძნება. ისინი ცდილობენ გაარკვიონ, რა ღირებულებებია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და თქვენი კარიერა მათზე დაყრდნობით დაგეგმონ. მაგრამ რას გულისხმობს ღირებულების ცნება? განმარტების თანახმად, ღირებულება ესაა პრინციპი ან სტანდარტი, რომელსაც აღიარებს ინდივიდი, ჯგუფი ან საზოგადოება. საზოგადოებას შეიძლება გააჩნდეს გრადიციული ღირებულებები, როგორებიცაა თანასწორობა, სიკეთის

თავისუფლება, სამართლიანობა და ა. შ. ინდივიდები კი ხშირ შემთხვევაში საზოგადოებისაგან სრულიად განსხვავებული ღირებულებათა სისტემით ხელმძღვანელობენ. ღირებულება გამოხატავს ადამიანის რწმენას, შეხედულებებს, იდეალებსა თუ ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მისი ცხოვრების სტილს. ღირებულებები, ხშირ შემთხვევაში, განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში და გავლენას ახდენენ მის გადაწყვეტილებებზე. პიროვნული ღირებულებების მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ პატიოსნება, ღირსება, დამოუკიდებლობა, აღიარება და ა. შ.

ღირებულებები ფოკუსირებულია ადამიანისათვის სასურველ მდგომარეობაზე და შრომითი ქცევის ათვისების საფუძველს წარმოადგენს, ამიგომ კონკრეტული პროფესიის არჩევისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ ის უნდა შეესაბამებოდეს თქვენი პიროვნული ღირებულებების გარკვეულ ერთობლიობას. ღირებულებები სამსახურებრივ ურთიერთობებსაც განსაზღვრავს. მაგალითად, თუ ადამიანი მუშაობს ისეთ გუნდში, რომლის წევრებსაც მისგან განსხვავებული ღირებულებები აქვთ, შესაძლოა კონფლიქტი წარმოიშვას. ადამიანი ვერ იქნება ბედნიერი, როცა მისი პროფესიული საქმიანობა მის ღირებულებებს ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, საკუთარი პიროვნული ღირებულებების იდენტიფიცირება და იმის გაცნობიერება, თუ რა გავლენას ახდენენ ისინი ინდივიდის კმაყოფილებაზე, მოგივაციასა და კეთილდღეობაზე – ესაა

წარმატებული პროფესიული არჩევანის
უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

ღირებულებათა საკვლევ ინსტრუმენტებში ხშირად
წარმოდგენილია ღირებულებათა ვრცელი
ჩამონათვალი, თუმცა არ არის გამოყოფილი ის
საკვანძო ღირებულებები, რომლებიც უშუალოდ
საუკეთესო პროფესიის არჩევაში დაეხმარება
აღამიანს. მიზეზი კი არის ის, რომ ისინი მოიცავს
ყველაფერს, რითიც ცხოვრების განმავლობაში
ხელმძღვანელობთ – თქვენს იდეალებს, სურვილებს,
სტანდარტებს, პრიორიტეტებსა და ნამდვილ
ღირებულებებს. თქვენ უნდა განასხვავოთ ეს
კატეგორიები ერთმანეთისაგან, რათა ფოკუსირება
მოახდინოთ იმ ღირებულებებზე, რომლებიც კარიერის
დაგეგმვის ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია.

იდეალები

იდეალი ეს არის სრულყოფილების ხაგი ან
მოდელი, რომელიც არსებობს, როგორც მხოლოდ
არარეალური წარმოდგენა. ესაა ჩვენი უკიდურესი,
უსაზღვრო მიზანი და არა ის, რასაც ჩვენი
ჩვეულებრივი ცხოვრება წარმოადგენს. იდეალური
აღამიანები ყოველთვის საკუთარი იდეალებისაკენ
მიისწრაფვიან. ისინი ხშირად აღწევენ კიდევ მიზანს.
ბევრი ჩვენგანი კი მხოლოდ მცირედით ცდილობს
საკუთარი ცხოვრება იდეალების მიხედვით
წარმართოს და ზოგჯერ საერთოდ ვერ ახერხებს ამას.

იდეალები სრულყოფილი ცხოვრების ხაგს
გაძლევთ, რომლისაკენაც უნდა ისწრაფოდეთ. თუ
თქვენ საკუთარ იდეალებს „სამიზნე წერტილად“

აღიქვამთ და გამუღმებით ეცლებით მის მიღწევას, ეს სრულყოფილების მიმართულებით თქვენი ცხოვრების შეცვლაში დაგეხმარებათ. მეორე მხრივ, თუ გაქვთ მოლოდინი, რომ ყოველთვის იდეალების მიხედვით იცხოვრებთ, თქვენ ცლებით. ვერ შეძლებთ ყოველთვის მიაღწიოთ საკუთარ იდეალებს და ამას თქვენგან არაფერს მოელის. სწორედ ამიტომ ეწოდება მათ იდეალები. მიუხედავად ამისა, ყოველთვის უნდა ეცადოთ თქვენი იდეალები შეადართოთ რეალობას და შეცვალოთ ის უკეთესობისაკენ.

სტანდარტები

სტანდარტი ეს არის შესრულების ან მიღწევის დონის აღეკვამურობის საზომი. მაგალითად, ბევრი ადამიანი აღიარებს სტანდარტს – „ცხოვრება უნდა იყოს სამართლიანი“ და თუ ცხოვრება უსამართლო „აღმოჩნდა“, ისინი იმედგაცრუებულნი რჩებიან. ჩვენ თითქმის ყველაფრის სტანდარტები გვაქვს: როგორ უნდა გამოიყურებოდნენ, ჩაიცვან, იქცეოდნენ ადამიანები; როგორ უნდა მუშაობდეს მთავრობა; როგორ უნდა გავზარდოთ შვილები და ა. შ. ჩვენ გვაქვს ვარცხნილობის, მუსიკის, მანერების, საკუთარი თავის, ჩვენი სამუშაოს, ურთიერთობების სტანდარტებიც; არ გვაქვს მხოლოდ იმის სტანდარტები, რის შესახებაც ჯერ არ გვიფიქრია.

როგორ ამოიცნოთ სტანდარტი? ეს ძალიან მარტივია! ის ყოველთვის შეიცავს სიგყვას „უნდა“. თუ შენ „უნდა“ იყო უფრო ლამაზი, განათლებული, ახალგაზრდა, წარმატებული, მდიდარი, ყურადღებიანი და „უნდა“ გყავდეს უკეთესი მეგობრები, ესე იგი,

სგანდარგს პასუხობ. პრობლემა ის არის, რომ ყოველთვის ყველაფერი ისე ვერ იქნება, როგორც „უნდა“ იყოს. არის ისე, როგორც არის. „უნდა“ კი ჩნდება მაშინ, როდესაც რაიმე საგანი ან მოვლენა ადეკვატურობის თქვენს საზომს არ შეესაბამება.

სურვილები და პრიორიტეტები

ზოგიერთი ღირებულება შეიძლება მხოლოდ სურვილებს ან პრიორიტეტებს წარმოადგენდეს. მაგალითად, ღირებულებების საკვლევ ინსტრუმენტში თქვენ აირჩიეთ სიტყვა „მოგზაურობა“. სავარაუდოდ, ეს ვერ იქნება თქვენი იდეალი ან სგანდარგი. ეს, შესაძლოა, უბრალოდ იყოს ის, რასაც უპირატესობას მიანიჭებდით ან ისურვებდით სამუშაოს არჩევის დროს (მაგალითად, ისეთ სამუშაოს, რომელიც მოგზაურობის საშუალებას მოგცემთ).

ნამდვილი ღირებულებები

ნამდვილი, ძირეული ცხოვრებისეული ღირებულებაა ის, რომლის მიხედვითაც გსურთ, თავს ვალდებულად თვლით, რომ იცხოვროთ; რომლის მიხედვითაც რეალურად ცხოვრობთ და რომელსაც თამამად გამოხატავთ. მათი უმრავლესობა თქვენი ოჯახის ან კულტურის დამსახურებით გადმოგეცათ. საბედნიეროდ, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ღირებულებათა ის უნიკალური ნაკრები, რომელიც თქვენს ნამდვილ ცხოვრებისეულ ღირებულებებს წარმოადგეს.

ნამდვილი ღირებულებები უდიდეს გავლენას ახდენს თქვენი ცხოვრების ყველა ასპექტზე.

მაგალითად, შესაძლოა, თქვენს ნამდვილ ღირებულებას წარმოადგენდეს პატიოსნება და კეთილსინდისიერება. ეს ღირებულებები თქვენთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი იქნება როგორც სამსახურში, ისე ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. ზოგიერთი სხვა ღირებულება, შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი იყოს თქვენთვის, მაგრამ მას სამსახურში არ გამოხატავდეთ.

სამარჯიშო № 3.1

ეს სავარჯიშო ფოკუსირებულია თქვენი ძირეული ცხოვრებისეული ღირებულებების იდენტიფიცირებაზე. ძირეული ცხოვრებისეული ღირებულებები მიუთითებს იმ ფასეულობებზე, რომლებიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ასევე იმ პრინციპებსა და შეხედულებებზე, რომლებიც ისეთად გაქცევთ, როგორც ხართ.

საფეხური 1. დაიწყეთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებების გამოყოფით. ცოგაოდენი ღრო დაუთმეთ იმის შესახებ ფიქრს, თუ რა არის თქვენთვის ყველაზე ფასეული. აუცილებლად გაითვალისწინეთ, რა სახით შეიძლება ახდენდეს გავლენას კულტურული-ეთნიკური ფონი, სქესი, ასაკი და სოციალურ კლასი თქვენს ღირებულებათა სისტემაზე.

ნუ ეცდებით ეს სავარჯიშო ორ წუთში შეასრულოთ!

რაც უფრო მეტ ღროს დაუთმობთ საკუთარი ღირებულებების შესახებ ფიქრს, მით უფრო წარმატებით მოახერხებთ მათ ინტეგრირებას კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გახსოვდეთ, ძირეული ცხოვრებისეული ღირებულებები, ერთი შეხედვით, არ უკავშირდება პროფესიის არჩევის საკითხს, მაგრამ როდესაც კარიერულ ძიებას გააგრძელებთ, მათ მნიშვნელოვნებას მაღევე დაინახავთ.

ქვემოთ ჩამოთვლილი ღირებულებებიდან აირჩიეთ და მონიშნეთ ისინი, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ. თუ სასურველი

ღირებულება ჩამონათვალში არ არის, ის დამატებით
ჩაწერეთ ცარიელ გრაფებში.

- მიღწევა
- თავგადასავალი
- შვილებისათვის დროის დათმობის
შესაძლებლობა
- მეუღლისათვის დროის დათმობის
შესაძლებლობა
- ეკლესიაში სიარული
- საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა/
საზოგადოებრივი საქმიანობა (მაგ.,
მოხალისედ მუშაობა, სისხლის ჩაბარება)
- განათლება
- გარემო
- ეთიკა
- ოჯახური ურთიერთობები
- თავისუფლება
- მეგობრობა
- გულუხვობა
- ჯანმრთელობა
- პატიოსნება
- დამოუკიდებლობა
- კეთილსინდისიერება
- ინტელექტუალური აქტივობა
- თავისუფალი დრო
- შემწყნარებლობა
- მატერიალური კეთილდღეობა
- პატრიოტიზმი
- გარეგნობა

- ფიზიკური გამძლეობა
- ძალაუფლება
- აღიარება
- რელიგია
- პატივისცემა
- ღაცულობა
- უსაფრთხოება
- მიღწევის განცდა
- სოციალური სტატუსი
- სულიერი განვითარება
- საკუთარი თავისათვის დროის დათმობა

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა დამატებითი ძირეული ცხოვრებისეული ღირებულებები

საფეხური 2. ახლა შეეცადეთ აღწეროთ, რაგომ არის თქვენთვის მნიშვნელოვანი ის ღირებულებები, რომლებიც ზემოთ მონიშნეთ, ასევე ისინიც, რომლებიც დამატებით გრაფებში ჩაწერეთ. ქვემოთ დაწერეთ თქვენი აზრი თითოეული ღირებულების შესახებ:

ღირებულება

რაგომ არის ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი?

ღირებულება

რაგომ არის ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი?

ღირებულება

რაგომ არის ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი?

ღირებულება

რაგომ არის ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი?

ღირებულება

რაგომ არის ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი?

ღირებულება

რაგომ არის ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი?

საფეხური 3. დაალაგეთ საკუთარი ღირებულებები მნიშვნელოვნების მიხედვით. პირველ ხაზზე დაწერეთ ღირებულება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია თქვენთვის, მეორეზე ნაკლებად მნიშვნელოვანი და ა.შ.

ყველაზე მნიშვნელოვანია

შემთხვევათა ანალიზი

ერეკლე

ერეკლემ რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ სამსახურში, რომელსაც ის „ჩიხს“ უწოდებდა, გადაწყვიტა პროფესია შეეცვალა. უსასრულო სამუშაო საათებმა და კვირაობით ბევრანაკვეთურმა მუშაობამ ის გამოუვალ მგლომარეობაში ჩააყენა. ერეკლეს სურდა ეპოვა ისეთი სამსახური, რომელიც საშუალებას მისცემდა მეტი დრო გაეგარებინა თავის ორ შვილთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ფინანსურად უზრუნველყოფდა, ის გრძნობდა, რომ ოჯახს სათანადო ყურადღებას ვერ უთმობდა.

ლირეზ ულუბაძე
თავი 3

მან არ იცოდა ბუსტად რომელ პროფესიულ მიმართულებას უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ცვლილებები სურდა. შემდეგ გააცნობიერა, რომ პროფესიული კონსულტანტის დახმარებით ის შეძლებდა ახალი პროფესიების აღმოჩენას, შესწავლასა და ყველა საჭირო საფეხურის გავლას კარიერის შესაცვლელად.

პროფესიათა ძიების საწყის ეტაპზე ერეკლე პროფესიულ კონსულტანტს შეხვდა დახმარების მისაღებად. პიროვნების, ინტერესებისა და უნარების ტესტების შედეგებმა დაადასტურა მისი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მათემატიკასთან ან ბუნებისმეტყველებასთან დაკავშირებული სფეროები შეეფერება. მას ყოველთვის მოსწონდა მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და კვეთილები სკოლაში და მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ისინი არ უსწავლია, მაინც არ დაუკარგავს ინტერესი ამ საგნების მიმართ. ერეკლეს ასევე განსაკუთრებით აინტერესებდა კომპიუტერი, ინტერნეტი და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული აქტივობები.

როდესაც ერეკლემ სამუშაო ღირებულებებისა და პროფესიის არჩევაზე მათი გავლენის შესწავლა დაიწყო, პროფესიულმა კონსულტანტმა აუხსნა, რომ „ღირებულებები, ესაა სამაგრი, რომელიც ერთმანეთთან უნარებსა და ინტერესებს კრავს.“

ორი კვირის განმავლობაში ერეკლე საკუთარი შრომითი ღირებულებების სრულყოფილი შეფასებით დაკავდა. შედეგად მან გააცნობიერა, რომ მისთვის ღირებულია სამუშაო გარემო, რომელიც დამოუკიდებელი და შემოქმედებითი მუშაობისა და მოქმედების მაქსიმალურ შესაძლებლობას მისცემს.

დამატებითი მსჯელობის შემდეგ ერეკლემ გადაწყვიტა თავის ძირითად პროფესიად კომპიუტერული მეცნიერებები აერჩია. მან გამოიკვლია კომპიუტერული პროგრამირების

სფეროში როგორც კერძო კონსულტანტად, ასევე ორგანიზაციაში მუშაობის შესაძლებლობები. აღმოჩნდა, რომ ამგვარი სამუშაო მას მისთვის ესოდენ ღირებულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას სთავაზობდა.

დღეს ერეკლეს კომპიუტერული ტექნოლოგიების საკუთარი საკონსულტაციო კომპანია აქვს და ბედნიერია.

შრომითი ღირებულებები

შრომითი ღირებულებები უშუალოდ თქვენს საქმიანობას უკავშირდება. მათ შორის შეიძლება იყოს როგორც ძირეული ცხოვრებისეული ღირებულებები, ისე ისინიც, რომლებითაც მხოლოდ სამსახურში ხელმძღვანელობთ. ხანდახან შრომითი ღირებულებები სრულიად განსხვავდება ცხოვრებისეული ღირებულებებისაგან. მაგალითად, თუ სამსახურში შეუპოვარი და შეჯიბრის მოყვარული ხართ, სახლში, შესაძლოა, სრულიად დამყოლი და დამთმობი იყოთ.

შრომით ღირებულებებს ძირითადად შინაგან და გარეგან ღირებულებებად ყოფენ. შინაგანი ღირებულებები უკავშირდება თავად სამუშაოს ბუნებას. ადამიანებს, რომელთაც იზიდავთ გამოწვევები, სიახლეების სწავლა, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საქმეში, შინაგანი შრომითი ღირებულებები გააჩნიათ. ასეთ თანამშრომლებს სურთ სამუშაო, რომელიც მათ ახალი გამოწვევებით, პასუხისმგებლობითა და ავტონომიით უზრუნველყოფს, აგრეთვე, მისცემს პროფესიული ზრდის საშუალებას. ზოგიერთი თანამშრომელი სამუშაოს თვისებებს ნაკლებად

აფასებს და ყურადღებას შედეგებზე ამახვილებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გარეგან ღირებულებებთან, რომლებიც იმ ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი, რომლებიც მუშაობენ იმიტომ, რომ მიიღონ ანაზღაურება, დაამყარონ კონტაქტები სხვადასხვა ადამიანთან, ჰქონდეთ ოჯახთან ერთად დროის გაგარების საშუალება. იმის გამო, რომ უმრავლესობის ცხოვრება სამსახურის გარეშე წარმოუდგენელია, ყველა ადამიანის სამუშაო ღირებულებებში მოიძებნება გარეგანი ელემენტი, თუმცა ადამიანებს ძირითადად ორივე სახის ღირებულებები აქვთ. ისინი უბრალოდ განსხვავდებიან იმით, თუ რომელს ანიჭებენ უფრო დიდ მნიშვნელობას. მაგალითად, სოციალური მუშაკი, რომელიც ეგუება დაბალ ხელფასს იმის გამო, რომ სწამს, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებით მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, შინაგან ღირებულებებზე დაყრდნობით მოქმედებს.

ერთი განმარტებით შრომითი ღირებულებები გახლავთ ადამიანის შეხედულება იმის შესახებ, თუ რა შედეგს უნდა ელოდოს იგი სამუშაოსაგან და როგორ უნდა მოიქცეს სამსახურში. მათზე დაყრდნობით განისაზღვრება მიზნები, რომლებსაც ინდივიდები ესწრაფვიან. იქიდან გამომდინარე, რომ ღირებულებები მიზნის დასახვის საფუძველს წარმოადგენს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ცენტრალური ადგილი უჭირავს. ადეკვატურად ჩამოყალიბებული მიზნები ადამიანს სასურველი შედეგების მიღწევაში ეხმარება. შრომითი ღირებულებები მიუთითებს იმ სამუშაო გარემოზეც,

რომელშიც ინდივიდს უწევს სამუშაოს შესრულება. მოქნილი სამუშაო გრაფიკი, ალტრუიზმი (უანგარობა), პასუხისმგებლობა, ადამიანებთან ურთიერთობის, მოგზაურობის, დაწინაურების შესაძლებლობა შრომითი ღირებულებების მაგალითებია; ესენია მახასიათებლები, რომლებიც კონკრეტულ სამუშაო გარემოს თქვენთვის მისაღებად, მოსაწონად აქცევს და რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული შრომით ნაყოფიერებასთან, კმაყოფილებასთან და წარმატებასთან. არჩეული პროფესია თქვენი ღირებულებების გათვალისწინებით განვითარებისა და შედეგად საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვნების განცდის საშუალებას უნდა გაძლევდეთ.

შემთხვევათა ანალიზი

ლევანი

ლევანი კოლეჯის დასრულების დროიდან ბუღალტრად მუშაობდა. ახალ საცხოვრებელ ადგილას გადასვლის შემდეგ პროფესიულ კონსულტანტს მიმართა. კონსულტანტი მას ახალი სამსახურის მოძებნაში ეხმარებოდა. ლევანს ძირითადად მოსწონდა საკუთარი სამუშაო. კონსულტაციის საწყის ეტაპზე კონსულტანტმა მას ჰკითხა: საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემდეგ იგივე სამუშაო უნდა მოეძებნა მისთვის, თუ რაიმე განსხვავებული. პასუხად ლევანმა საკუთარი სამუშაოს მიმართ ინტერესი გამოხატა და თქვა, რომ მოსწონს ეს საქმე, თუმცა მისი პასუხი არ იყო ერთუმიანობით აღსავსე. მას მიაჩნდა, რომ ეს სამუშაო საზოგადოებისთვის რაიმე განსაკუთრებული სარგებლის ან დადებითი შედეგის

ლირანე ულუბაძე
თავი 3

მომგანი არ იყო. როგორც მრავალი ახალგაზრდისთვის, ლევანისათვისაც უფრო ღირებული საზოგადოების უკეთესობისაკენ შეცვლაში წვლილის შეგანა გახდა, თუმცა არ იცოდა, მის იმეამინდელ სამუშაო პოზიციაზე ყოფნით ამას როგორ შეძლებდა. ლევანის სამუშაო მის პიროვნებას, უნარებს, გამოცდილებასა და შრომით ღირებულებებს შეესაბამებოდა, თუმცა ვერ პასუხობდა ძირეულ ცხოვრებისეულ ღირებულებას – საზოგადოებისათვის თავდადების შესაძლებლობას. მან საკუთარი უნარების ახალ სფეროში გამოყენების გზების მოძებნა გადაწყვიტა. მიზნის მისაღწევად ლევანი იმ კერძო ფონდის ბუღალგერი გახდა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით საქველმოქმედო პროექტებს ახორციელებდა. ამ გზით ლევანმა შეძლო საყვარელი საქმეც შეესრულებინა და საზოგადოებისათვისაც ემსახურა.

საპარაქიზო №3.2

ა. დაფიქრდით, რომელი პროფესიები მოგწონთ ყველაზე მეტად? ამ პროფესიათა რა ასპექტები გიზიდავთ ყველაზე უფრო?

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვადასხვა ტიპის კარიერასთან დაკავშირებული შრომითი ღირებულებები. ჩამონათვალის წაკითხვის შემდეგ აირჩიეთ, რომელი ფაქტორები განაპირობებს ყველაზე მეტად თქვენს შრომით კმაყოფილებას. გახსოვდეთ, მონიშნეთ მხოლოდ ის ღირებულებები, რომლებიც თქვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია და არა ისინი, რომელთა შესახებაც თქვენ ფიქრობთ ანდა სხვები (მაგ., მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები)

მიგითითებენ, რომ მნიშვნელოვანი უნდა იყოს თქვენთვის.

- ხელფასი
- სამუშაოს მდებარეობა (შენობაში ან შენობის გარეთ)
- შეღავათები და სარგებელი (მაგ., ჯანმრთელობის დაზღვევა, საპენსიო ფონდი)
- სამუშაოს სტაბილურობა
- საპასუხისმგებლო სამუშაო
- დაწინაურების შესაძლებლობა
- სამუშაოში თქვენ მიერ შეტანილი წვლილის აღიარება
- ახალი უნარების განვითარების შესაძლებლობა
- სამუშაოს მრავალფეროვნება
- მოგზაურობის შესაძლებლობა
- ხელსაწყოებით ან მანქანა-დანადგარებთან მუშაობის შესაძლებლობა
- შესაძლებლობა სხვებს თავი კომფორტულად აგრძნობინოთ
- სხვებისათვის რჩევის მიცემის, სწავლების შესაძლებლობა
- შემოქმედებითი სამუშაო
- დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობა
- სხვების წახალისებისა და მოტივირების შესაძლებლობა
- რისკიანი, თავგადასავლებით სავსე სამუშაო
- სხვების მუშაობაზე გელამხედველობის შესაძლებლობა
- დამოუკიდებლობა

- სისტემატური და ორგანიზებული სამუშაო
- აღამიანების დახმარების შესაძლებლობა
- ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა
- შესაძლებლობა გახდეთ საზოგადოებისათვის ცნობადი
- აღამიანებთან ერთად მუშაობის შესაძლებლობა
- სხვებზე ზეგავლენის მოხდენის, მათი დარწმუნების შესაძლებლობა
- აღამიანების გართობის შესაძლებლობა

ბ. დაწერეთ სამუშაოს თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები, თუ ისინი არ არის ჩამონათვალში

გ. სავარჯიშოს „ა“ და „ბ“ ნაწილებში თქვენ მიერ იდენტიფიცირებული ღირებულებები დააღაგეთ მნიშვნელოვნების მიხედვით. პირველ ხაზზე დაწერეთ ღირებულება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია თქვენთვის, მეორეზე ნაკლებად მნიშვნელოვანი და ა.შ.

ყველაზე მნიშვნელოვანია

პროფესიის არჩევასა სწორი
გადაწყვეტილების მიღებაში საკუთარი
ღირებულებების გათვალისწინება დაგეხმარებათ.
პროფესიითა და შრომით კმაყოფილებას იმ
შემთხვევაში შეიგრძნობთ, თუ არჩეული საქმიანობა
თქვენი ღირებულებების შესაბამისი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Darrel Anthony Luzzo, Lisa Ellen Severy ; Making Career Decisions That Count – A Practical Guide, Third Edition; Pearson prentice Hall, 2009.
2. J. M. George, G.R. Jones; Understanding and Managing Organizational Behavior, 6th Edition, Pearson Education Inc., 2011.

4

ინტერესები

პროფესიის არჩევის საწყის ეტაპზე თვითგამორკვევის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საკუთარი ინტერესების გაანალიზებაა. ინტერესი – ეს არის სურვილი, მიღრეკილება, მოგივაცია, მოთხოვნილება გარკვეული საგნის ან მოვლენის მიმართ. პროფესიული ორიენტაციის კონცექსტში ინტერესი გამოხატავს ადამიანის მოწონებას გარკვეული საქმიანობის, მისი შემადგენლობისა და ხასიათის მიმართ. თუ ინდივიდს მოსწონს სამუშაოს მახასიათებლები, ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული საქმიანობა მიმზიდველი, საინტერესოა მისთვის და, შესაბამისად, ის ამ პროფესიაში უფრო მეტად მოახერხებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, ავტორიტეტის მოპოვებას, წარმატების მიღწევასა და, საბოლოო ჯამში, კმაყოფილი იქნება საკუთარი სამუშაოთი.

კარიერის დაგეგმვა იმთავითვე მოიაზრებს იმ პროფესიის არჩევას, რომელიც ადამიანს მოსწონს და რომლის კეთებაც გამოსდის. თუმცა არსებობს ინტერესების

გარკვევასთან დაკავშირებული გარკვეული სახის სირთულეები. ადამიანთა უმრავლესობას გააჩნია ინტერესთა ფართო სპექტრი, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოსთან თუ პროფესიასთანაა დაკავშირებული. ზოგიერთი ინტერესი შეიძლება მხოლოდ ერთ პროფესიას უკავშირდებოდეს, ზოგიერთი კი საქმიანობათა მთელ სფეროს, რომელშიც უამრავი პოზიციაა თავმოყრილი. თუმცაღა ინტერესის არსებობა კონკრეტული სფეროს მიმართ არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ამ პროფესიაში წარმატების მიღწევისათვის საკმარისი უნარები და შესაძლებლობები გააჩნია. მაგალითად, შეიძლება მოგწონდეთ ხალხის დახმარება, მაგრამ არ გქონდეთ შესაბამისი უნარები და შესაძლებლობები იმისათვის, რომ ექიმი გახდეთ; გსურდეთ მომღერლობა, მაგრამ არ გქონდეთ მუსიკალური სმენა და ხმა; თუ კონკრეტული საქმის კეთებით ხართ დაინტერესებული, არ ნიშნავს, რომ ამ ინტერესის გათვალისწინებით პროფესიის შერჩევის შემთხვევაში შესაბამისი სამუშაოს შესრულება სიამოვნებას მოგანიჭებთ. მაგალითად, შეიძლება მოგწონდეთ საკუთარი თავისათვის განსაცმლის შეკერვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მკერავად მუშაობის შემთხვევაში კერვა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მოგანიჭებთ სიამოვნებას.

პროფესიული ორიენტაციის სფეროში ყველაზე ხშირად სწორედ ინტერესების საკვლევი ინსტრუმენტები გამოიყენება. ინტერესების საკვლევი მეთოდები ადამიანებს ეხმარება დაფიქრდნენ საკუთარი ინტერესების შესახებ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადამიანთა ინტერესების სისტემა უამრავ განსხვავებულ ინტერესს მოიცავს. ამავე დროს თითოეული ადამიანი საკუთარი ინტერესების უნიკალური ერთობლიობით ხასიათდება. პროფესიული თვითგამორკვევის პროცესში უსარგებლო იქნებოდა ინტერესთა კომპონენტზე კონცენტრირება მისი გარკვეულ

კატეგორიაში მოთავსებისა და შრომითი სფეროს კონტექსტში გაანალიზების გარეშე. იმისათვის, რომ ადამიანებმა თვითშემეცნების პროცესში საკუთარი მიდრეკილებების სპეციფიკურ შრომით სფეროსთან დაკავშირება შეძლონ, ინტერესების კატეგორიზების არაერთი გზა არსებობს. ინტერესთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გამოყენებადი კლასიფიკაცია შეიმუშავა ჯონ ჰოლანდმა, რომელმაც ინტერესები ექვს ჯგუფში გააერთიანა: რეალისტური, კვლევითი, შემოქმედებითი, სოციალური, ინიციატივიანი და საკანცელარიო. ქვემოთ წარმოდგენილია ინტერესთა თითოეული კატეგორიის მოკლე აღწერილობები:

- ⇒ **რეალისტური სფერო** მოიცავს საქმიანობებს, რომლებიც სამუშაოს ხელით შესრულებას, შენობის გარეთ მუშაობას ან ფიზიკური ტიპის აქტივობას მოითხოვს. ამგვარი სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა პროდუქტიულობა და პრაქტიკულობა. ამასთან, ახასიათებს მუშაობის პრინციპული, მკაცრი, რისკიანი და გაბედული სტილი. რეალისტური ინტერესების მქონე ადამიანებს მოსწონთ ისეთი სამუშაო, როგორცაა ავტომობილის მექანიკოსობა, ავიადისპეჩერობა, ტოპოგრაფია, ფერმერობა, ელექტრიკოსობა და ა. შ. როგორც წესი, მათ გააჩნიათ მექანიკური უნარები, მაგრამ აკლიათ სოციალური შესაძლებლობები, შესაბამისად, თავს არიდებენ ადამიანებთან ურთიერთობას. რეალისტურ ინტერესებს მიეკუთვნება მიდრეკილება ხელსაწყოების, მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების გამოყენების მიმართ.
- ⇒ **კვლევითი სფეროში** შემაჯავლი პროფესიები მომუშავესაგან კომპლექსური მეცნიერული პრობლემების ანალიზს, მათი გადაჭრის გზების ძიებას,

ლოგოპედის, სოციალური მუშაკისა და ა. შ. როგორც წესი, მათ აქვთ ინტერპერსონალური, თანაგრძნობის, სხვებისათვის რჩევის მიცემის უნარი, თუმცა მოკლებულნი არიან გექნიკური და მექანიკური გიპის შესაძლებლობებს.

⇒ **ინიციატივიანი პროფესიები** მომუშავისაგან სხვების მართვას, მათ ქცევაზე ზემოქმედების მოხდენას, მათ ღარწმუნებასა და სხვა მსგავსი აქტივობების განხორციელებას მოითხოვს. ამგვარი სამუშაოს შესრულებისათვის კი აუცილებელია თავდაჯერებულობა, რისკიანობა, მაღალი პასუხისმგებლობა, მიზნის მიღწევისაკენ თავდაუზოგავი სწრაფვა და გაბედული მოქმედება. ინიციატივიანი ინტერესების მქონე ადამიანებს მოსწონთ სამუშაო, რომელიც ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას იძლევა: გამყიდველის, მენეჯერის, ბიზნესმენის, გელერეჟისორის, გაყიდვებისა და შესყიდვების სპეციალისტისა და სხვა. როგორც წესი, მათ აქვთ ლიდერის მონაცემები, მაგრამ მოკლებულნი არიან მეცნიერული კვლევის უნარს. ასე რომ, ნაკლებად აინტერესებთ კვლევითი სფეროს პროფესიები.

⇒ **საკანცელარიო საქმიანობები** მოიცავს ორგანიზებულ, დაგეგმილ აქტივობებს. ამგვარი პროფესიები მომუშავისაგან სიზუსტეს, რიცხვებთან და გექნიკასთან მუშაობას, მოწესრიგებული რუტინით, სტანდარტებით ხელმძღვანელობასა და თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. საკანცელარიო გიპის სამუშაოს შესრულებისათვის კი აუცილებელია სიფრთხილე, მოწესრიგებულობა, კეთილსინდისიერება და შრომისმოყვარეობა. საკანცელარიო ინტერესების მქონე ადამიანებს მოსწონთ შემდეგი პროფესიები: ბუღალტრის, სტენოგრაფისტის, ფინანსისტის, ბანკირის, ღირებულების შემფასებელის, საგადასახადო

ექსპერტისა და სხვა. მათ აქვთ საკანცელარიო და ადმინისტრაციული უნარები, მაგრამ მოკლებულნი არიან შემოქმედებითობას.

ჰოლანდის ინტერესთა კლასიფიკაციიდან თქვენთვის ყველაზე შესაფერისი სამი სფერო შეირჩევა, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ განსაზღვროთ ის პროფესიული სფეროები თუ სამუშაო ალტერნატივები, რომლებიც ყველაზე მეტად შეგესაგყვისებათ. ამასთან, შეძლებთ თქვენს ინტერესებთან კომბინაციაში მყოფი პროფესიული სფეროების დანახვას. ქვემოთ მოცემულია სავარჯიშო, რომელიც დაგეხმარებათ იფიქროთ, რომელი სამი სფეროა ინტერესთა ჰოლანდისეული კლასიფიკაციიდან თქვენთვის ყველაზე ახლობელი.

საპარჩიშო №4.1

წარმოიდგინეთ, რომ უნივერსიტეტში სწავლას იწყებთ. უნდა იცხოვროთ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, რომელსაც ექვსი კორპუსი აქვს. თქვენ საშუალება გეძლევათ აირჩიოთ, რომელ კორპუსში იცხოვრებთ სწავლის პერიოდში. წაიკითხეთ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის აღწერილობები, რაც დაგეხმრებათ აირჩიოთ მათგან სამი ყველაზე სასურველი:

- ❖ საერთო საცხოვრებლის პირველ კორპუსში ცხოვრობენ სტუდენტები, რომლებიც ყველაფერს საკუთარი ხელით აკეთებენ. მათ შეუძლიათ შეაკეთონ მექანიკურად დაზიანებული ნებისმიერი რამ და არასოდეს უხმობენ ამისათვის მექანიკოსს. კორპუსის ეზოში უამრავი შესაკეთებელი მანქანა დგას, რომელთაც სტუდენტები აწესრიგებენ. ზოგიერთ სტუდენტს საკუთარი ბაღიც აქვს ეზოში, რომელშიც გამწვანების სხვადასხვა პროექტზე მუშაობენ. (რ = რეალისტური)
- ❖ საერთო საცხოვრებლის მეორე კორპუსში ცხოვრობენ სტუდენტები, რომლებსაც მეცნიერული პრობლემების გადაჭრა მოსწონთ. კორპუსში რამდენიმე კვლევითი ლაბორატორიაა, რომლებიც ყოველთვის სავსეა მოუხსნევე სტუდენტებით. მიუხედავად იმისა, რომ საერთო საცხოვრებლის ეს კორპუსი მშვიდია, დღის ნებისმიერ დროს მაინც შეიძლება წააწყდე სტუდენტთა მცირე ჯგუფებს, რომლებიც აქტიურად მსჯელობენ ანალიზის, კვლევის ან პრობლემის გადაჭრის თემაზე. (კ = კვლევითი)
- ❖ მესამე კორპუსი საგულდაგულოდ არის გაფორმებული და ღერეფნებში ყოველთვის ისმის სხვადასხვაგვარი მუსიკის ხმა. ადვილი შესამჩნევია, რომ აქ მცხოვრები ადამიანები არ იცავენ მკაცრ რეჟიმსა და წესრიგს.

მკაცრად განსაზღვრულ ვადებში ასრულებენ. ისინი კეთილსინდისიერად და ზუსტად მიჰყვებიან მიცემულ ინსტრუქციებს. მოსწონთ დეტალებზე ორიენტირებული სალექციო კურსები. (ნ = საკანცელარიო)

ახლა კი განსაზღვრეთ, რომელი კორპუსი ირეკლავს თქვენს ინტერესებს ყველაზე უკეთ? რომელ მათგანში იცხოვრებდით და იგრძნობდით თავს ყველაზე კარგად?

პირველი არჩევანი————— კოდი (რ, კ, შ, ს, ი ან ნ) ———

მეორე არჩევანი————— კოდი (რ, კ, შ, ს, ი ან ნ) ———

მესამე არჩევანი————— კოდი (რ, კ, შ, ს, ი ან ნ) ———

დაალაგეთ თქვენ მიერ არჩეული კოდები თანმიმდევრობის მიხედვით (პირველი არჩევანიდან მესამე არჩევანის ჩათვლით) და მიიღებთ სამი ასოსაგან შემდგარ კოდს —————, მაგალითად, „სკი“, რაც მიუთითებს, რომ თქვენ ყველაზე მეტად შეგუფერებათ სოციალური ტიპის პროფესიები, შემდგომ – კვლევითი და ბოლოს – ინიციატივიანი ტიპის საქმიანობები.

ნინიმ სამი წლის წინ დაამთავრა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი და დედაქალაქში ერთ-ერთ იურიდიულ ფირმაში დაიწყო მუშაობა. მას ძალიან მოსწონდა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლა და პრაქტიკული საქმიანობის დასაწყისში სამსახურშიც კარგად გრძნობდა თავს. მაშინ, როცა მისი თანამშრომლები სიხარულით მონაწილეობდნენ სულ უფრო და უფრო რთულ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებულ აქტივობებში, ნინი არ გამოხატავდა სურვილს მიეგოვებინა საკუთარი წერითი თუ კვლევითი საქმე და დასწრებოდა ამგვარ პროცესებს.

მან გადაწყვიტა მიემართა პროფესიული კონსულტანტისთვის. პროფესიული კონსულტაციის ერთ-ერთ შეხვედრაზე ნინიმ შეავსო ჰოლანდის ინტერესების კითხვარი და მისი პირველი არჩევანი შემოქმედებითი სფერო აღმოჩნდა, ინტერესთა მომდევნო სფეროები კი იყო საკანცელარიო და კვლევითი. მან თქვა, რომ მოსწონდა წერა და შემოქმედებითი საქმიანობა, ასევე სიამოვნებდა საკითხისადმი სისტემური მიდგომების განვითარება და პრობლემის გადასაჭრელი გზების ძიება. მიღებული ინფორმაციის გაანალიზების გზით ნინი მიხვდა, რა განასხვავებდა მას კოლეგებისაგან და გახდა უფრო ვაბეღული საიმისოდ, რომ საკუთარ ინტერესებს მიჰყოლოდა. მან გადაწყვიტა დარჩენილიყო იურიდიულ სფეროში, მაგრამ ემუშავა ისეთ პოზიციაზე, რომელიც კვლევითი, წერილობითი და ორგანიზებასთან დაკავშირებული მეტი აქტივობის შესრულების საშუალებას მისცემდა.

ინტერესების კითხვარების საშუალებით შეგიძლიათ სასარგებლო ინფორმაცია მიიღოთ პროფესიის არჩევის საწყისი ეტაპისათვის. როდესაც გაიგებთ, პროფესიათა რომელი სფერო შეეფერება თქვენს ინტერესებს, შეძლებთ

დაწვრილებით შეისწავლეთ მოცემულ სფეროში შემავალი კონკრეტული პროფესიები.

გახსოვდეთ, პროფესია და სამუშაო ის გზებია, რომელთა საშუალებითაც საზოგადოებასთან ურთიერთობთ. ამ კონტექსტში, პროფესიის არჩევა საკუთარი იდენტობის განსაზღვრისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ინტერესებისა და პრიორიტეტების დადგენა კი საკუთარი პიროვნების შესწავლის საუკეთესო დასაწყისია.

საპარჯიშო №4.2 კარიერული ოცნება

ჩვენ ხშირად ვირჩევთ რაიმე პროფესიას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კარიერული თვითგამორკვევის საწყის ეტაპზე ვიმყოფებით. შეიძლება თქვენ ერთ-ერთი ხართ იმ უამრავი ადამიანიდან, ვისაც ბავშვობაში ექიმობაზე უოცნებია. თუმცა თქვენ ახალგაზრდა ასაკში, სავარაუდოდ, გარკვეული ფანტაზიები გაგაჩნდათ ამა თუ იმ პროფესიასთან დაკავშირებით, რის გამოც ის საინტერესოდ გეჩვენებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში ყოველ ჩვენგანს ჰქონდა გარკვეული იდეები იმის შესახებ, თუ რა მოსწონს ან არ მოსწონს, რეალური პროფესიული გადაწყვეტილების ეტაპზე ცოტანი თუ ვირჩევთ კარიერას ადრეული ფანტაზიების მიხედვით.

ეს სავარჯიშო საშუალებას გაძლევთ, კიდევ ერთხელ იოცნებოთ და გადახედოთ თქვენს ადრეულ ფანტაზიებს. გაიხსენეთ პროფესიები, რომლებსაც აირჩევდით იმ შემთხვევაში, თუ არანაირი ბარიერი არ შეგიშლიდათ ხელს. წუთით დაივიწყეთ ყველა ის შესაძლო მიზეზი, რის გამოც უარის თქმა მოგიწევდათ საოცნებო პროფესიაზე.

მოიფიქრეთ და ქვემოთ ჩამოწერეთ პროფესიები, რომელთაც აუცილებლად აირჩევდით, შესაძლებლობა რომ გქონოდათ:

კარიერული ოცნებები

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____
7. _____
8. _____
9. _____
10. _____

როდესაც პროფესიის არჩევის გადაწყვეტილებაზე საბოლოოდ დაფიქრდებით, არ დაგაფიწყდეთ გადახედოთ საკუთარ სიას და შეაფასოთ – აიხდენთ კი ოცნებას იმ პროფესიით, რომელსაც ირჩევთ? მანამდე კი ეცადეთ დაუმატოთ ოცნებათა სიას ის პროფესიები, რომლებიც მოგვიანებით მოგაფიქრდებათ.

სავარჯიშო №4.3 აქტივობების რეგინგი

სავარჯიშოს შესასრულებლად შეაფასეთ (მიანიჭეთ რეგინგული ქულა), რამდენად გაინტერესებთ ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები. რეგინგული ქულების მისანიჭებლად შემდეგი სკალა გამოიყენეთ:

- 1 = საერთოდ არ მაინტერესებს;
- 2 = ნაკლებად მაინტერესებს;
- 3 = ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს;
- 4 = ნაწილობრივ მაინტერესებს;
- 5 = ძალიან მაინტერესებს.

აქტივობა	რეგინგული ქულა
1. სამეცნიერო მუშეუმი მონახულება	
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის თემაზე გამართულ სემინარზე დასწრება	
3. მნიშვნელოვანი ღონისძიებების ყოველწლიური გრაფიკის შედგენა	
4. ფილოსოფიური კონცეფციის ან იდეის განხილვა	
5. უსაფრთხოების წესებისა და პროცედურების შემუშავება	
6. ლაშქრობა მთაში	
7. სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება	
8. ადამიანებისათვის პირველადი დახმარების პროცედურების სწავლება	
9. მოკლე მოთხრობის დაწერა	
10. აქტივობებში მონაწილეობა შენობის გარეთ	
11. ფინანსური ანგარიშების შესწავლა	
12. ახალი პროდუქციის გაყიდვა	
13. ისტორიის შესწავლა	
14. მნიშვნელოვანი ღოკუმენტების შევსება	
15. დაზიანებული ტექნიკის შეკეთება	
16. მცენარეების დათესვა/დარგვა ბაღში	
17. ინფორმაციის კითხვა უახლესი სამეცნიერო აღმოჩენების შესახებ	
18. ინფორმაციის შეგროვება ინტერნეტიდან	
19. ადამიანთა ჯგუფისათვის იმ საგნის სწავლება, რომელიც მოგწონთ	
20. რთული მათემატიკური ამოცანის ამოხსნა	
21. დიდი მანქანა-დანადგარის მართვა	
22. სხვების საუბრიდან მნიშვნელოვანი დეტალების ჩაწერა	
23. მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა	

-
24. საზოგადოებისათვის ახალი მომსახურების შეთავაზება
 25. დაავადების დიაგნოსტიკა
 26. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობა
 27. პრავის დაშლა ან აწყობა
 28. პეიზაჟების ხატვა
 29. ჯგუფთან ერთად საკანონმდებლო საკითხებზე მსჯელობა
 30. ფერმაში მუშაობა
 31. სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა
 32. სოციალური მომსახურების სააგენტოში მუშაობა
 33. უძრავი ქონების გაყიდვა
 34. კონცერტზე ან წარმოდგენაზე დასწრება
 35. დაზიანებული რადიოს შეკეთება
 36. გაზეთების ან ჟურნალების კითხვა
 37. უზენაესი სასამართლოს მოსმენაზე დასწრება
 38. ზოოპარკში სიარული
 39. ფსიქოლოგიის ან ადამიანური რესურსების მართვის კურსის გავლა
 40. დაზიანებული კომპიუტერის შეკეთება
-

საფარჯიმოს შესრულების შედეგად მიიღებთ ქულას სამუშაო გარემოს სხვადასხვა კატეგორიისათვის². თითოეული პროფესიული ტიპის ჯამური ქულა განისაზღვრება შესაბამისი აქტივობებისათვის მინიჭებულ ქულების შეკრებით. ქვემოთ მოცემულია ქულების დათვლის წესი, რომელიც გიჩვენებთ – რომელი დებულება, რომელ პროფესიულ კატეგორიას შეესაბამება. მაგალითად,

² სამუშაო გარემოთა კლასიფიკაციის აღწერილობები იხილეთ მე-7 თავში

აქტივობები ნომრით 5, 8, 26, 32 და 39 – წარმოადგენს მომსახურების სფეროს დებულებებს. შეაჯამეთ თქვენი შედეგები თითოეული პროფესიული სფეროსათვის (ჯამური ქულა უნდა მერყეობდეს 5-25 ქულათა დიაპაზონში):

მომსახურების სფერო

$$\frac{\quad}{5} + \frac{\quad}{8} + \frac{\quad}{26} + \frac{\quad}{32} + \frac{\quad}{39} =$$

ბიზნესი

$$\frac{\quad}{2} + \frac{\quad}{12} + \frac{\quad}{24} + \frac{\quad}{33} + \frac{\quad}{36} =$$

ორგანიზაცია

$$\frac{\quad}{3} + \frac{\quad}{11} + \frac{\quad}{14} + \frac{\quad}{18} + \frac{\quad}{22} =$$

ტექნოლოგიები

$$\frac{\quad}{15} + \frac{\quad}{21} + \frac{\quad}{27} + \frac{\quad}{35} + \frac{\quad}{40} =$$

პროფესიები „შენობის გარეთ“

$$\frac{\quad}{6} + \frac{\quad}{10} + \frac{\quad}{16} + \frac{\quad}{30} + \frac{\quad}{38} =$$

მეცნიერება

$$\frac{\quad}{1} + \frac{\quad}{7} + \frac{\quad}{17} + \frac{\quad}{20} + \frac{\quad}{25} =$$

ზოგადი კულტურა

$$\frac{\quad}{4} + \frac{\quad}{13} + \frac{\quad}{19} + \frac{\quad}{29} + \frac{\quad}{37} =$$

ხელოვნება და გართობა

$$\frac{\quad}{9} + \frac{\quad}{23} + \frac{\quad}{28} + \frac{\quad}{31} + \frac{\quad}{34} =$$

აღბათ უკვე მიხვდით, რომ თქვენთვის ყველაზე საინტერესო პროფესიულ საქმიანობათა ის სფეროები,

რომლებშიც ყველაზე მაღალი ქულები დააგროვეთ. მომდევნო პარაგრაფში აღწერილია სამუშაო გარემოთა ის კლასიფიკაცია, რომლის საფუძველზეც არის შედგენილი მოცემული სავარჯიშო.

თქვენ წინაშე უამრავი შესაძლებლობა არსებობს და თუ მონდომებით, საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებთ. გახსოვდეთ, რომელიმე საქმიანობის მიმართ რეალური ინტერესი და საყვარელი საქმის კეთების დიდი სურვილი აუცილებლად მიგიყვანთ პროფესიულ წარმატებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Darrel Anthony Luzzo, Lisa Ellen Severy ; Making Career Decisions That Count – A Practical Guide, Third Edition; Pearson prentice Hall, 2009.
2. Nicholas Lore; The Pathfinder – How to Choose or Change Your Career for a Lifetime of Satisfaction and Success; A Touchstone book – A Division of Simon & Schuster, Inc., 1998.
3. Ferguson Public Company; Encyclopedia of Careers and Vocational Guidance – Career Guidance and Career Fields, 4th Edition; Infobase Publishing, 2008.

5

უნარები

თანდაყოლილი ნიჭი

ადამიანები, ერთი მხრივ, საკმაოდ ჰგვანან ერთმანეთს, მეორე მხრივ კი, თითოეული მათგანი უნიკალურია. სხვა ადამიანებისაგან განსხვავდებით არა მარტო პიროვნული თვისებებით, გემპერამენტითა და ინტერესებით, არამედ თანდაყოლილი ნიჭითა და უნარებით. თითოეული ჩვენგანი სპეციფიკური უნარებითა და ნიჭით იბადება, რაც შრომის სამყაროში მოღვაწეობის მრავალფეროვან შესაძლებლობებს გარკვეულად გვიბღუდავს.

თანდაყოლილი ნიჭი თითოეულ ადამიანს საშუალებას აძლევს გარკვეული ტიპის დავალებები მარტივად და ენთუზიამით შეასრულოს, ხოლო სხვა დავალებებს „ტანჯვა-წამების“ ხარჯზე გაუმკლავდეს.

ნიჭი სრულიად განსხვავდება შეძენილი ცოდნის, უნარებისა და ინტერესებისაგან. თქვენი ინტერესები იცვლება, ახალი ცოდნის შეძენა და უნარების განვითარებაც შესაძლებელია, ნიჭი კი უცვლელი რჩება.

თქვენ უბრალოდ შეგიძლიათ ნიჭის სწორად, თქვენს საკეთილდღეოდ გამოყენება ისწავლოთ. რაც უფრო კარგად გაქვთ გაცნობიერებული თქვენი ნიჭი და შესაძლებლობები, მით უფრო დიდი შანსია, რომ არჩეული პროფესიით კმაყოფილი იქნებით და კარიერაში წარმატებას მიაღწევთ.

ხშირად აღამიანებს ჰგონიათ, რომ მათი კარიერა გარკვეული ფაქტორების გამო არ არის იდეალური. თუმცაღა, ფაქტობრივად, ოთხმოცდაათ პროცენტ შემთხვევაში აღმოჩნდება ხოლმე, რომ ამ *აღამიანების შესაძლებლობებსა და მათ სამუშაოს შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა*. განსხვავება უბრალოდ კარგ და იდეალურ კარიერას შორის ბევრი ფაქტორის შესაბამისობაზეა დამოკიდებული. როდესაც აღამიანები სამსახურის შესახებ ჩივიან, მათ, ჩვეულებრივ, ისეთი აშკარა პრობლემები აწუხებთ, როგორებიცაა უფროსი, ანაზღაურება, სამუშაო საათები, მოწყენილობა, სტრესი და ა.შ. თუმცაღა მათ რომც გადაწყვიტონ ის პრობლემები, რომელთაც სირთულეების წყაროდ მიიჩნევენ, საბოლოოდ მაინც არ იქნებიან სამუშაოთი კმაყოფილნი. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ დამაკმაყოფილებელ კარიერასა და მათ პიროვნებას შორის უფრო კომპლექსური ფაქტორები დგას. აუგანელი უფროსი და გადაგვირთული სამუშაო გრაფიკი, ჩვეულებრივ, აისბერგის წვერს წარმოადგენს. თუ „კარგ“ კარიერასთან შეგუება, ან „კარგი“ კარიერის შექმნა გსურთ, შეგიძლიათ ასეთი ცხადი პრობლემების გადაჭრას შეუდგეთ, ოღონდ უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენთვის **სამუშაოსთან შესაბამისობა** უფრო მნიშვნელოვანია, ამიგომაც აუცილებელია ყურადღება მთელ აისბერგს დაუთმოთ.

რა ხდება, როცა თქვენი ნიჭი და სამუშაო ერთმანეთს არ შეესაბამება? ასეთ ვითარებაში აღამიანს მუშაობის პროცესში სიამოვნების მიღების შესაძლებლობა ერთმევა.

რაც უფრო შორლებით თქვენი ნიჭისა და უნარების სრულად გამოხატვის შესაძლებლობას, მით უფრო ნაკლები შანსია, რომ სამუშაო დღისაგან სიამოვნებას მიიღებთ.

როდესაც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ვერ იყენებენ, ადამიანებს სამუშაო სწყინდებათ, ხოლო როცა სამუშაო ისეთ ნიჭსა და უნარებს ითხოვს, რომლებიც მათ არ გააჩნიათ, მისი შესრულება რთული და გამაღიზიანებელი ხდება.

როდესაც ადამიანი არააღამაკმაყოფილებლად ასრულებს სამუშაოს, მის უფროსს ხშირად არასწორი დასკვნები გამოაქვს. ის მთავარ პრობლემად თანამშრომლის პიროვნულ თვისებებს, გონიერებასა და მოტივაციას მიიჩნევს. ზოგჯერ მათი დიაგნოზი სწორიც არის, თუმცა ხშირად დაკისრებული მოვალეობების დაბალ დონეზე შესრულების მიზეზი თანდაყოლილი ნიჭისა და ინდივიდის უნარების სამუშაოსთან შეუსაბამობაა. ასეთ დროს ხელმძღვანელის მცდელობას გამოასწოროს სიტუაცია, უარესი შედეგები მოჰყვება.

ადამიანის ნიჭი და მიდრეკილებები მეცნიერებისათვის საკმაოდ დიდხანს წარმოადგენდა საიდუმლოს. ინგელექტის ძირითადი თეორიები ხაზს უსვამდა, რომ ზოგიერთი ადამიანი ჭკვიანია, ზოგი კი არა. ზოგადი ინგელექტის ღონით ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მათ შორის განსხვავებას ზოგი მეცნიერი ძირითადად სოციალური გარემოს გავლენას (მშობლები და სხვ.) მიაწერდა, ზოგიერთი კი მას გენეტიკურად თანდაყოლილ მოვლენად მიიჩნევდა.

ინგელექტი მარტივად შეიძლება ასე განვმარტოთ: „ადამიანის თანდაყოლილი შესაძლებლობა თავი გაართვას

მისთვის ახალ, არასტანდარტულ სიტუაციას“. ამ განსაზღვრებაში ნათლად ჩანს, რომ ინტელექტი მხოლოდ აკადემიური მოსწრებით არ განისაზღვრება. ზოგიერთ ადამიანს კარგად გამოსდის მუსიკა, სპორტი, გამოგონებები, ადამიანებთან ურთიერთობა და ა. შ. ისინი ისევე რეალური და მნიშვნელოვანია, როგორც აკადემიური შესაძლებლობები. ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ინტელექტი ზოგადი გონიერებაა და გულისხმობს პრობლემის გადაჭრის, გამოცდილების განზოგადების, სიტუაციის შესაბამისად გამოყენების უნარს.

როდესაც ადამიანზე ამბობენ, რომ ინტელექტუალურია, მის ნიჭიერებასაც გულისხმობენ. თუმცა ინტელექტი და ნიჭი ერთი და იგივე არ არის. **ნიჭი რაიმეს კარგად კეთების თანდაყოლილი უნარია.** როდესაც რომელიმე კონკრეტულ სფეროში გამორჩეულ ადამიანს ვხედავთ, ვაღიარებთ, რომ მას ამის ნიჭი აქვს. თითოეული ადამიანი მისთვის დამახასიათებელი ნიჭითაა დაჯილდოებული. ეს ბუნების საჩუქარი თანდაყოლილი შესაძლებლობებისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან ჰარმონიულადაა დაკავშირებული. ნიჭის წყალობით ზოგიერთი ადამიანი ადვილად აკეთებს და სწავლობს იმას, რასაც სხვები ძნელად თუ მოახერხებენ ან საერთოდ ვერ დაძლევენ. ჩვეულებრივ, ნიჭს თანდაყოლილი და დასწავლილი შესაძლებლობების კომბინაციად მიიჩნევენ. მაგალითად, ზოგიერთ ადამიანს შეიძლება გარკვეული თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდეს, მაგრამ არ მიეცეს მისი გამოვლენის შესაძლებლობა.

პროფესიის არჩევის პროცესში თქვენი ნიჭისა და უნარების გაცნობიერება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურს უნდა წარმოადგენდეს.

თანდაყოლილი ნიჭის გარდა ყოველი ადამიანი ცხოვრების მანძილზე ივითარებს მნიშვნელოვან უნარებსა და ჩვევებს. დაბადებისთანავე ადამიანებს გარკვეული ტიპის უნარები გააჩნიათ. აღზრდის პროცესში ეს უნარები თანდათან ვითარდება, პიროვნება სწავლობს და იძენს ახალ უნარებს და ჩვევებს.

თუ ნიჭი რაიმე საქმის კარგად კეთებისაკენ მიდრეკილებაა, უნარი არის რაიმეს კეთების თანდაყოლილი შესაძლებლობა, რომელიც აღზრდისა და სწავლების პროცესში ვითარდება. ჩვევა კი წვრთნის შედეგად დასწავლილი მოქმედებების ერთობლიობაა. მაგალითად, ბურთზე ფეხის დარტყმა მოგორული უნარია, რომელსაც უკვე 2 წლის ბავშვი თავისუფლად ავლენს. ჩვევა იქნება შემდგომში – ბურთის ფეხით აკენწვლა, რაც წვრთნის შედეგადაა დასწავლილი. სპეციფიკური ნიჭი კი ხელს უწყობს ამ მოქმედების საუკეთესოდ შესრულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს უფრო ნაკლები დრო და ძალისხმევა დასჭირდება ამ ჩვევის გამოსამუშავებლად.

თითქმის ყველაფერი, რაც კარგად გამოგდით თქვენი უნარებისა და ხანგრძლივი წვრთნის შედეგია. თუ თქვენ ნიჭიერი მოთხილამურე ხართ, სავარაუდოდ მრავალ წელს დახარჯავდით ამ ტექნიკურად რთული ჩვევის დასაუფლებლად. მის გამომუშავებასა და ავტომატიზებას თქვენმა თანდაყოლილმა ნიჭმაც შეუწყობ ხელი. საშუალო მოთხილამურე, ფაქტობრივად, ყველა ადამიანს შეუძლია გახდეს. თუმცაღა უნარების განვითარების ყოველი მცდელობა, უნარების კიბის ყოველ საფეხურზე ასვლა, ამ შემთხვევაში გარკვეულ სირთულეებთან და ხანგრძლივ შრომასთან იქნება დაკავშირებული.

ზოგადად, ადამიანს სიამოვნებას იმის კეთება, რაც კარგად გამოსდის. როდესაც ინდივიდი რომელიმე სფეროში მაღალ დონეზეა გაწაფული, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის თავის ბუნებრივ ნიჭს გამოხატავს. თანდაყოლილი

ნიჭის მქონე ადამიანს შესაბამის სფეროში ახალი უნარების შეძენა და განვითარება გაცილებით უადვილდება, ხოლო მას, ვისაც ასეთი ნიჭი არ გააჩნია, სასურველი შედეგის მისაღწევად ათჯერ მეტი შრომა სჭირდება. ასე რომ, **აირჩიეთ პროფესია, რომლის შესაბამისი ნიჭიც გააჩნიათ, შემდეგ კი ბევრი იშრომეთ იმისათვის, რომ ნამდვილი „ოსტატი“ გახდეთ.**

უნარები

იმისათვის, რომ თქვენი ნიჭის შესაბამისი პროფესიის არჩევა შეძლოთ, აუცილებელია დაფიქრდეთ, თუ რა გამოგლით კარგად, რისი კეთებაა თქვენთვის ბუნებრივი? საკუთარი უნარების შეფასება უფრო მეტად დაგეხმარებათ ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებაში.

თითოეული ჩვენგანი სამყაროს შეცნობის საკუთარ ხერხებს იყენებს. პროფესიის არჩევისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ განიცდით და იაზრებთ გარემოს, რომელშიც ცხოვრობთ. გამოარკვიეთ, თუ რა ტიპის სამუშაოს შესრულება შეგიძლიათ ყველაზე ბუნებრივად და მარტივად. ამ მნიშვნელოვანი დეტალის გათვალისწინების გარეშე პროფესიის არჩევამ მილიონობით ადამიანს ცხოვრება გაურთულა.

ისეთი პროფესიის შერჩევისათვის, რომელიც თქვენს ნიჭსა და უნარებს შეესაბამება, საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება გჭირდებათ. ამისათვის კი მნიშვნელოვანია წარმოდგენა გქონდეთ იმ ბოგად და სპეციფიკურ უნარებზე, რომლებსაც ადამიანი შეიძლება ფლობდეს.

მოგალი საბაზო უნარები

გერმინი *მოგალი უნარები* გულისხმობს ინფორმაციის აღქმად უნარად აღქმისა და დამუშავების, ლოგიკური მსჯელობის, მოვლენათა შორის არსებითი მიმართებების წვდომის უნარებს. მოგად უნარებში გამოყოფენ *ვერბალურ და მათემატიკურ* უნარებს. ეს უნარები არის ცხოვრებისეულ მოთხოვნებზე სათანადოდ რეაგირებისა და გარემოსთან ადამიანის ადაპტაციის საფუძველი. ნებისმიერი ინტელექტუალური საქმიანობის წარმატება მათზეა დამოკიდებული. *მოგალი უნარები* ვლინდება უნივერსალური ინტელექტუალური ოპერაციების (ანალიზის, სინთეზის, განზოგადების, აბსტრაქტირებისა და ა. შ.) სახით და ადამიანს თანდათანობით უვითარდება. ამ უნარებს ავითარებს მეცადინეობა, კითხვა, მეცნიერებასა და კულტურასთან ზიარება, ადამიანებთან ურთიერთობა. სამუშაოთა ფართო სპექტრში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წაკითხულის გააზრებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი, რომლებიც *ვერბალურ უნარებს* მიეკუთვნება. რაოდენობრივი (მათემატიკური) უნარი ისეთი სტანდარტული და არასტანდარტული პრობლემების გადაწყვეტის უნარია, რომელიც მოითხოვს მათემატიკური ფაქტების გამოყენებას, გაანალიზებასა და მათ საფუძველზე დასკვნის გამოგანას. მაგალითად, მარტივი სტატისტიკური ცხრილების, გრაფიკებისა და სქემების ანალიზის საფუძველზე დასკვნის გამოგანასა და ინტერპრეტაციას. რაოდენობრივი მსჯელობა და საბაზო მათემატიკური უნარის ფლობა მნიშვნელოვანია პროფესიათა ფართო სპექტრისათვის. ძალიან იშვიათია ისეთი სამუშაო, რომელიც დასაქმებულთაგან მათემატიკასთან შეხებას არ მოითხოვს; ეს უნარი მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

სპეციალიზებული ნიჭი, სპეციფიკური უნარები

სივრცითი უნარები

სივრცითი უნარების მაღალი დონე ობიექტების 3 განზომილებაში წარმოდგენას გულისხმობს³. ამ ნიჭის მქონე ადამიანებს, ჩვეულებრივ, ისეთი პროფესიები მოსწონთ, რომლებიც ძირითადად კონკრეტულ „საგნებთან“ მუშაობასა და სამგანზომილებიანი „პრობლემების“ გადაჭრას მოითხოვს. სივრცითი უნარი დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა პროფესიის დაუფლებასა და დაკისრებული მოვალეობების წარმატებით შესრულებაში. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნიკურ და დიზაინერულ სამუშაოებში, რომლებიც ნახაზებსა და გეგმებს იყენებს და ისეთ პროფესიებში, რომელთაც სამგანზომილებიან კომპონენტებთან აქვთ შეხება (მაგალითად, კომპიუტერული გრაფიკა). ასევე ისეთ პროფესიებში, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია სივრცეში სწრაფად გარკვევისა და ორიენტაციის უნარი. არქიტექტორს, რომელსაც სამგანზომილებიან რეალობაში მუშაობის ბუნებრივი ნიჭი არ გააჩნია, დროთა განმავლობაში, დიდი ალბათობით საკუთარი პროფესია აღარ მოეწონება, ხოლო ამ ნიჭის მქონე ადამიანთა უმეტესობა უკმაყოფილო იქნება ისეთი პროფესიით, რომელშიც სივრცით უნარებს ვერ გამოიყენებს. სივრცითი უნარები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველდღიურ ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების წარმატებით

³ ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, სივრცითი უნარი არის: „იმ ამოცანების შესრულების შესაძლებლობა, რომლებიც გონებაში (წარმოსახვაში) სივრცითი კავშირებით მანიპულირებას მოითხოვს. ესენია: წარმოსახვითი როტაცია, სარკისებური ხაზვა, რუკის კითხვა ან უცნობ გარემოში გზის პოვნა.“


დაძლევაშიც (მაგ.: რუკის გამოყენება უცხო ქალაქში ორიენტაციისათვის).

სივრცითი უნარების რაობაში უკეთ გასარკვევად სივრცითი უნარების ტესტიდან ერთ ნიმუშს მოვიგანთ. ასეთი ტესტები ფართოდ გამოიყენება პროფესიული ორიენტაციისა და პერსონალის შერჩევის დროს.

ნიმუში⁴

ამ დავალებით ფასდება ის, თუ რამდენად შეუძლია აპლიკანტს სიბრტყეზე მოცემული ფიგურისაგან (ფიგურის შლილისაგან) საკუთარ გონებაში (წარმოსახვის დახმარებით) შესაბამისი სამგანზომილებიანი ფიგურა შექმნას.

ქვემოთ გამოსახული ფიგურებიდან რომლის შლილია მოცემული პირველ ნახაზზე?



სწორი პასუხია (c).

განმარტება: სიბრტყეზე შუაში მოცემული წყვეტილი ხაზებით გამოსახული ოთხკუთხედი წარმოადგენს პირამიდის საფუძველს, რომელსაც გარშემო აქვს სამკუთხედები პირამიდის ქიმებად. რადგან სიბრტყეზე მეტი წყვეტილი ხაზები არ არის და მხოლოდ აქ შეიძლება გადაკეცვა, ამიტომ ფიგურა გამოდის პირამიდა, შესაბამისად, სწორი პასუხია c.

⁴ ამ თავში მოცემული ნიმუშები აღებულია www.naec.ge-დან

პროფესიები და სფეროები, რომლებშიც სივრცითი ორიენტაციის გამოყენებაა შესაძლებელი:

არქიტექტურა, დიზაინი, ინჟინერიასთან დაკავშირებული პროფესიების უმეტესობა, ფიზიკა, სამედიცინო სპეციალობები, ფიზიოთერაპია, სტომატოლოგია, ლოგოპედია, მიკრობიოლოგია, ორგანული ქიმია, კომპიუტერული გრაფიკა, მიკროელექტრონიკა, სტილისტობა, ფერმერობა, კულინარია, ხელოვნება, სპორტი (განვარჯიში, ვოლფი, კალათბურთი, ფეხბურთი და სხვ.), კონსტრუირება, ავტომექანიკა, ნავიგაცია, ღურგლობა, ქორეოგრაფია, ფილმების სპეცეფექტების შექმნა, მოქანდაკეობა და სხვა სფეროები, რომლებიც საგნის სამ განზომილებაში წარმოდგენას მოითხოვს.

მექანიკური უნარები

მექანიკური მოწყობილობების მუშაობის პრინციპების ცოდნა და მათი გამოყენების შესაძლებლობა მრავალი პროფესიის განუყოფელი ნაწილია. მექანიკური უნარები მოიცავს უნარების ფართო სპექტრს, რომელთა ფლობა აუცილებელია მანქანა-დანადგარებთან მუშაობის დროს. პროფესიები, რომლებიც მექანიკურ უნარებს საჭიროებს, ყოველდღიურად სხვადასხვა მექანიკური მოწყობილობის გამოყენებას მოითხოვს დაწყებული მარგვი ხელსაწყოებიდან (მაგ., ქანჩის გასაღები), დამთავრებული უფრო რთული მოწყობილობებით (მაგ., ტუმბო, შიდაწვის ძრავი და სხვა). მექანიკური უნარები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშენებლობისა და წარმოების პროფესიებში. ადამიანს, რომელიც ასეთ პროფესიას ირჩევს, უნდა შეეძლოს მანქანა-დანადგარების აწყობა,

შეკეთება, დაზიანების აღმოფხვრა, დიაგნოსტიკა, ხარისხის კონტროლი და ანალიზი.

პროფესიული ორიენტაციისა და სახელობო პროფესიებისათვის პერსონალის შერჩევის დროს ფართოდ გამოიყენება მექანიკური უნარების ტესტი, რომელიც აფასებს ე. წ. მექანიკური ინფორმაციის გამოყენების უნარს პრობლემის გადასაწყვეტად, უფრო ზუსტად, აფასებს რამდენად ესმის გამოსაცდელს ის ძირითადი მექანიკური პრინციპები, რომელთა საფუძველზეც მუშაობს სხვადასხვა მოწყობილობა და ხელსაწყო. იმისათვის, რომ უფრო მკაფიო წარმოდგენა შეიქმნათ მექანიკური უნარების შესახებ, მექანიკური უნარების ტესტიდან საილუსტრაციოდ ერთ ნიმუშს მოვიტანთ.

ნიმუში

ასეთი დავალებები აფასებს მექანიკურ ინტუიციას, ამოწმებს რამდენად იგებს ადამიანი მექანიკის ფუნდამენტურ პრინციპებს და როგორ მუშაობს მარტივი მექანიზმი.

თუ კბილანა A ბრუნავს იმ მიმართულებით, რომელიც გამოსახულია ნახატზე (მიმართულებას ასახავს ისარი), რა მიმართულებით იმოძრავებს C კბილანა?



- ა. საათის ისრის მიმართულებით
- ბ. საათის ისრის საწინააღმდეგოდ
- გ. იგივე მიმართულებით, რაც კბილანა A
- დ. საპირისპირო მიმართულებით, რაც კბილანა B

სწორი პასუხია: (ბ)

განმარტება: როდესაც ორი კბილანას კბილები ერთმანეთშია ჩასმული და ერთი მათგანი ბრუნავს, ის მეორის მოძრაობასაც იწვევს, მაგრამ საპირისპირო მიმართულებით. როდესაც ორივე კბილანა ერთი ზომისაა და ერთი და იგივე რაოდენობის „კბილები“ აქვს, ისინი ერთი და იგივე სიჩქარით მოძრაობს. ასევე, როდესაც ერთნაირი სიჩქარით მოძრაობენ, პაგარა კბილანა უფრო მეტ მოძრაობას აკეთებს იგივე დროში, ვიდრე დიდი კბილანა.

პროფესიები და სფეროები, რომლებშიც მექანიკური უნარების გამოყენებაა შესაძლებელი:

*ინჟინერია, ინდუსტრია, გრანსპორტირება.
მექანიკოსი (მცირე ძრავების, ავტო, საჰაერო, საზღვაო),
ელექტრიკოსი, ღურგალი, შემდგენელი,
წყალსადენების სპეციალისტი, მძიმე და მსუბუქი
ტექნიკის მძღოლი და ოპერატორი, კომპიუტერის
შემკეთებელი, განათების, გათბობისა და ვენტილაციის
ტექნიკოსი და სხვა.*

საკანცელარიო უნარები

საკანცელარიო უნარის ფლობა სამუშაოთა ფართო სპექტრისათვის არის მნიშვნელოვანი. საკანცელარიო უნარებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ პროფესიებში, რომლებიც, როგორც წესი, მოითხოვს მცირე დეტალებზე ყურადღების ფოკუსირებას. ამ პროფესიებისათვის მნიშვნელოვანია შეცდომების სწრაფად აღმოჩენა, წერიტი კომუნიკაციის, კითხვის, გაგების, პუნქტუაციის, ორთოგრაფიის, გრამატიკის გამოყენება, ასევე მნიშვნელოვანია დოკუმენტაციის, სხვადასხვა ოფიციალური წერილის მომზადება; ასევე მონაცემთა ბაზებიდან ინფორმაციის (რიცხვების, სხვადასხვაგვარი კოდის) სწორად გადმოცანა და ა. შ.

საკანცელარიო უნარებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალურ სისწრაფესა და აკურაგულობას. ასეთი ადამიანები კარგად აკეთებენ კორექტურას და არიან დეტალებზე ორიენტირებულნი. თუმცაღა ხშირად ისინი იმდენ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა ნაწილს, რომ მთლიანი სურათის დანახვა

უჭირთ. ამ უნარის არმქონე ადამიანები ნაკლებად ორიენტირებულნი არიან დეტალებზე და სიგუაციას მთლიანობაში აფასებენ, თუმცა უჭირთ მთელის ნაწილებად დაყოფა.

იმისათვის, რომ უფრო მკაფიო წარმოდგენა შეიქმნათ საკანცელარიო უნარების შესახებ, შემოგთავაზებთ ნიმუშს საკანცელარიო უნარების ტესტიდან. მანამდე განვმარტავთ, რომ საკანცელარიო უნარის ტესტი კომპლექსურად აფასებს, რამდენად შესწევს ადამიანს უნარი ღროის მოკლე მონაკვეთში, რაც შეიძლება სწრაფად და აკურაგულად აღიქვას სხვადასხვა სახის დეტალი (ციფრები, ასოები, სიმბოლოები, სურათები, ფორმები და ა. შ.), მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია/ანალიზი (მაგ.: იპოვოს განსხვავებები, აღმოაჩინოს შეცდომები და ა. შ.) და გამოიგანოს დასკვნა.


პროფესიები და სფეროები, რომლებშიც საკანცელარიო უნარების გამოყენებაა შესაძლებელი:

ბუღალტერია, აუდიტი, საბანკო საქმე, კომპიუტერული პროგრამირება, ფინანსები, ექსპერტიზა, ინფორმატიკა, თარგმნა, იურისპრუდენცია, სამედიცინო კვლევები, მიკრობიოლოგია, ბიოტექნოლოგია, ბიზნესის მართვა, საჯარო ადმინისტრირება, გამომცემლობა და რედაქტირება და სხვა.

ნიმუში

გიორგიმ უძრავი ქონებით მოვაჭრე ორგანიზაციის დოკუმენტებიდან გადმოიწერა ქვემოთ მოცემული მონაცემები:

ორგანიზაციის დოკუმენტი წელი – გაყიდული ბინების რაოდენობა	გიორგის გადმოწერილი წელი – გაყიდული ბინების რაოდენობა
1990 – 123	1990 – 123
1991 – 119	1991 – 119
1992 – 124	1992 – 122
1993 – 120	1993 – 120
1994 – 121	1993 – 121
1995 – 111	1995 – 111
1996 – 126	1996 – 136



რამდენი შეცდომა დაუშვა გიორგიმ გადაწერის დროს?

- ა) მხოლოდ 1
- ბ) მხოლოდ 2
- გ) მხოლოდ 3
- დ) მხოლოდ 4

განმარტება: თქვენ დაკვირვებით უნდა შეადაროთ ორგანიზაციის დოკუმენტში მოცემული და გიორგის მიერ გადაწერილი ინფორმაცია ერთმანეთს. ამ შემთხვევაში შეცდომები დაშვებულია მე-3, მე-5 და მე-7 სტრიქონებში მოცემული ინფორმაციის გადაწერისას. თითოეულ სტრიქონში თითო შეცდომაა დაშვებული, შესაბამისად, გიორგიმ დაუშვა 3 შეცდომა. მაშასადამე, სწორი პასუხია (გ).

სხვა მნიშვნელოვანი სფეროები, რომელთა შესახებ ცოლნა ლაგზხმარებათ პროფესიის არჩევაში

სოციალური ინტელექტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანებს არ შეუძლიათ ყოველგვარი სამუშაოს თანაბარი ეფექტიანობით შესრულება. ეს უღაო ჭემმარიგება განპირობებულია, ერთი მხრივ, სამუშაო დავალებათა სპეციფიურობით და, მეორე მხრივ, ინდივიდთა (თანამშრომელთა) უნარ-შესაძლებლობების განსხვავებულობებით. მაგალითად, ე. წ. მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში წარმატებულები არიან ადამიანები, რომლებიც კომუნიკაბელურობითა და მაღალი სოციალური ინტელექტით გამოირჩევიან. ამიგომაცაა, რომ ამ სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავენ ისეთი თანამშრომლების შესარჩევად, რომლებიც ამ უნარებს ფლობენ. სოციალური ინტელექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოლოგისათვის... თუ თქვენ ამ პროფესიის არჩევას, გაყიდვების ან მომსახურების სფეროში მუშაობას აპირებთ, ყურადღებით წაკითხეთ ინფორმაცია სოციალური ინტელექტის შესახებ და დაფიქრდით, გაქვთ თუ არა წარმატების შანსი...

სოციალური ინტელექტი არის *ადამიანის შესაძლებლობა მუსგად აღიქვას და გაიგოს სხვისი ხასიათი, მოგივები და მისწრაფებები*. ამ ნიჭის მქონე ადამიანებს „ინტერპერსონალური რენდგენის“ გადაღების უნარი აქვთ. მათ შეუძლიათ ადამიანების „წაკითხვა“ მაშინაც კი, თუ ეს ადამიანები თავიანთი გრძნობებისა და ფიქრების დამალვას ცდილობენ. ეს საჭირო მახასიათებელია კონსულტანტებისათვის, გაყიდვების აგენტებისათვის, კადრების შერჩევის სპეციალისტებისათვის, პედაგოგების, მენეჯერებისა და

თავი 5
უნარები

დეტექტივებისათვის. მაღალი სოციალური ინტელექტის მქონე ადამიანები დაჯილდოებულნი არიან ინდივიდებისა და ჯგუფების შეცნობისა და მათზე გავლენის მოხდენის უნარით. საუკეთესო პოლიტიკოსები, რელიგიური ლიდერები და მასწავლებლები „ჯგუფის წაკითხვის“ უნარით ხასიათდებიან. სოციალური ინტელექტის კიდევ ერთ გამოვლენას სხვებთან შეწყობა, თანამშრომლობის, გამბარების უნარები და კარგი ურთიერთობა წარმოადგენს.

პროფესიები და სფეროები, რომლებშიც სოციალური ინტელექტის გამოყენებაა შესაძლებელი:

მენეჯერები, ფილმის გადაღება, სამსახიობო ოსტაგობა, სცენარის წერა, ფსიქოლოგია, კონსულტირება, საექთნო საქმე, ფიზიოთერაპია, ბავშვთა მოვლა, სკოლის მასწავლებლობა, მენტორობა, დიპლომატია, ტრენინგი, ორგანიზაციული განვითარება, მარკეტინგი, გაყიდვები, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, საჯარო პოლიტიკა.

ინტრაპერსონალური ინტელექტი

ინტრაპერსონალური ინტელექტი არის ადამიანის თანდაყოლილი შესაძლებლობა აღიქვას და გაიაზროს თავისი მოტივები, გრძნობები და ქცევები. ზოგიერთ ადამიანს კი თითქმის არ მიუწვდება ხელი თავის შინაგან სამყაროზე. ამის საწინააღმდეგოდ, არსებობენ ადამიანები, რომელთაც აინტერესებთ საკუთარი შინაგანი სამყარო, დიდ ღროს უთმობენ მათ შესწავლას და, შესაბამისად, საკუთარი ემოციები კარგად აქვთ გაცნობიერებული.

სფეროები და პროფესიები, რომლებშიც ინტრაპერსონალური ინტელექტის გამოყენებაა შესაძლებელი:

პოეტი, მწერალი, მუსიკოსი, დრამატურგი, ხელოვანი (მხატვარი, მოქანდაკე, გრაფიურაზე მომუშავე), მსახიობი, ჟურნალისტი, მედიატორი, კონსულტანტი, ფსიქოთერაპევტი, მასწავლებელი, მეცნიერი (სოციალურ მეცნიერებათა სფეროში).

იდეების სიმრავლე და შემოქმედებითი აზროვნება

შეგიძნევიათ, რომ ზოგიერთ ადამიანს არასდროს ელევა იდეები, გეგმები ან უბრალოდ სათქმელი. თუმცა ბევრი იდეა მაინცადამაინც იმას არ ნიშნავს, რომ უამრავი შესანიშნავი აზრი გიგრიანობით თავში. მარტივად რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ იდეების გენერირებას სწრაფად ახდენთ.

ამ მახასიათებლის მიხედვით შეგიძლიათ განსაზღვროთ, თუ რა ტიპის სამუშაო შეგეფერებათ. იდეების სიმრავლით გამორჩეულ ადამიანს ისეთ ადგილას ურჩევნია მუშაობა, სადაც ნაკლებად შეუშლიან ხელს ახალი პროექტების შესახებ ფიქრსა და იდეების გენერირებაში და უჭირს ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც ერთიდაიგივე საქმეზე ხანგრძლივ ფოკუსირებასა და კონცენტრირებას მოითხოვს. განსაკუთრებით მაშინ, თუ მოცემული თემა მისთვის უინტერესოა.

შეიძლება ჩათვალოთ, რომ იდეების სიმრავლე ყოველთვის მჭიდრო კავშირშია შემოქმედებით აზროვნებასთან, თუმცა ადამიანები, რომლებიც იდეების სიმრავლით არ გამოირჩევიან, შეიძლება ისეთივე

თავი 5
უნარიანი

კრეატიულები (შემოქმედებითები) იყვნენ, როგორც ის, ვისაც ბევრი იდეის გენერირება შეუძლია. უბრალოდ ისინი იდეების გენერირებას უფრო ნელა ახდენენ. ხშირად ხომ საუკეთესო იდეები ბევრი ფიქრის შემდეგ იბადება. ასეთ ადამიანებს კონკრეტული დავალებისათვის უფრო მეტი ყურადღების დათმობა შეუძლიათ. **შემოქმედებითი აზროვნება არ დაიყვანება მხოლოდ იდეების გენერირებაზე, რადგან ის ემსახურება ახალი კანონზომიერებების აღმოჩენას და მიმართულია ახალი პროდუქტის შექმნაზე.** შემოქმედებითი ადამიანი არა მხოლოდ იდეების სიმრავლით გამოირჩევა, არამედ შეუძლია: წარმოსახვის გამოყენება, ერთმანეთთან თითქოს დაუკავშირებელი ინფორმაციის ან იდეების გაერთიანება, მიზნების ხელახლა ფორმირება და ახალი შესაძლებლობების გამოვლენა და, შესაბამისად, ახალი პროდუქტის შექმნა.

პროფესიები და სფეროები, სადაც იდეების გენერირებასა და შემოქმედებით აზროვნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება:

რეკლამა, მარკეტინგი, გადაუღებელი სასწრაფო დახმარება, სწავლება, კონსულტაცია, იმპროვიზაციული მუსიკა და ხელოვნება, მულტიპლიკაცია, გაყიდვები და სხვა

პრობლემის ბაღაჰრა

რთულია ინტელექტისა და უნარების ცნებებს შორის მკაფიო საზღვრის გავლება. მთავარია გახსოვდეთ, რომ „ინტელექტი“ და „უნარი“ იმ პროცესებს აერთიანებს, რომლებიც ინფორმაციის გადამუშავებაში მონაწილეობს და

პრობლემის გადაჭრისას გამოიყენება. ამჯერად სწორედ პრობლემის გადაჭრის პროცესსა და მის თავისებურებებზე შევხვდებით.

პრობლემის გადაჭრის პროცესში ორი ტიპის მსჯელობას გამოყოფენ: დიაგნოსტიკური მსჯელობა და ანალიტიკური მსჯელობა.

დიაგნოსტიკური მსჯელობა. დიაგნოსტიკური მსჯელობა ერთმანეთთან თითქოსდა დაუკავშირებელ ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის სწრაფად დანახვის ნიჭია, რომლის საშუალებით ზუსტი დასკვნის გამოგანა მცირე რაოდენობის მონაცემებითაა შესაძლებელი. ეს არის სწორი დასკვნების გამოგანის შესაძლებლობა ლოგიკური, „ნაბიჯ-ნაბიჯ“ მიდგომის გამოყენების გარეშე. მოცემული შესაძლებლობის გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როცა პრობლემის ლოგიკურად გადაჭრის გზა არ არსებობს და როცა ყველა ფაქტი ხელმისაწვდომი არ არის. მაგალითად, ისააკ ნიუტონმა მიმიდულობის კანონი სწორედ დიაგნოსტიკური მსჯელობის საფუძველზე აღმოაჩინა. მას ეს უნარი რომ არ ჰქონოდა, სავარაუდოდ, იგი ასე ახსნიდა ხიდან ვაშლის ჩამოვარდნასა და თავში მოხვედრას: „არ უნდა დაჯდე ვაშლის ხის ქვეშ, როცა ნაყოფი დამწიფებულია და ქარი უბერავს“.

აღსანიშნავია, რომ დიაგნოსტიკური მსჯელობა მისი სარგებლიანობის მიუხედავად ბევრ პრობლემასაც იწვევს. ამ ნიჭის მქონე ადამიანებს მუდმივად „ესაჭიროებათ“ ახალთახალი პრობლემები. ერთ დღეს ისინი შეიძლება აღფრთოვანდნენ ახალი სამუშაოთი ან ახალი უნარების სწავლის შესაძლებლობით. როგორც კი მიზანს მიაღწევენ, მოწყენილობა ეუფლებათ და ახალ პრობლემებს ეძებენ. როდესაც დიაგნოსტიკური მსჯელობის მაღალი დონის მქონე ადამიანი მუშაობის პროცესში ამ შესაძლებლობას ვერ იყენებს, იწყებს ყველაფრის კრიტიკას, რაც გზად შეხვდება: სამუშაო გარემოს, უფროსისა და ხშირად საკუთარი თავის. ბევრ პროფესიულ წრეში დიაგნოსტიკურ

თავი 5
შენიშვნები

მსჯელობას დაბრკოლებად მიიჩნევენ. მაგალითად, გრადიციულ კორპორატიულ მენეჯმენტსა და სხვა სფეროებში, რომლებშიც მთავარია არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, დიაგნოსტიკების უნარის მქონე ადამიანს მომჩივან და შემაწუხებელ თანამშრომლად მიიჩნევენ, რადგან ის გამუდმებით ცდილობს ყოველი პრობლემის არსში ჩაწვდომას, მათ წამოწევას და გოპ მენეჯმენტის ყურამღე მიგანას.

პროფესიები და სფეროები, რომლებშიც დიაგნოსტიკური მსჯელობის გამოყენებაა შესაძლებელი:

საბუნებისმეტყველო, სიცოცხლის შემსწავლელი და სოციალური მეცნიერებები; სამედიცინო სფერო (მუდმივად უხდებათ ახალ, არარუგინულ პრობლემებთან გამკლავება); კონსულტირება; სამართალი; საგამოძიებო ჟურნალისტიკა; ტექნიკური პრობლემების მოგვარება; მარკეტინგი, რეკლამა, შესყიდვები; ხარისხის გაუმჯობესება; სხვადასხვა სფეროს კრიტიკოსობა; ექსპერტიზა; გამომგონებელი/ინოვატორი.

ანალიტიკური მსჯელობა. ადამიანები, რომელთაც ანალიტიკური მსჯელობის უნარი მაღალ დონეზე აქვთ განვითარებული, სისტემურად და ლოგიკურად ამროვნებენ; მათ მარტივად შეუძლიათ ინფორმაციის ორგანიზება არსებული წესებისა და თეორიების ჭრილში; პრობლემებს ცნებებისა და ინფორმაციის ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგების მეშვეობით წყვეტენ. ასეთი ადამიანები ახერხებენ ქაოტური სიგუაციის მოწესრიგებას, სისტემაში მოყვანას, პრიორიტეტების გამოყოფას, ლოგიკური თავსაგეხების ამოხსნას, დაგეგმვას, ინფორმაციის

გაერთიანებას, კატეგორიებად დაყოფასა და მნიშვნელოვანი დეტალების დანახვას. ამ ნიჭის მქონე ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ მისი გამოხატვის ზოგიერთი, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი შესაძლებლობა.

ანალიტიკური მსჯელობა ჩვენს კომპიუტერიზებულ სამყაროში პრობლემის გადაჭრის ყველაზე გამოყენებად და სანდო მეთოდად მიიჩნევა. ბიზნესის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პრაქტიკულად ყველა ასპექტი მოითხოვს დაგეგმვას, სისტემაში მოყვანას, ორგანიზებას, ინფორმაციის მიღებასა და მოწესრიგებას და ა. შ. მეცნიერები და ინჟინრები მათემატიკურ ფორმულებს იყენებენ მონაცემთა გასაანალიზებლად, აღმასრულებელი დირექტორები გეგმავენ და განახორციელებენ სტრატეგიებს. მწერლები იყენებენ იდეებისა და ინფორმაციის ორგანიზების უნარს.

პროფესიები და სფეროები, რომლებშიც ანალიტიკური მსჯელობის გამოყენებაა შესაძლებელი:

ბიზნესის მართვა, ინჟინერია, მათემატიკა, სამართალი, სოციალური მეცნიერებები, კვლევა, მწერლობა, რედაქტირება, ბუღალტერია, ფინანსები, კომპიუტერული პროგრამირება, ჟურნალისტიკა.

სამუშაო და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სწორი კარიერული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა თქვენთვის საინტერესო პროფესიები სიღრმისეულად შეისწავლოთ. ამა თუ იმ პროფესიის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ სამუშაოს აღწერილობების გაცნობით; სამუშაოს აღწერილობები

ხელმისაწვდომია ბევრ ელექტრონულ ვებგვერდზე თუ სახელმძღვანელოში. სამუშაოს აღწერა მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სამუშაოს შესახებ: რა მოვალეობები და პასუხისმგებლობები აკისრია ადამიანს, რა ტიპის დავალებების შესრულება უწევს, რა ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლებია საჭირო სამუშაოს მაღალ დონეზე შესასრულებლად და ა. შ. კონკრეტული სამუშაო ამა თუ იმ უნარის გარკვეულ დონეზე ფლობას ითხოვს. იმისათვის, რომ თქვენთვის იდეალური სამუშაო შეარჩიოთ, უნდა განსაზღვროთ, რამდენად შეესაბამება თქვენი უნარები პროფესიის მოთხოვნებს.

ზოგიერთი სამუშაო ითხოვს კონკრეტული უნარის მაღალ დონეზე ფლობას, ხოლო ზოგიერთი – საშუალო დონეზე. მაგალითად, მათემატიკური უნარები ფლობა არ არის აუცილებელი იმ პროგრამისგებისათვის, რომლებიც მომხმარებლებს ემსახურებიან, თუმცა პროგრამისგს, რომელიც კომპიუტერულ პროგრამებს წერს, მაღალი დონის მათემატიკური უნარები მოეთხოვება. ამასთანავე, მენეჯერული უნარები ცალსახად მნიშვნელოვანია კონსტრუქციებისა და შენობების ინსპექტორისათვის, რომელიც ვალდებულია რჩევები მისცეს პროექტში ჩართულ სხვა ადამიანებს.

ქვემოთ მოცემულია ზოგადი ინფორმაცია ზოგიერთი უნარის შესახებ, რომლებიც ხშირად გხვდება სამუშაოს აღწერილობებში და რომლებზეც ორგანიზაციები პერსონალის შერჩევის დროს ამახვილებენ ყურადღებას:

⇒ **მენეჯერული უნარები** – მოიცავს ორგანიზებას, დაგეგმვას, კონტროლს, პრიორიტეტების განსაზღვრას, სხვა ადამიანების მართვასა და სწავლებას.

- ⇒ **დროის მართვა** – მოიცავს მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი აქტივობების შერჩევას, მნიშვნელოვნების მიხედვით დალაგებასა და მათ შესასრულებლად დროის განაწილებას. იგი, აგრეთვე, გულისხმობს ეფექტიანი განრიგის მომზადებასა და დაცვას.
- ⇒ **ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და გამოყენება** – ეს უნარი გულისხმობს ინფორმაციის საჭიროების განსაზღვრას, შესაბამისი წყაროების მოძიებას, მიღებული მონაცემების სიმუსტისა და რელევანტურობის შეფასებას; მიღებული ინფორმაციის შენახვას; ინფორმაციის შერჩევას, განალიზებასა და დაინტერესებული პირებისათვის წარდგენას.
- ⇒ **გუნდური მუშაობა** – ამ უნარის მქონე ადამიანს კარგად შეუძლია ჯგუფში მუშაობა და თავისი წვლილი შეაქვს გუნდის განვითარებაში; ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს და ეხმარება ჯგუფის წევრებს. მიმდინარე უთანხმოებებს ჯგუფის საკეთილდღეოდ წყვეტს; პასუხისმგებლობას იღებს დასახული მიზნების მიღწევაზე.
- ⇒ **მომხმარებელთან მუშაობის უნარი** – ეს უნარი მოიცავს კლიენტებთან/მომხმარებლებთან მუშაობასა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას. მომხმარებლის აქტიურ მოსმენას გაუგებრობის თავიდან არიდების მიზნით; საჩივრების ან კონფლიქტური სიტუაციების არსებობის დროს სიმშვიდისა და პოზიტიური განწყობის შენარჩუნებას.
- ⇒ **ლოგიკური ამროვნების უნარი** – მოიცავს ამა თუ იმ საკითხის საფუძველში მდებარე პრინციპების აღმოჩენასა და გამოყენებას პრობლემის გადაჭრის პროცესში; ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნების გამოგანას; კონკრეტულ ობიექტებზე ან წერილობით მასალაზე დაყრდნობით

წესებისა და პრინციპების გამოყოფასა და მათ ახალ სიტუაციებში ან სწორი დასკვნების გამოსაგანად გამოყენებას.

- ⇒ **პრობლემის გადაჭრის უნარი** – მოიცავს პრობლემის აღმოჩენას, შეუსაბამობის მიზეზების დადგენას, მათი გადაწყვეტის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას, პროგრესის მონიტორინგსა და შეფასებას.
- ⇒ **ინტერპერსონალური უნარები** მოიცავს ადამიანებთან ურთიერთობის ეფექტიანად წარმართვასა და დარწმუნების უნარებს; კონფლიქტების გადაჭრასა და მოლაპარაკებას; გავლენის მოხდენასა და თანამშრომლობას.
- ⇒ **გადაწყვეტილების მიღების უნარი** – გულისხმობს მიზნებისა და შეზღუდვების განსაზღვრას, ალტერნატივების მოძიებასა და შეფასებას, რისკების გათვალისწინებასა და საუკეთესო ვარიანტის ამორჩევას.

მოთხოვნები ზოგიერთ სამუშაოზე შეიძლება უფრო სპეციფიკურ მახასიათებლებსაც მოიცავდეს, მაგალითად, ფიზიკური გამძლეობა, სტრესგამძლეობა, ყურადღების კონცენტრაციის უნარი და სხვა. ზოგიერთ პროფესიაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში აქცენტი ისეთ კომპეტენციებზეც კეთდება, როგორებიცაა წერითი და მკაფიო მეტყველება:

- ⇒ **წერა** – გულისხმობს ამრებისა და ინფორმაციის წერილობითი სახით გადმოცემას. ინფორმაციის სრულად და მოწესრიგებულად შენახვას; წერილების, ინსტრუქციების, სახელმძღვანელოების, ანგრიშების წერის უნარს. წერის დროს მიზნობრივი აუდიტორიისა

და კონკრეტული საკითხის შესაბამისი ენის, ფორმაგისა და სტილის გამოყენებას; წერილობითი ინფორმაციის შემოწმებას, შესწორებას (გრამატიკულად, ორთოგრაფიულად, პუნქტუაციურად).

⇒ **მოსმენა და საუბარი:** მოსმენის უნარის მქონე ადამიანი მიზნის შესაბამისად (მაგ., გააზრება, მოსაუბრის მხარდაჭერა) ზუსტად იღებს, ინტერპრეტირებას ახდენს და პასუხობს ვერბალურ და არავერბალურ (სხეულის ენა) შეგყობინებებს. საუბრის უნარი მოიცავს მსმენელებისა და სიგუაციის შესაბამისად ამრების ორგანიზებასა და სიგყვიერად გადაცემას; საუბარში, დისკუსიაში, ჯგუფურ პრეზენტაციაში მონაწილეობის მიღებას; აუდიტორიისა და გარემოების შესაბამისი ვერბალური და სხეულის ენის შერჩევას; გარკვევით საუბარს; მოსაუბრის მიერ მიწოდებული უკუკავშირის გააზრებასა და მისთვის პასუხის გაცემას; საჭიროებისამებრ შეკითხვების დასმას.

უნარები, რომლებზეც მოთხოვნა მოგაპალში გაიზრდება

დღესდღეობით მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სამომავლოდ შრომით ბაზარზე სამსახურის მაძიებელთათვის შემდეგი უნარების ფლობა იქნება მოთხოვნადი.

იღის წვდომა (sense-making), გამოცდილების მნიშვნელობის გაგება. იქიდან გამომდინარე, რომ 21-ე საუკუნეში „გონიერ მანქანებს“ დიდი წვლილი შეაქვთ ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებაში, სამომავლოდ დიდი

თავი 5
უნარები
123

მოთხოვნა იქნება ისეთ უნარებზე, როგორებსაც მანქანები არ ფლობენ. ისინი ე. წ. მაღალი დონის ამროვნების უნარებია, რომელთა ხელოვნური მოდელირება შეუძლებელია. ეს არის იდეის, აზრის წვდომის უნარი, რომელიც ეხმარება ადამიანს გადაწყვეტილების მიღებისას კრიტიკული კომპონენტების დანახვასა და განჭვრეტაში.

სოციალური ინტელექტი როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანებთან უშუალო ურთიერთობის დამყარების, სასურველი რეაქციების გამოწვევისა და ამოცნობის შესაძლებლობაა. სოციალური ინტელექტის მქონე ადამიანები სწრაფად აფასებენ სხვების ემოციებს და მათთან ურთიერთობის დროს შესაბამისად არჩევენ ხმის ტონსა და ქესტიკულაციას. სოციალური ინტელექტი ყოველთვის იყო და იქნება მნიშვნელოვანი უნარი იმ ადამიანებისათვის, რომელთაც სამსახურში თანამშრომლობასა და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები ესაჭიროებათ.

ინოვაციური და ადაპტური ამროვნება არარუტინული და დადგენილი წესებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღებასა და პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებაში გაწაფულობას გულისხმობს. დღესდღეობით თითქმის ყველა ტიპის სამუშაოზე ადამიანებს ადაპტურობის გამოჩენას სთხოვენ, რაც უნიკალურ, მოულოდნელ გარემოებებზე სწრაფ რეაგირებას გულისხმობს.

კროს-კულტურული კომპეტენცია სხვადასხვა კულტურულ გარემოში მუშაობის შესაძლებლობაა. მნიშვნელოვანია ენობრივი და ცვალებად გარემოებებთან შეგუების უნარები, აგრეთვე, ახალი სიტუაციის გააზრებისა და შესაბამისი რეაქციის გამოხატვის შესაძლებლობა. დღესდღეობით

მრავალი ორგანიზაცია ინოვაციის უმნიშვნელოვანეს წყაროდ მრავალფეროვნებას მიიჩნევს, რაც განსხვავებული კულტურის, ასაკის, უნარების, პროფესიის, მუშაობისა და აზროვნების სტილის მქონე ადამიანების ერთ სამუშაო ჯგუფში გაერთიანებას გულისხმობს. ასე რომ, კროს-კულტურული კომპეტენცია მნიშვნელოვანია არა მარტო იმ ადამიანებისათვის, რომლებიც განსხვავებულ გეოგრაფიულ რეგიონში მუშაობენ, არამედ ორგანიზაციის ყველა წევრისათვისაც.

კომპიუტერული წიგნიერება დიდი რაოდენობის ინფორმაციის აბსტრაქტულ ცნებებად წარმოდგენის შესაძლებლობა და მონაცემებზე დაფუძნებული აზროვნებაა. ადამიანებს დღითიდღე უფრო და უფრო მეტი ინფორმაციის გადამუშავება უწევთ. მეცნიერები ხაზს უსვამენ, რომ დაკისრებული მოვალეობების კარგად შესრულებაში არსებით როლს კომპიუტერული აზროვნება თამაშობს. იგი მოიცავს მონაცემთა ანალიზსა და ორგანიზებას, მათზე დაყრდნობით აბსტრაქტული მოდელებისა და ცნებების შექმნას, პრობლემის დასმასა და გადაჭრის შესაძლო გზების მოძიებასა და ამ პროცესის გამოყენებას სხვა მსგავსი პრობლემების გადაწყვეტის დროს.

თანამედროვე მედიასაშუალებების გამოყენება მოიცავს ისეთი მასალის შეფასებისა და შექმნის შესაძლებლობას, რომელსაც თანამედროვე მედიასაშუალებები იყენებენ. მედია ჩვენს სოციალურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს, რაც სამსახურშიც კარგად იგრძნობა. თანამედროვე მედიასაშუალებები (ბლოგები, ვიდეოები და სხვ.) ნელ-ნელა უფრო აქტუალური გახდება მუშაობის პროცესში. თანამედროვე ორგანიზაციების თანამშრომლებს კომუნიკაციის ახალი ფორმების ცოდნა და გამოყენება მოეთხოვებათ.

გრანსდისციპლინურობა სხვადასხვა სფეროსთან, დისციპლინასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაგების შესაძლებლობას წარმოადგენს. დღესდღეობით მრავალი გლობალური პრობლემა საკმაოდ რთულია იმისათვის, რომ მისი გადაჭრა ერთ სფეროს მივანდოთ. ასეთი პრობლემების მოგვარება მულტიდისციპლინურ მიდგომებს საჭიროებს. თუ მე-20 საუკუნეში მეტი ყურადღება კონკრეტულ სფეროში სპეციალიზაციას ეთმობოდა, 21 -ე საუკუნის ადამიანებს მრავალ სფეროში გათვითცნობიერება მოეთხოვებათ.

ჭარბი ინფორმაციის მართვა წარმოადგენს ინფორმაციის გაფილტვრისა და გადარჩევის პროცესს. იგი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით შემეცნებითი ფუნქციონირების მაქსიმალურ გაზრდას გულისხმობს. დიდი რაოდენობის ინფორმაცია, რომელსაც ადამიანი ყოველდღიურად იღებს, მას ინფორმაციული გადატვირთვით ემუქრება. ორგანიზაციები და მისი თანამშრომლები იმ შემთხვევაში შეძლებენ მიღებული ინფორმაციის მათთვის სასიკეთოდ გამოყენებას, თუ მხოლოდ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე გაამახვილებენ ყურადღებას.

ვირტუალური თანამშრომლობა გულისხმობს ვირტუალურ ჯგუფში პროდუქტიულად მუშაობის, ჩართულობის გამოჩენისა და აქტიურობის შესაძლებლობას. თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს ადამიანებს გაუზიარონ ერთმანეთს იდეები და ერთად პროდუქტიულად იმუშაონ ერთ ოფისში მუშაობის გარეშე. ვირტუალური ჯგუფის ლიდერს უნდა შეეძლოს ჯგუფის წევრების მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდისათვის საჭირო სტრატეგიის შემუშავება. ვირტუალური ჯგუფის

წევრებმა უნდა შეძლონ ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც გაზრდის მათ პროდუქტიულობასა და კეთილდღეობას.

თუ ეს თავი ყურადღებით წაიკითხეთ, თქვენი ნიჭისა და უნარების შეფასება არ უნდა გაგიჭირდეთ. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ ისეთი პროფესიის არჩევაში, რომლის მოთხოვნებიც თქვენს შესაძლებლობებს შეესაბამება. ამგვარი არჩევანის გაკეთება კი სასურველ საქმიანობაში წარმატების მიღწევის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Nicholas Lore; The Pathfinder – How to Choose or Change Your Career for a Lifetime of Satisfaction and Success; A Touchstone book – A Division of Simon & Schuster, Inc., 1998.
2. ACT, Inc., Workforce Development Division; Workplace Essential Skills: Resources Related To The SCANS Competencies And Foundation Skills, 2000.
3. Anna Davies, David, Devin Fidler, Marina Gorbis; Future Work Skills 2020, University of Phoenix Research Institute, 2011.
4. Michael Farr; Overnight Career Choice – Discover Your Ideal Job in Just a few hours; JIST Publishing, inc., 2006
5. Ferguson Public Company; Encyclopedia of Careers and Vocational Guidance – Career Guidance and Career Fields, 4th Edition; Infobase Publishing, 2008.
6. www.naec.ge

6

პიროვნება

რა არის პიროვნება?

წარმოვიდგინოთ ადამიანები, რომლებსაც ვიცნობთ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ ფიზიკურ მახასიათებლებს, როგორ დავახასიათებდით თითოეულ მათგანს? ვიცხვით, რომ ერთს უყვარს ხალხმრავალი ადგილები, მეორე კი მარტო ყოფნას ამჯობინებს; მოგიერთი საკმაოდ თავდაჯერებულია, მოგს კი ხშირად ეჭვი ეპარება საკუთარ შესაძლებლობებში... ჩვენ, ჩვეულებრივ, პიროვნებას ამგვარად ვახასიათებთ.

გერმინი „პიროვნება“ (“personality”) ინგლისურ ენაში ლათინური სიტყვიდან “persona” დამკვიდრდა. ის თეატრალურ ნიღაბს აღნიშნავდა, რომელიც ძველ საბერძნეთში მსახიობებს სხვადასხვა კომიკური თუ ტრაგიკული სახეებისა და როლების შესაქმნელად ეკეთათ.

არ არსებობს „პიროვნების“ მუსტი, სტანდარტული განსაზღვრება, თუმცა ფსიქოლოგები ძირითადად ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ პიროვნება არის ინდივიდუალური თვისებების უნიკალური ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს მის ურთიერთქმედებას

გარემოსთან. პიროვნების ცნება ადამიანისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ასპექტს აერთიანებს, ესენია: ამროვნება, მოტივაცია, ემოცია, აღქმა, განცდები, ქცევები. პიროვნება არ დაიყვანება მის ერთ რომელიმე ასპექტზე, არამედ მრავალმხრივია და შინაგანი ფსიქიკური პროცესების მთელ სპექტრს მოიცავს, რაც განაპირობებს ადამიანის ქცევას ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ პიროვნება ფსიქოლოგიური მახასიათებლების, გემპერამენგისა და მიდრეკილებების ერთიანობაა, რომელიც ნაწილობრივ ჩვენი ქცევების მოტივატორია და წარმართავს მათ. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ზოგჯერ ჩვენს ქცევას სიტუაცია, გარემო განსაზღვრავს.

რა არის პიროვნება? რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას – პიროვნული თავისებურებები, გარემო ფაქტორები თუ ორივე ერთად? ფსიქოლოგიის ისტორიაში ეს მუდმივი კამათის თემა იყო. ამრთა სხვადასხვაობას ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ ადამიანი ხშირად სხვადასხვა სიტუაციაში და გარემოში სხვადასხვანაირად იქცევა. ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, ეს იმის დადასტურებაა, რომ ქცევა ძირითადად სიტუაციით განისაზღვრება და სტაბილური ინდივიდუალური განსხვავებების როლი მინიმალურია. ფსიქოლოგების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პიროვნება, სიტუაცია (ანუ გარემო ფაქტორები) და ქცევა გამუდმებით ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აბსოლუტური სიმუსტითა და დარწმუნებით რთულია ადამიანის ქცევის პროგნოზირება, ვინაიდან ის სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია. მაგალითად, ნორმალურ პირობებში ადამიანების უმეტესობა (მათ შორის ძალიან კომუნიკაბელური და აქტიური ადამიანიც) კინოთეატრში ფილმის ჩვენების დროს თითქმის არ ლაპარაკობს. ეს მაგალითი იმის ილუსტრაციაა, რომ სიტუაციას ადამიანის ქცევაზე ზოგჯერ

თავი 6
პიროვნება

ძლიერი გავლენა შეიძლება ჰქონდეს და განსაზღვრავდეს კიდევ მის ქცევას. მაგრამ მაშინ, როდესაც გარემოს გავლენა უფრო სუსტია (ვთქვათ, ნაკლებად ფორმალური შეხვედრის დროს), საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ მეგობრული და კომუნიკაბელური ადამიანი ძალიან ბევრს ილაპარაკებს, ანუ ამ დროს მის ქცევას მისი პიროვნული თავისებურებები წარმართავს.

„დიდი ხუთეულის“ მოდელი

პიროვნების შესწავლისას ძირითადი აქცენტი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებისა და მახასიათებლების გამოვლენაზე კეთდება. პიროვნების დასახასიათებლად ყველაზე ხშირად ე. წ. „დიდი ხუთეულის“ მოდელს იყენებენ, რომელიც პიროვნებას ხუთი განზომილების მიხედვით აფასებს. ესენია: **ექსტროვერსია, ემოციური სტაბილურობა, გამოცდილებისადმი ღიაობა, ორგანიზებულობა და კეთილგანწყობა.**

გაეცანით ამ განზომილებებს და დაფიქრდით, თქვენ რომელი შეგესაბამებათ. უფრო ბუსტი შეფასება კი პიროვნების საკვლევი სპეციალური ხუთფაქტორიანი კითხვარით (NEO) შეიძლება.

(1). **ექსტროვერსია-ინტროვერსია. ექსტროვერსია** მიუთითებს ადამიანის სოციალურობაზე, კონტაქტურობაზე, საუბრის სიყვარულსა და აქტიურობაზე. ექსტროვერტებს უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა, უპირატესობას ანიჭებენ სამოგალოებრივ შეკრებებს, აქტიურები, მხიარულები, ოპტიმისტები და ენერგიულები არიან. საპირისპირო თვისებები **ინტროვერსიას** უკავშირდება. ინტროვერტები ისეთი მხიარულები და გართობის მოყვარულნი არ არიან, როგორებიც ექსტროვერტები. ინტროვერტია ადამიანი,

რომელსაც მარგო ყოფნა ურჩევნია, თავშეკავებული და ღინჯია.

(2). **ემოციური სტაბილობა-ლაბილობა.** ემოციურად სტაბილური ადამიანი, როგორც წესი, მშვიდი და გაწონასწორებულია. აღელვებისა და შფოთვის გარეშე შეუძლია სტრესული სიტუაციების დაძლევა. ის უფრო ოპტიმისტურად და დადებითად უყურებს მოვლენებს. საპირისპირო თვისებები **ემოციურ ლაბილობას უკავშირდება.** ემოციურად ლაბილური პიროვნება ემოციურად სტაბილურ ადამიანთან შედარებით უფრო დაძაბული, ემოციური და აგზნებულია. მას, აგრეთვე, შეიძლება ახასიათებდეს შიში, სევდა, შფოთვა, სიმორცხვე და უარყოფითი გრძნობებისადმი მიდრეკილება.

(3). **გამოცდილებისადმი ღიაობა.** გამოცდილებისადმი ღია ადამიანი არის შემოქმედებითი, ცნობისმოყვარე, მგრძობიარე, კარგადა აქვს განვითარებული წარმოსახვისა და შემეცნების უნარები. უყვარს სიახლეები, საინტერესო თავგადასავლები, უჩვეულო იდეები, ადვილად ეგუება ახალ გარემოსა და ცვლილებებს. საპირისპირო თვისებების მაგარებელ ადამიანებს არ უყვართ ცვლილებები და უფრო კონსერვატიულები არიან.

(4). **ორგანიზებულობა.** ორგანიზებულობის მაღალი დონე გულისხმობს მაღალ პასუხისმგებლობასა და მოწესრიგებულობას. ასეთი ადამიანი, როგორც წესი, უფრო დისციპლინირებული, თანმიმდევრული, პუნქტუალური და მიღწევებზე ორიენტირებულია. საპირისპირო თვისებების მქონე ადამიანი მოქმედებს უფრო სპონტანურად და ნაკლებადა აქვს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა.

(5). **კეთილგანწყობა.** ეს თვისება ახასიითებს ადამიანს, რომელიც უფრო მრდილობიანი, მიმდობი, ბუნებრივი, მიმგვებელი, თანხმობის მოყვარული, გულთბილი და ცოლერანგულია. ის თანამშრომლობაზე ორიენტირებული და „დამყოლი ბუნება“ აქვს. საპირისპირო თვისებების

თავი 6
პირველი

მატარებელი ადამიანი კი უფრო შეჯიბრზე, კონკურენციაზეა ორიენტირებული.

მაიერს-ბრიგის გიჟთა ინდიკატორი

პროფესიულ ორიენტაციაში აქტიურად გამოიყენება პიროვნების შესწავლის კიდევ ერთი ინსტრუმენტი – **მაიერს-ბრიგის გიჟთა ინდიკატორი**. ჩვენ უფრო დეტალურად გიამბობთ მის შესახებ, რადგან მაიერს-ბრიგის გიჟთა ინდიკატორის საშუალებით ადამიანებს შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი პიროვნული მახასიათებლების შესაბამისი სამუშაო სფერო და აირჩიონ შესატყვისი პროფესია.

პიროვნების გიჟთა კონცეფცია ფსიქოლოგ კარლ იუნგისა და ორი ამერიკელი მკვლევრის კეტრინ ბრიგისა და იზაბელ მაიერს-ბრიგის შრომებს ეყრდნობა. იუნგი მიიჩნევდა, რომ ადამიანების ქმედებები, რომლებიც რთულად პროგნოზირებადი ჩანს, არ არის შემთხვევითი და მათი წინასწარმეტყველებაც შესაძლებელია, თუკი მხედველობაში აზროვნების იმ პროცესებსა და იმ ქცევებს მივიღებთ, რომლებიც კონკრეტულ ქმედებებს იწვევს. პიროვნებები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ როგორ აცნობიერებენ გარესამყაროდან მიღებულ ინფორმაციასა და როგორ გამოაქვთ დასკვნები, შესაბამისად, განსხვავებულია მათი რეაქციები, ინტერესები, ღირებულებები, მოტივაცია და უნარები.

მაიერს-ბრიგის გიჟთა ინდიკატორის მიხედვით გამოიყოფა პიროვნულ მახასიათებელთა ოთხი ბიპოლარული⁵ განზომილება: **ექსტროვერსია-**

⁵ **ბიპოლარული** – განზომილება, რომელსაც გააჩნია ორი საპირისპირო მხარე.

ინსტროვერსია, შეგრძნება-ინტუიცია, ამროვნება-გრძნობა და განსჯა-პერცეფცია. ნებისმიერი ადამიანის პიროვნული მახასიათებლები თითოეული ამ ოთხი განზომილების ურთიერთსაპირისპირო მხარეებიდან ერთ-ერთს შეესაბამება.

ექსტროვერსია-ინტროვერსა მოკლედ „დიდი ხუთეულის“ მოდელის ფარგლებშიც განვიხილეთ. ამჯერად უფრო დეტალურ ინფორმაციას შემოვთავაზებთ.

ექსტროვერსია-ინტროვერსია

ექსტროვერტი ადამიანები საზოგადოებაში თავს კარგად გრძნობენ, მოსწონთ ადამიანებთან ურთიერთობა, ჯერ მოქმედებენ და შემდეგ ფიქრობენ, მეგს ლაპარაკობენ, ვიდრე უსმენენ და ადამიანებთან კონტაქტისაგან დიდ სიამოვნებას იღებენ. ისინი არიან აქტიურები, ენერგიულები, გახსნილები, ხშირად ხმამაღლა ფიქრობენ და სწრაფად პასუხობენ კითხვებს. როგორც წესი, ბევრი ნაცნობი ჰყავთ და ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვართ. უკეთესად სწავლობენ და მუშაობენ მაშინ, როდესაც აქვთ ამრის გამიარების, დისკუსიისა და სხვებთან ერთად ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა.

ინტროვერტი ადამიანების ენერგია და ყურადღება საკუთარი შინაგანი სამყაროსაკენაა მიმართული. მათ უყვართ განმარტობა, ცდილობენ სამყარო მანამ შეიცნონ, სანამ მასთან შეხება ექნებათ. არ უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა და ექსტროვერტებთან შედარებით მეტად მშვიდები და თავშეკავებულები არიან; ჯერ ფიქრობენ და შემდეგ მოქმედებენ; მეგს უსმენენ, ვიდრე ლაპარაკობენ; როგორც წესი, პირადი ცხოვრების დეტალებს ადამიანებს იშვიათად უზიარებენ. უკეთესად სწავლობენ და მუშაობენ

თავი 6
პიროვნება

მაშინ, როდესაც აქვთ საკმარისი დრო იმისათვის, რომ ჩაუღრმავდნენ საკითხს და თვითონ წარმართონ ინფორმაციის მოპოვების პროცესი.

არცთუ მართებულია ის მოსაზრება, თითქოს ექსტროვერგი ის აღამიანია, რომელიც „ბევრს საუბრობს“, ხოლო ინტროვერგი ის, ვინც უფრო „მორცხვია“. ვინაიდან ექსტროვერგები და ინტროვერგები თავიანთ ენერგიას საპირისპირო მხარეს მიმართავენ, მათ შორის ღრმა და მკაფიო განსხვავებაა.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეათავსეთ – აღნიშნული განზომილების რომელ მხარეს მიაკუთვნებდით საკუთარ თავს უფრო მეტად და მონიშნეთ შესაბამისი გრაფა

ექსტროვერსია

ინტროვერსია

შეგრძნება-ინტუიცია

შეგრძნებითი ადამიანები ინფორმაციის მიღებისას ეყრდნობიან იმას, რასაც ხედავენ, ეხებიან, ესმით, ყნოსავენ, გემოს უსინჯავენ – რისი გამოშვება და დაფიქსირებაც შესაძლებელია. ისინი ორიენტირებულნი არიან აწმყოზე და ყურადღებას მიაპყრობენ იმაზე, რაც რეალური და ნამდვილია; ეყრდნობიან ბუსტ და კონკრეტულ მონაცემებს; უყვართ ნაცადი მეთოდების გამოყენება; ახალ იდეებს იღებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი გამოყენების აზრს ხედავენ; მუშაობენ თანმიმდევრულად და ორგანიზებულად.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანი გრძნობის ორგანოების მეშვეობით იღებს ინფორმაციას, *ინტუიტიური* ადამიანები მეტ ყურადღებას შეგრძნების მიღება არსებულ კონტექსტს, მნიშვნელობას, კავშირებსა და ურთიერთობებს უთმობენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი „მეექვსე გრძნობას“, ინტუიციას უფრო უჯერებენ, ვიდრე ხუთ ძირითად გრძნობის ორგანოს. მაგალითად, ახალი გექნიკის გამოყენებისას, ინტუიტიური ტიპი ინსტრუქციის წაკითხვის ნაცვლად ინტუიციას მიმართავს, ხოლო შეგრძნებითი ტიპი საქმეს პრაქტიკული მხრიდან მიუდგება. ინტუიტიური ადამიანებს უყვართ ახალი უნარ-ჩვევების შექმნა, ახლებური მიდგომები და იდეები, ამასთან ორიენტირებულნი არიან მომავალზე. ასევე, კარგად აქვთ განვითარებული წარმოსახვის უნარი.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეაფასეთ –
აღნიშნული განზომილების რომელ მხარეს
მიაკუთვნებდით საკუთარ თავს უფრო მეტად და
მონიშნეთ შესაბამისი გრაფა

შეგრძნება

ინტუიცია

აზროვნება-გრძნობა

აზროვნებითი ტიპები გადაწყვეტილებას ლოგიკაზე დაყრდნობით, მიზემ-შედეგობრივი კავშირების გათვალისწინებით, ობიექტური მსჯელობისა და ანალიზის შედეგად იღებენ. ურჩევნიათ განმარტოვდნენ და ისე განიხილონ პრობლემები. არიან სამართლიანები და თვლიან, რომ სიმართლის თქმა გაქტიანობაზე მნიშვნელოვანია. სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას საერთო სტანდარტებით ხელმძღვანელობენ, კრიტიკულად აზროვნებენ და შეცდომებს იოლად ამჩნევენ.

გრძნობითი ტიპები გადაწყვეტილებებს იმის მიხედვით იღებენ, თუ რამდენად გრძნობენ მათ მართებულობას. ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი არიან, ახლო ურთიერთობებში მარტივად შედიან და მოსწონთ სხვებისათვის სიამოვნების მინიჭება. სხვათა ქმედების შედეგებს ღიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და თვლიან, რომ გაქტიანობა სიმართლის თქმაზე მნიშვნელოვანია. ეუფქტიანად მუშაობენ კეთილგანწყობილ ადამიანთა გარემოცვაში. როგორც წესი, კარგად აცნობიერებენ სხვათა ღირებულებებსა და შეხედულებებს, თუმცა გადაწყვეტილებებს ხშირად მაინც სუბიექტურად იღებენ.

ცხადია, აზროვნებით და გრძნობით ტიპებს განსხვავებული პერიორიგეტები აქვთ. აზროვნებითი ტიპები

იმდენად არიან დამოკიდებულნი ანალიზსა და ლოგიკურ მსჯელობაზე, რომ შეიძლება გულცივებიც კი ჩანდნენ, გრძნობითი ტიპები კი – ისეთი ემოციურები, რომ შეიძლება ზედმეტად მგრძნობიარენიც კი მოგეჩვენოთ.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეაფასეთ -
აღნიშნული განზომილების რომელ მხარეს
მიაკუთვნებდით საკუთარ თავს უფრო მეტად და
მონიშნეთ შესაბამისი გრაფა

აბროვნება

გრძნობა

განსჯა-პერცეფცია

განსჯითი ტიპები ორგანიზმებულები და მოწესრიგებულები არიან, ყველაზე უკეთ თავს გრძნობენ მაშინ, როდესაც ყველა საქმე მოგვარებული აქვთ, ცხოვრება კი დალაგებული. მოსწონთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ისახავენ მიზნებს, იღწვიან დროულად მათ მისაღწევად და შედეგზე ორიენტირებულნი არიან. ურჩევნიან, როდესაც მათი როლი ნათლად და მკაფიოდ არის განსაზღვრული და იციან - რას ელიან სხვები მათგან, შესაბამისად ცვლილებებისა და გაურკვევლობის დროს თავს არაკომფორტულად გრძნობენ.

პერცეფტული ტიპები კი აღქმაზე დაყრდნობით მოქმედებენ. ისინი არანაირი შესაძლებლობების წინაშე არ იხევენ უკან. თავს ყველაზე კარგად გრძნობენ მაშინ, როდესაც თავისუფალი არჩევანის საშუალება აქვთ. ახალი

ინფორმაციის მიღების შემთხვევაში შეიძლება გეგმიდან გადაუხვიონ. სიამოვნებით ეგუებიან ახალ გარემოს. განსჯით ტიპებთან შედარებით, ნაკლებად მოწესრიგებულები და პუნქტუალები არიან. ვერ ეგუებიან რუტინასა და შეზღუდულ დროში შესასრულებელ მოვალეობებს.

განსჯით და პერცეპტულ ტიპებს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველნი განიცდიან გარკვეულ დაძაბულობას, როდესაც საკითხი არაა გადაწყვეტილი, ხოლო, პერცეპტული ადამიანები კი პირიქით, დისკომფორტს განიცდიან გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისად, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ გაექცნენ ამგვარ პასუხისმგებლობას და თავისუფალი არჩევანი დაიგოვონ.

*ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეათვალეთ –
აღნიშნული განზომილების რომელი მხარეს
მიაკუთვნებდით საკუთარ თავს უფრო მეტად და
მონიშნეთ შესაბამისი გრაფა*

განსჯა პერცეფცია

თქვენ უკვე განსაზღვრეთ ზემოთ აღწერილი პიროვნული განზომილებებიდან რომელი შეგესაბამებათ ყველაზე მეტად. დააღაგეთ თანმიმდევრობით თქვენს მიერ არჩეული მახასიათებლები (მაგალითად, *ექსტროვერსია, შეგრძნება, გრძნობა, პერცეფცია*). ამგვარად თქვენ პიროვნულ პროფილს მიიღებთ.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 16 პიროვნული პროფილის შესახებ. იპოვეთ და გაეცანით თქვენი პროფილის შესაბამის ინფორმაციას, რომელიც ყველაზე შესაბამისი პროფესიის არჩევაშიც დაგეხმარებათ.

თუ ექსტროვერსია, ინტუიცია, გრძნობა, განსჯა აირჩიეთ:

ასეთი ადამიანები დიდად აფასებენ ადამიანთა შორის ურთიერთობებს. მეგობრულები, მგრძნობიარე და ტაქტიანები არიან. უმცირეს დეტალებშიც კი თანმიმდევრობასა და კეთილსინდისიერებას იჩენენ. ახარებთ შექება და განიცდიან გულგრილობას; სხვათა თვალსაზრისში შეუძლიათ რაიმე ღირებული დაინახონ მაშინაც კი, როდესაც ეს თვალსაზრისი მათსავე ეწინააღმდეგება; არიან ცნობისმოყვარეები და აინტერესებთ ჩვეულებრივი ნაცნობი მოვლენის მიღმა არსებული შესაძლებლობები. გამომსახველობით უნარს საუბარში უფრო ავლენენ, ვიდრე წერისას, ამასთან საუბრის დროს უკეთ ამროვნებენ. მათი გადაწყვეტილებები, ძირითადად, პიროვნულ ღირებულებებს ემყარება. შეიძლება დასკვნა იქამდე გამოიგანონ, სანამ სიტუაციას გაეცნობიან;

ისინი წარმატებით გაართმევენ თავს ისეთ სამუშაოს, რომელიც ადამიანებთან კონტაქტსა და თანამშრომლობას საჭიროებს. ნაკლებად შეეფერებათ ისეთი პროფესია, რომელიც დიდ აკურაგულობას მოითხოვს (მაგ., ბულაღგერია), თუ მას მათთვის რაიმე განსაკუთრებული პიროვნული ღირებულება არა აქვს. აქედან გამომდინარე, მათთვის შესაბამისი პროფესიები შეიძლება აღმოჩნდეს: *მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, დიპლომატი, ვაყიდვების*

თავი 6
პიროვნება
139

კონსულტანტი, მენეჯერი, სამოვადოებსთან ურთიერთობების სპეციალისტი და სხვ.

თუ ინტროვერსია, ინტუიცია, გრძნობა, განსჯა აირჩიეთ:

ამგვარი ადამიანები იდეების სამყაროში ცხოვრობენ. ახასიათებთ დამოუკიდებელი ამროვნება, მყარი პრინციპები გააჩნიათ და მგრძნობიარეები არიან კრიტიკის მიმართ; ყოველთვის ეყრდნობიან საკუთარ ამრებსა და გადაწყვეტილებებს. პრობლემები მათთვის სტიმულის მიმცემია – თითქმის არაფერია მათთვის შეუძლებელი. ისინი ინდივიდუალისტები არიან და მოქმედებისას ინტუიციით ხელმძღვანელობენ. ძალიან აფასებენ ადამიანთა შორის ჰარმონიულ და თანამშრომლურ ურთიერთობებს, ამიგომ ყოველთვის ცდილობენ თავიდან აირიღონ კამათი და კონფლიქტები. შეუძლიათ იყვნენ ეფექტიანი ლიდერები, რადგანაც დარწმუნების უნარი და ნათელი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად.

ამ ტიპის ადამიანებს ისეთი სამუშაო იმიდავთ, რომელშიც საკუთარი ამროვნებისა და ინტუიციის გამოყენებას შეძლებენ. შეუძლიათ ინტუიციის საშუალებით პრობლემის გადაჭრის ახლებური გზა დაინახონ, პროფესიულ საქმიანობას ენთუზიამით უღვებიან და ნაკლებად აკმაყოფილებთ რუტინული სამუშაო. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლოა შეესაბამებოდეთ შემდეგი პროფესიები: *პროფესიული ორიენტაციის კონსულტანტი, კლინიკური ფსიქოლოგი, მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი, სოციოლოგი, მხატვარი, დრამატურგი, ინჟერიერისა და განსაცმლის დიზაინერი,*

არქიტექტორი, რელაქტორი, მარკეტოლოგი, ანალიტიკოსი, სავაჭრო აგენტი, გრენერი, კადრების შერჩევის სპეციალისტი, პროექტის ხელმძღვანელი და სხვ.

თუ ექსტროვერსია, ინტუიცია, გრძნობა, პერცეფცია აირჩიეთ:

ამ ტიპის ადამიანები ენთუზიასტი ნოვატორები არიან, რომლებიც ყოველთვის ხელავენ სამუშაოს შესრულების ახალ გზებსა და შესაძლებლობებს. აქვთ ძლიერი წარმოსახვა, არიან ინიციატივიანები და მიზანდასახულები, რის შედეგადაც შეუძლიათ ბოლომდე განახორციელონ გეგმები. სიძნელეები მათ სტიმულს აძლევს გონებაამახვილურად გადაწყვიტონ ამოცანები. ასეთი ადამიანები დიდ ინტერესს იჩენენ ახალი პროექტების მიმართ და დიდ დროს უთმობენ მათ განხორციელებას, თუმცაღა ხანდახან უჭირთ საკუთარ გეგმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვნის ამორჩევა და პრიორიტეტების განსაზღვრა. ისინი კარგად ერკვევიან ადამიანებში, განჭვრევენ მათ შესაძლებლობებსა და განვითარების გზებს. ძალიან მგრძნობიარენი არიან სხვა ადამიანთა განწყობების მიმართ, ცდილობენ გაუგონ და არ განსაჯონ ისინი მათი ქცევის გამო.

ასეთ ადამიანებს მოსწონთ რჩევების მიცემა და შეუძლიათ წარმატებას მიაღწიონ თითქმის ყველა სფეროში, რომლებიც აინტერესებთ და რომელთა ნიჭიც აქვთ: ხელოვნებაში, ჟურნალისტიკაში, მეცნიერებაში, ვაჭრობაში... ნაკლებად იზიდავთ რუტინული საქმიანობები და ძალიან უჭირთ მოგჯერ მეტად საჭირო, მაგრამ მათთვის უინტერესო დავალებების შესრულება, რის გამოც ხშირად უძნელდებათ საქმის ბოლომდე მიყვანა. მათ შეესაბამებათ ისეთი სამუშაო, სადაც ერთი სახის დავალებას მეორე ცვლის და ყოველი განსახორციელებელი

თბილისი
საერთაშორისო
საბუნების
მეცნიერებათა
აქადემია

პროფესიული აქტივობა ახალ შესაძლებლობებს იძლევა. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით შესაძლოა შეესაბამებოდეთ შემდეგი პროფესიები: *კურნალისტი, სცენარისტი, დრამატურგი, მუსიკოსი, კომპოზიტორი, მსახიობი, კომენტატორი, მხატვარი, გრაფიკული დიზაინერი, პროდიუსერი, სამოგალოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, კონსულტანტი მარკეტინგის დარგში, პუბლიცისტი, რედაქტორი, მასწავლებელი, ნარკოლამოკიდებულთა კონსულტანტი, სოციალური მუშაკი, ომბუდსმენი, სოციალური ფსიქოლოგი, ანთროპოლოგი, დიეტოლოგი, ლოგოპედი, მასაჟისტი, ფიზიოთერაპევტი, იურისტი და სხვ.*

თუ *ინტროვერსია, ინტუიცია, გრძნობა, პერცეფცია* აირჩიეთ:

ამ გიპის ადამიანები განსაკუთრებულ სითბოს და დიდ ყურადღებას იჩენენ საყვარელი ადამიანებისა და მათ წინაშე არსებული მოვალეობების მიმართ. ყველაფერს თავიანთი შინაგანი იდეალებისა და ღირებულებების მიხედვით აფასებენ. იშვიათად გამოხატავენ საკუთარ გრძნობებს. ისინი მოქნილი ამროვნებითა და შემგუებლობით გამოირჩევიან, მაგრამ თუ მათ შინაგან ღირებულებებს საფრთხე ემუქრება, დათმობებზე არასოდეს მიდიან. იტაცებთ ახალი იდეები და პრობლემების გადაჭრისას გამჭრიახობას იჩენენ.

ასეთი ადამიანები, როგორც წესი, არ ცდილობენ შთაბეჭდილება მოახდინონ გარშემომყოფებზე, თუ ამას სამუშაო არ მოითხოვს. გაცილებით კარგად ასრულებენ იმ სამუშაოს, რომელიც მოსწონთ და აინტერესებთ. იდეალურად შეესაბამებათ პროფესიული საქმიანობა,

რომელსაც სარგებლობა მოაქვს მათთვის მნიშვნელოვანი რომელიმე სფეროსა თუ ადამიანებისათვის. აქედან გამომდინარე, მათთვის შესაბამისი პროფესიები შეიძლება აღმოჩნდეს: მხატვარი, მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი, მსახიობი, არქიტექტორი, რედაქტორი, ქსელური დიზაინერი, კომპოზიტორი, გრაფიკული დიზაინერი, მკვლევარი, კლინიკური ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი, თარჯიმანი, დიეტოლოგი, ფიზიოთერაპევტი, სოციალური მუშაკი, ლოგოპედი, მასაჟისტი, გენეტიკოსი, კონსულტანტი მენეჯმენტის დარგში, განათლების სპეციალისტი და ა.შ.

თუ ექსტროვერსია, ინტუიცია, ამროვნება, განსჯა აირჩიეთ:

ამ ტიპის ადამიანები ამროვნებას მათ გარშემო მიმდინარე მოვლენების სამართავად იყენებენ. მათ მოსწონთ გეგმების შემუშავება და აღმინისგრილება. ასევე იზიდავთ პროექტების შედგენა და მუშაობა მათ განსახორციელებლად. ამროვნებაზე დაყრდნობით ისინი ხდებიან ლოგიკურები, ანალიტიკურები და ობიექტურად კრიტიკულები. ყურადღებას საქმიანობაზე ამახვილებენ და არა გარშემო მყოფ ადამიანებზე. მოსწონთ ფაქტების, სიგუაციების ორგანიზება და გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა; ვერ ეგუებიან უწესრიგობას და ცდილობენ დავალება თანმიმდევრულად შეასრულონ.

ინტუიცია აძლიერებს მათ ინტელექტუალურ ინტერესს, ახალი იდეებისადმი სწრაფვასა და რთული პრობლემების გადაჭრისადმი მიდრეკილებას. არ აკმაყოფილებთ ისეთი სამუშაო, რომლის შესრულებისას ინტუიციას ვერ დაეყრდნობიან. კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა

თბილისი
პროფესორი
თბილისი
143

მათ სტიმულს მაგებს, შესაბამისად შეესაბამებათ ისეთი პროფესიული საქმიანობები, სადაც ახალი გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება შეეძლება. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით შესაძლოა შეესაბამებოდეთ შემდეგი პროფესიები: *მენეჯერი, პერსონალის მართვის სპეციალისტი, რეკლამის მენეჯერი, მარკეტოლოგი, პროდიუსერი, პროექტის ხელმძღვანელი, ფინანსისტი, ეკონომისტი, ანალიტიკოსი, იურისტი, ადვოკატი, მოსამართლე, ფსიქოლოგი, საბუნებისმეტყველო ან სამოგალო მეცნიერებების მასწავლებელი, ქიმიური ინჟინერი, ბიომედიცინის სფეროს სპეციალისტი, პოლიგოლოგი, მფრინავი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი და სხვ.*

თუ *ინტროვერსია, ინგუიცია, ამროვნება, განსჯა* აირჩიეთ:

ამ მახასიათებლების მქონე ადამიანები ნოვატორები არიან ამროვნებაშიც და მოქმედებაშიც. ურთიერთობებისა და მოვლენების არსის გაგებისას ისინი საკუთარ ინგუიციას ენდობიან და არა მიღებულ, ავტორიტეტულ ან პოპულარულ ამრს. სხვა ტიპებთან შედარებით ისინი ყველაზე დამოუკიდებლები არიან, თუმცა, ხანდახან ეს დამოუკიდებლობა სიჯიუტემდე მიდის. ისინი ძალიან აფასებენ როგორც სხვის, ისე საკუთარ კომპეტენტურობას. ახასიათებთ დაჟინებულობა; მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობას ინგუიციას ანიჭებენ, როცა საჭიროა, შეუძლიათ ყურადღება დეტალებზეც გაამახვილონ, რათა პრობლემის არსს უკეთესად ჩასწვდნენ.

ამ ტიპის ადამიანები წარმატებით იყენებენ ინგუიციას ისეთ სფეროებში, როგორცაა: მეცნიერება, საინჟინრო

საქმე, პოლიტიკა და ფილოსოფია. ისინი, ხშირად, ორიენტირებულნი არიან მხოლოდ მიზნებზე და მუშაობის დასრულებულ შედეგს წინასწარ იმდენად ნათლად ხედავენ, რომ ზოგჯერ ვერ ამჩნევენ ფაქტს, რომელიც შეიძლება საბოლოო მიზანს ეწინააღმდეგებოდეს. არ მოსწონთ რუგინული დავალებები და იშვიათად ითვალისწინებენ სხვა ადამიანების ამრს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მათ შეიძლება შეესაბამებოდეთ შემდეგი პროფესიები: *მენეჯმენტის კონსულტანტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, მარკეტოლოგი, ეკონომისტი, მეკლეუარი, ფინანსური დაგეგმვის სპეციალისტი, საკრედიტო ანალიტიკოსი, უძრავი ქონების ექსპერტი, ელექტრიკოსი, დიზაინერი, ასკრონომი, პროგრამისტი, ბიომედიცინის სპეციალისტი, ქსელის ადმინისტრატორი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ნევროლოგი, კარდიოლოგი, ფარმაკოლოგი, ქირურგი, გენეტიკოსი, იურისტი, რეპორტიორი, ეკოლოგი, მფრინავი, მხატვარი, არქიტექტორი, გრაფიკული დიზაინერი, რედაქტორი და სხვ.*

თუ *ექსტროვერსია, ინტუიცია, აბროვნება, პერცეფცია* აირჩიეთ:

ამ ტიპის ადამიანები გონებამახვილი ნოვატორები არიან, რომლებიც სამუშაოს შესრულების ახალ გზებსა და შესაძლებლობებს ყოველთვის ხედავენ. არიან ინიციატივიანები და გააჩნიათ წარმოსახვის უნარი, რაც საშუალებას აძლევთ დაისახონ გეგმები და ბოლომდე განახორციელონ ისინი. მათ სიძნელეები სტიმულს აძლევს, რათა იპოვონ გონებამახვილური გადაწყვეტილებები. ცდილობენ საკუთარ საქმეში კომპეტენტურებას მიაღწიონ

და ამ თვისებას სხვებშიც აფასებენ. ისინი ძალიან მგრძობიარენი არიან სხვა ადამიანების განწყობილებების მიმართ. ცდილობენ გაუგონ ადამიანებს და არ განსაჯონ ისინი. შეიძლება იმდენი განსხვავებული რამ აინტერესებდეთ, რომ, ზოგჯერ, რომელიმე მათგანზე კონცენტრირება გაუჭირდეთ. ასეთი ადამიანები ობიექტურად უღვებიან მიმდინარე გეგმებსა და გარშემომყოფებს. არ მოსწონთ დიდხანს ყოფნა ისეთ გარემოში, რომელიც ახალ შესაძლებლობებს არ იძლევა.

მოცემული მახასიათებლების მქონე ადამიანებისათვის შესაძლოა მიმზიდველი არ იყოს რუტინული სამუშაო, რის გამოც უჭირთ საქმისათვის მეგად საჭირო, მაგრამ მათთვის უინტერესო აქტივობების შესრულება. თუკი ზემოთ აღწერილ თავისებურებებს გავითვალისწინებთ, მათ შეიძლება შეესაბამებოდეთ შემდეგი პროფესიები: *მენეჯმენტის კონსულტანტი, უნივერსიტეტის/კოლეჯის რექტორი, იურისტი, კადრების შერჩევის სპეციალისტი, ფინანსური ანალიტიკოსი, სამოვადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, მკვლევარი, მარკეტოლოგი, პროდიუსერი, მხაგვრული რედაქტორი, გრაფიკული დიზაინერი, მწერალი, ინტერნეტ-მარკეტინგის სპეციალისტი, კინოს/თეატრის რეჟისორი, რეპორტიორი, კრიტიკოსი, კომენტატორი, პოლიტოლოგი, სამოვადოებათმცოდნე, განათლების ფსიქოლოგი, სპორტის მწვრთნელი, კრიმინალისტი, ლექტეტივი და სხვ.*

თუ *ინტროვერსია, ინტუიცია, ამროვნება, პერცეფცია* აირჩიეთ:

ამ ტიპის ადამიანები ამროვნებას იმისათვის იყენებენ, რათა ცნობიერი იდეების მიღმა არსებულ პრინციპებს მიაკვლიონ. ისინი არიან ლოგიკურები და ანალიტიკურები; ყურადღებას უფრო მეგად იდეებზე ამახვილებენ, ვიდრე

გარშემო მყოფ არსებულ ადამიანებზე. იგაცებთ ახალი იდეები და უყვართ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებთანაც საკუთარ იდეებზე მსჯელობენ. თუ საქმე მოითხოვს, შეუძლიათ სიგუაციისა და ადამიანური ურთიერთობების იგნორირება მოახდინონ. ამ გიპის ადამიანები საკმაოდ მშვიდები და თავშეკავებულები არიან, თუმცა ხანდახან შეუძლიათ ძალიან ბევრი ილაპარაკონ ისეთ საკითხზე, რომლის შესახებაც ღიდი ინფორმაცია აქვთ. ადვილად ეგუებიან ცვლილებებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ცხოვრებისეული პრონციპები არ ირღვევა. ახასიათებთ ცნობისმოყვარეობა და გონებაშახვილობა.

საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ გიპის ადამიანებს შეუძლიათ წარმატებას მიღწიონ მეცნიერების, მათემატიკის, ინჟინერიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის სფეროში. მათ პრობლემების გადაწყვეტა უფრო აინტერესებთ, ვიდრე მიღებული შედეგების პრაქტიკული გამოყენება. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით შესაძლოა შეესაბამებოდეთ შემდეგი პროფესიები: *პროგრამისტი, კვლევისა და განვითარების სპეციალისტი, სისტემური ანალიტიკოსი, სტრატეგიული ან ფინანსური დაგეგმვის სპეციალისტი, ბანკირი, ვებ-მასტერი, ანალიტიკოსი, ქსელის ადმინისტრატორი, ნევროლოგი, ფიზიოთერაპევტი, პლასტიკური ქირურგი, ფარმაცევტი, ქიმიკოსი, ბიოლოგი, ინჟინერი, ბიომედიცინის მკვლევარი, მიკრობიოლოგი, ვეტერინარი, გენეტიკოსი, იურისტი, ეკონომისტი, ფსიქოლოგი, ფსიქონალიტიკოსი, არქიტექტორი, ფსიქიატრი, მოსამართლე, მეწარმე, ფიზიკოსი, ანთროპოლოგი, მათემატიკოსი, არქეოლოგი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, ასტრონომი, ფოტოგრაფი, მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი, მხახიობი, მოცეკვავე, რეჟისორი და სხვ.*

თუ ექსტროვერსია, შეგრძნება, აბროვნება, განსჯა
აირჩიეთ:

ასეთი ადამიანები არიან ლოგიკურები და ანალიტიკურები. უყვართ ობიექტური კრიტიკა და ლოგიკური მსჯელობა; მოსწონთ პროექტების შედგენა, შემდეგ მათ შესასრულებლად მოქმედება და წინასწარ გათვალისწინებული შედეგების მიღწევა სისტემატური ძალისხმევის მეშვეობით. ისინი ყურადღებას ამახვილებენ საქმეზე და არა ადამიანებზე, რომლებიც ამ საქმის მიღმა არსებობენ. ვერ ეგუებიან უწესრიგობას, შეუძლიათ იყვნენ მკაცრნი, როდესაც ამას სიტუაცია მოითხოვს. თვლიან, რომ ქცევა ლოგიკას უნდა დაექვემდებაროს და ამის მიხედვით წარმართავენ თავიანთ მოქმედებებს. ანგარიშს უწევენ ფაქტებს, არიან პრაქტიკულები და რეალისტები. პრობლემების გადასაწყვეტად წარსულ გამოცდილებას ეყრდნობიან და ყოველთვის სურთ დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი იდეები, გეგმები და გადაწყვეტილებები მტკიცე ფაქტებს ემყარება. მოსწონთ ისეთი სამუშაო, რომელსაც ხილვადი და ხელშესახები შედეგი აქვს. ძალიან უჭირთ ყური უგღონ სხვათა თვალსაზრისს, რის გამოც შესაძლოა საკმარისი რაოდენობის ფაქტებისა და სხვა ადამიანთა შეხედულებების გათვალისწინების გარეშე, ძალიან ნაჩქარევად განსაჯონ სიტუაცია.

ამგვარ ადამიანებს გააჩნიათ მიდრეკილება ბიზნესის, ინდუსტრიის, ვაჭრობის, მომსახურებისა და მართვის სფეროებისკენ. შესაძლოა შეესაბამებოდეთ ისეთი პროფესიები, როგორიცაა: *სადაზღვევო აგენტი, სახელმწიფო მოხელე, საზღვაო კაპიტანი, ავიადისპეტჩერი, ეკონომისტი, პოლიციის თანამშრომელი, პილოტი, იურისტი, ექიმი, სასტუმროს მმართველი, სავაჭრო აგენტი, ინჟინერ-მექანიკოსი, ფერმერი, მშენებელი, პროექტის მენეჯერი, ოფის-მენეჯერი, ადმინისტრატორი, ბანკის მმართველი,*

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, მშენებლობის მენეჯერი, სტომატოლოგი, მოსამართლე, ინჟინერ-ელექტრიკოსი, წარმოების ინჟინერი, ფარმაცევტი და სხვ.

თუ *ინტროვერსია, შეგრძნება, აზროვნება, განსჯა* აირჩიეთ:

ასეთ ადამიანებს ფაქტებთან რეალისტური დამოკიდებულება აქვთ. იმახსოვრებენ და იყენებენ ფაქტების ღიდ რაოდენობასა და ღიდ ყურადღებას აქცევენ მათ მოწესრიგებას. როდესაც ხედავენ, რომ რაღაც არის გასაკეთებელი, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ მიუხედავად იმისა, ევალებათ ეს, თუ – არა. არ უყვართ გაურკვეველობა. ისინი გარკვეული კრიზისის დროსაც კი გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებენ. სანამ კარგად არ გაიცნობთ, ვერ მიხვდებით, მათი გარეგნული სიმშვიდის მიღმა რა ხდება. ასეთი ადამიანები მონდომებულნი, შრომისმოყვარენი და ძალიან ყურადღებიანები არიან დეგალების მიმართ. იმპულსურად არ მოქმედებენ.

თუ ასეთი ადამიანები რაიმე საპასუხისმგებლო სამუშაოს ასრულებენ, განსჯიან და აფასებენ საკუთარი მოქმედების წესს, არიან თანმიმდევრული და კონსერვატიული. დროთა განმავლობაში ისინი საქმის დიდოსტატები ხდებიან, მაგრამ სრულებით არ იფასებენ თავს ამის გამო. ასეთი ტიპის ადამიანები ისეთ საქმიანობას ირჩევენ, რომელიც წესრიგს მოითხოვს. მაგ.: ბულალტერი, ინჟინერია, იურისპრუდენცია, წარმოება, ჯანდაცვა. ძალიან ხშირად გეღამხედველისა და მმართველის როლში გვევლინებიან. ამგვარი ტიპის ადამიანებს შესაძლოა შეესაბამებოდეთ ისეთი პროფესიები, როგორცაა: *ოფის-მენეჯერი, ბულალტერი, მშენებლობის*

თავი 6
პიროვნება
149

ინსპექტორი, სტატისტიკოსი, პოლიციელი, ლექტორი, სახელმწიფო მოხელე, არმიის ოფიცერი, მეხანძრე, ბანკის რევიზორი, კრედიტების ანალიტიკოსი, საგადასახადოს თანამშრომელი, მოლარე, სკოლის დირექტორი, მათემატიკისა და ტექნიკური დისციპლინების მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი, არქივარიუსი, იურისტი, კრიმინალისტი, ელექტრიკოსი, ინჟინერი, მექანიკოსი, პროგრამისტი, გეოლოგი, ფარმაკოლოგი, ავიამექანიკოსი, ვეტერინარი, სტომატოლოგი, ქირურგი, ფარმაცევტი, ორთოდონტი და სხვ.

თუ ექსტროვერსია, შეგრძნება, გრძნობა, განსჯა აირჩიეთ:

ასეთი ტიპის ადამიანები მეგობრულები არიან, აფასებენ ადამიანებთან ჰარმონიულ ურთიერთობებს. ისინი მგრძნობიარენი და ტაქტიანები არიან. უმცირეს დეტალებშიც კი კეთილსინდისიერებასა და თანმიმდევრულობას იჩენენ და მიაჩნიათ, რომ სხვებიც ასეთები არიან. ყურადღებას აქცევენ სხვათა დადებით თვისებებს; პატივსაცემი პიროვნებების ერთგულნი არიან და ხანდახან აიდეალებენ კიდევ მათ. შეუძლიათ სხვათა თვალსაზრისში რაიმე ღირებულის დანახვა მაშინაც კი, როდესაც ის მათ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება, მიაჩნიათ, რომ ჰარმონიის მიღწევა შესაძლებელია და ამის გამო მზად არიან დაეთანხმონ სხვათა მოსაზრებებს. მათ უყვართ ცვლილებები, მაგრამ რუგინასაც კარგად ეგუებიან. მათი გეგმები და გადაწყვეტილებები ნაცნობ ფაქტებსა და პიროვნულ ღირებულებებს ემყარება. თუმცა პრობლემების გადაჭრა უყვართ, სულაც არ თვლიან, რომ აუცილებლად ყველა დასკვნა თავად უნდა გამოიგანონ.

ისინი ისეთ საქმეს ამჯობინებენ, რომლის კეთების დროსაც საქმე ადამიანებთან ექნებათ. თანაგრძნობის უნარს ზოგჯერ ისინი ჯანდაცვის სფეროში მიჰყავს, სადაც განსაკუთრებულ სითბოსა და მზრუნველობას ამჟღავნებენ. ისინი სიამოვნებით მუშაობენ ჯანდაცვის, განათლების, ბიზნესის, სოციალურ სფეროებში. შესაძლებელია მათთვის შესაბამისი იყოს შემდეგი პროფესიები: *მასწავლებელი, ექიმის ასისტენტი, ლოგოპედი, მეღდა, სტომატოლოგი, დიეტოლოგი, რევისტრატორი, მასაჟისტი, ფარმაცევტი, ვეტერინარი, ფიზიოთერაპევტი, სასწრაფო დახმარების ექიმი, სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი, სკოლამდელი ბავშვების მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, სოციალური მუშაკი, სასამართლოს თანამშრომელი, იურისტი, სამოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ოფის-მენეჯერი, სადაზღვევო აგენტი, ავტოკატი, მებაღე, ბორცვამცილებელი, ტურისტული აგენტი, საგაჭრო აგენტი, მარკეტოლოგი, მდივანი, რევისტრატორი, ბუღალტერი და სხვ.*

თუ *ინტროვერსია, შეგრძნება, გრძნობა, განსჯა* აირჩიეთ:

ასეთ ადამიანებს ფაქტების მიმართ რეალისტური და პრაქტიკული მიდგომა აქვთ. ფაქტები მათ მიუთითებს, თუ რა არის გასაკეთებელი, თუ გადაწყვეტენ, რომ მოქმედება საჭიროა, მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ. მათ შეუძლიათ დაიმახსოვრონ და გამოიყენონ ფაქტების დიდი რაოდენობა. უყვართ ყველაფერი, რაც გასაგები და ჩამოყალიბებულია. მათი რეაქციები ყოველთვის ცოცხალი

თბილისი
პიროვნება

და ძლიერია, მაგრამ სახეზე იშვიათად ესახებათ და კრიზისის დროსაც გარეგნულად მშვიდად გამოიყურებიან. ისინი მონდომებულები, შრომისუნარიანები და ყურადღებიანები არიან დეგალებისა და პროცედურების მიმართ. ასეთი ტიპის ადამიანები არ მოქმედებენ იმპულსურად, საქმეს თავს არ დაანებებენ, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ არ იქცევიან სწორად. ისინი კეთილები, მგრძობიარენი და გაქტიანები არიან, ავლენენ გულწრფელ ინტერესებს.

ასეთი ტიპის ადამიანები ხშირად ისეთ სამუშაოს ირჩევენ, რომელიც მოიცავს ადამიანების მომსახურებას, მათზე დაკვირვებასა და ბრუნვას. წესრიგისა და ორგანიზებულობისადმი მიდრეკილების გამო ეს ადამიანები ძალიან ხშირად გზვდებიან წამყვან პოზიციებზე. მათთვის შესაბამისია შემდეგი სფეროები: განათლება, სოციალური მომსახურება, შემოქმედებითი საქმიანობა, ჯანდაცვა. მათი შესაბამისი პროფესიები შეიძლება იყოს: *ექიმი, მეღვაწე, ფიზიოთერაპევტი, დიეტოლოგი, ვეტერინარი, ფარმაცევტი, მკვლევარი, ბიოლოგი, ბოტანიკოსი, ორთოდონტი, ელექტრიკოსი, ბიოქიმიკოსი, მასაჟისტი, სკოლამდელი სასწავლებლის პედაგოგი, ბიბლიოთეკარი, სოციალური მუშაკი, პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტი, ისტორიკოსი, მაშველი, მეზაღე, ფერმერი, მღივანი, ბულაღგერი, პერსონალის მართვის სპეციალისტი, იურისტი, არქივარიუსი, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, დეკორატორი, დიზაინერი, მხატვარი, მუსიკოსი, იუველირი და სხვ.*

- თუ *ექსტროვერსია, შეგრძნება, აზროვნება, პერსექუცია* აირჩიეთ:

ასეთი ადამიანები მეგობრულები არიან. ადვილად ეგუებიან რეალობას. ისინი მხედველობაში იმ ფაქტებს იღებენ, რომლებსაც ხედავენ, ესმით ან იციან გამოცდილებიდან გამომდინარე. ხალხი ხშირად უწევს ანგარიშს მათ კომპრომისულ წინადადებებს, რადგან ამ ტიპის ადამიანები საკმაოდ უყვართ. აქვთ გახსნილი გონება და თითქმის ყველას მიმართ ადვილად დამთმობნი არიან. მოვლენებს აღიქვამენ ისე, როგორც სინამდვილეში არის და ამიგომ დაძაბული სიგუაციის განმუხტვასა და დაპირისპირებული მხარეების შერიგებას ადვილად ახერხებენ. ასეთი ტიპის ადამიანები ცნობისმოყვარენი არიან ყოველივე ახლის მიმართ. მიმდინარე სიგუაციაზე ყურადღების გამახვილებისა და არსებული ფაქტების რეალისტური აღქმის გამო მათ შეუძლიათ წარმატებით გადაჭრან სხვადასხვა სახის პრობლემა. რადგან სტანდარტულ მეთოდებსა და საყოველთაოდ მიღებულ პროცესებზე არ არიან მიჯაჭვულნი, მათ შეუძლიათ უკვე არსებული წესების, სისტემის, გარემოების ახლებურად გამოყენების გზების გამონახვა. ასეთ ადამიანთა გადაწყვეტილებები ემყარება არა პიროვნულ ღირებულებებს, არამედ ლოგიკურ ამროვნებას. ისინი საკუთარი გამოცდილებით უფრო მეტს სწავლობენ, ვიდრე კითხვით და მეტ წარმატებასაც აღწევენ. მათთვის მიუღებელია ყველანაირი აბსტრაქტული იდეა ან თეორია, სანამ პრაქტიკაში არ გამოცდიან. ისინი დიდ სიამოვნებას იღებენ ცხოვრებისაგან და ამიგომ სხვებისთვის ხშირად სოციალურად სასურველები არიან.

ასეთი ტიპის ადამიანები ისეთ საქმეს ამჯობინებენ, რომელიც რეალიზმს, მოთმინებასა და შეგუების უნარს მოითხოვს. მაგ.: საინჟინრო საქმე, პოლიცია. მათთვის შესაბამისი პროფესიები შეიძლება იყოს: *მეხანძრე, დეტექტივი, ბორგვატმცილებელი, არმიის ოფიცერი, სამღვაო კაპიტანი, პილოტი, კრიმინალისტი, აუდიტორი, ბანკირი,*

თავი 6
პიროვნება

ინვესტორი, სპორტული კომენტატორი, ახალი ამბების რეპორტიორი, ვიდი, ბარმენი, მწვრთნელი, მუსიკოსი, მსახიობი, ხურო, ფერმერი, მშენებელი, ელექტროტექნიკოსი, ელექტრიკოსი, მზარეული, ავიაშემკრები, მეტყვევ, ფოტოგრაფი, მჭედელი, გურისგული აგენტი, ეკოტურიზმის სპეციალისტი, ბროკერი, მეწარმე, მოვაჭრე და სხვ.

თუ ინტროვერსია, შეგრძნება, აზროვნება, პერსეფცია აირჩიეთ:

ასეთი ტიპის ადამიანები ლოგიკურები, ანალიტიკურნი და ობიექტური კრიტიკის მოყვარულნი არიან; მათ თითქმის ვერაფერი დაარწმუნებთ, გარდა იმგვარი ლოგიკური მსჯელობისა, რომელიც უცყუარ ფაქტებს ეყრდნობა. მოსწონთ ფაქტებისა და მონაცემების წესრიგში მოყვანა. ისინი ძალიან ცნობისმოყვარენი არიან. ახლობელთა წრის გარეთ ძალიან მორცხვობენ. ასეთი ადამიანები საკმაოდ წყნარები და თავშეკავებულები არიან, თუმცა ხანდახან შეუძლიათ ძალიან ბევრი ილაპარაკონ ისეთ საგანზე, რომლის შესახებაც უფრო მეტი ცოდნის გამოვლენის საშუალება ეძლევათ. ყოველდღიურ ცხოვრებაში შეგუების კარგ უნარს ავლენენ. ასეთი ადამიანები იმდენად ენდობიან ლოგიკურ მიდგომას, რომ პიროვნული ღირებულებები ხშირად ყურადღების მიღმა რჩებათ. მათ შეუძლიათ რაიმე ფაქტი უმნიშვნელოდ ჩათვალონ იმიტომ, რომ ალოგიკური იქნებოდა მასზე ყურადღების გამახვილება.

მათ აინტერესებთ, თუ რაგომ და როგორ ხდება ესა თუ ის მოვლენა და რის შედეგადაც შესაძლებელია წარმატება მეცნიერების გამოყენებით ღარგებში, მაგ., მექანიკასა და საინჟინრო საქმეში მიაღწიონ. მათთვის

შესაბამისი პროფესიები შეიძლება იყოს: პოლიციელი, მფრინავი, მეხანძრე, დეგვეტაცი, კრიმინალისტი, ინჟინერი, ელექტრონიკის სპეციალისტი, პროგრამისტი, გეოლოგი, პროდუქციის ხარისხის კონტროლიორი, კბილის გექნიკოსი, სასწრაფო დახმარების ექიმი, ბანკირი, ეკონომისტი, ოფის-მენეჯერი, იურისტი, ინჟინერ-მშენებელი, აგროგექნიკოსი, ფერმერი, მშენებელი, ელექტრიკოსი, მზარეული, ლოჯისტიკის სპეციალისტი, სამედიცინო მოწყობილობების სპეციალისტი, ავიამექანიკოსი, მეცყევე, ფოტოგრაფი, მჭედელი, გურისტული აგენტ, ეკოგურიზმის სპეციალისტი, მემანქანე, ელექტროგექნიკოსი და სხვ.

თუ ექსტროვერსია, შეგრძნება, გრძნობა, პერსექუცია აირჩიეთ:

ასეთი ადამიანები მხიარულები, მეგობრულები, კომუნიკაბელურები, ოპტიმისტები, კეთილგანწყობილნი და ენთუზიაზმით აღსავსენი არიან. ისინი ადვილად ადაპტირდებიან, არიან ძალიან კონტაქტურები, სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას თამაშებში და ერთობლივ აქტივობებში. მათ უფრო მეტად სჯერათ არა თეორიული განსჯისა, არამედ იმისა, რაც ესმით, რასაც ხედავენ.. მათ უყვართ ინფორმაციის შეგროვება და ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა საჭიროებაც თავისთავად, ბუნებრივად ჩნდება. ამ ტიპის ადამიანები გოლერანტულნი არიან სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ და გარშემომყოფთათვის თავიანთი ნება-სურვილის თავს მოხვევა არ უყვართ; ისინი ხშირად გულწრფელი სიყვარულით სარგებლობენ საზოგადოებაში და ახლობლების წრეში. ისინი კარგი მოსაუბრეები არიან; კარგად გამოსდით მოდავე მხარეების შერიგება; უყვართ

თავი 6
პირველი
155

ხალხის დახმარება და მათთვის მოულოდნელი სიხარულის მინიჭება. ასეთ ადამიანებს მოჭარბებული კომუნიკაბელობა ზოგჯერ ხელსაც კი უშლით, თვითდისციპლინა მათთვის ადვილი მისაღწევი არ არის. სიზარმაცის გამო ზოგჯერ დაწყებული დამთავრებაც არ გამოსდით, მათი ცხოვრების ტემპი და აქტიურობა იმდენად ღიღია, რომ ისინი ზოგჯერ დაგვეგმვას ვერ ასწრებენ.

მათ შესაძლოა წარმატება მიაღწიონ ისეთ სფეროებში, როგორცაა *მომსახურება, ბიზნესი, განათლება. შესაფყვისი პროფესიები კი შეიძლება იყოს: პედაგოგი, ინკლუზიური სწავლების პედაგოგი, გრენერი, მეღდა, სოციალური მუშაკი, ფიზიოთერაპევტი, სტომატოლოგის დამხმარე, დიეტოლოგი, ფარმაკოლოგი, გრავმატოლოგი, პედიატრი, ორთოპედი, ტურისტული აგენტი, ფოტოგრაფი, პროდიუსერი, კომიკოსი, რეპორტიორი, მხატვარი, ილუსტრატორი, სპორტულ-გასართობ ღონისძიებათა ორგანიზატორი, პილოგი, მეხანძრე, პოლიციელი, ფერმერი, სადამღვევო აგენტი, ბროკერი, მარკეტინგის სპეციალისტი, ბორგამცილებელი, მდივანი, ოფისიანტი, მზარეული, ინტერიერის დიზაინერი, აერობიკის ინსტრუქტორი, გამოფენების ორგანიზატორი, ეკოლოგი, მოლოლოგი, გეოლოგი, ბიოლოგი და სხვ.*

თუ *ინტროვერსია, შეგრძნება, გრძნობა, პერცეფცია* აირჩიეთ:

ამ ტიპის ადამიანები თავშეკავებულები არიან და გრძნობებს უფრო მეტად საქმით გამოხატავენ, ვიდრე სიტყვით. ძალიან ღიდ ყურადღებას იჩენენ საყვარელი ადამიანების მიმართ. ყველაფერს იღებებისა და პიროვნული ღირებულებების მიხედვით აფასებენ. ისინი მტკიცედ მისღვენ საკუთარ პრინციპებს, მაგრამ შეიძლება ისეთი

ადამიანის გავლენის ქვეშ მოექცნენ, რომელიც ძალიან უყვართ. მათ ცხოვრებას შინაგანი მისწრაფებები და იდეალები მართავს, თუმცა ძალიან უჭირთ ამაზე საუბარი, იშვიათად გამოხატავენ თავიანთ ღრმა გრძნობებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ასეთი ადამიანები მოთმინების უნარით გამოირჩევიან, ადვილად შესამჩნევია მათი გონებაგახსნილობა. თუ მათ შინაგან ღირებულებებს საფრთხე ემუქრება, მცირე დათმობაზეც კი არ წავლენ. მათ არ სურთ ბაგონობა ან შთაბეჭდილების მოხდენა; აფასებენ იმ ადამიანებს, რომლებიც მათი ღირებულებებისა და მიზნების გაგებას ცდილობენ. მათი შრომის ნაყოფი უფრო მეტის მთქმელია, ვიდრე სიტყვები. ზოგჯერ მათი შინაგანი იდეალები და აქტუალური მიღწევები იმდენად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რომ არაადეკვატურობის განცდა უჩნდებათ. რაოდენ ეფექტიანადაც უნდა მუშაობდნენ, ამას ისინი მაინც ჩვეულებრივ ამბად თვლიან. მათ გააჩნიათ საკუთარი მიღწევების ნაკლებად შეფასების ტენდენცია და გამოირჩევიან თავმდაბლობით.

ისინი სრულყოფილად ასრულებენ და ამჯობინებენ ისეთ სამუშაოს, რომელიც ერთგულებას და შეგუების უნარს მოითხოვს. მათ შეიძლება შეესაბამებოდეს ისეთი პროფესიები, როგორიცაა: *იუველირი, მებაღე, ფეიქარი, ხურო, მეთუნე, მხატვარი, ინგერიერის დიზაინერი, მზარეული, მსახიობი, მულტიპლიკატორი, მეკრავი, ფიზიოთერაპევტი, მასაჟისტი, სტომატოლოგის დამხმარე, სასწრაფო დახმარების ექიმი, დიეტოლოგი, ქირურგი, ლოკოპედი, ვეტერინარი, პედიატრი, ფარმაცევტი, კარდიოლოგი, კომპიუტერის ოპერატორი, მეტყევე, ბოტანიკოსი, გეოლოგი, მექანიკოსი, ბოლოლოგი, არქეოლოგი, ტელეოპერატორი, ავიაციის ინსპექტორი, ელექტრიკოსი, პოლიციელი, ცხელი ხაზის ოპერატორი, ოფიციალტი, ვიზაჟისტი, ტურისტული კომპანიის აგენტი, მოვაჭრე, სკოლამდელი განათლების პედაგოგი,*

თავი 6
პიროვნება

მთარგმნელი, მემანქანე, პილოტი, ავიადისპეტჩერი, ფერმერი, მესხანძრე, ბულალტერი, მდივანი, იურიდიული მუშაკი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ აღწერილობაში მოცემული გარკვეული პროფესიები არა ერთ, არამედ რამდენიმე პიროვნულ პროფილს შეესაბამება. მაგ., შესაძლებელია რამდენიმე პიროვნულ პროფილში იყოს წარმოდგენილი ისეთი პროფესიები, როგორებიცაა ექიმი, მასწავლებელი, ფსიქოლოგი, იურისტი და ა. შ. ამას განაპირობებს ის, რომ ბევრი სხვადასხვა პროფესიისათვის აუცილებელ მოთხოვნად და საკვანძო მახასიათებლად ერთი და იგივე პიროვნული თვისება გვევლინება.

საკუთარი პიროვნული მახასიათებლების გარკვევა თქვენთვის შესაფერისი პროფესიის არჩევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ეცადეთ დაკვირვებით მიუდგეთ ამ საკითხს. ის პროფესიული არჩევანის გზაზე კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯის გადადგმაში დაგეხმარებათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Paul Tieger, Barbara Barron-Tieger; Do What You are, 3rd Edition; Brown Us, 2011.
2. Donna Dunning; What's Your Type of Career – Unlock The Secrets Of Your Personality To Find Your Perfect Career Path, Davies-Black Publishing, 2001.
3. ი. იმედაძე, „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2005;
4. Д. Купер, А. Робертсон, Психология в Отборе Персонала; Издательский Дом “Питер”, 2003;
5. Psychology at Work, Edited by Peter Warr; Penguin, 28 Mar 2002;

6. Michael G. Anderson, PhD, Personality Assessment in Personnel Selection, White Paper, CPP;

7

სამუშაო გარემო და პროფესიული შესაძლებლობები

ეს თავი დაგეხმარებათ თქვენი პიროვნული თვისებების, ინტერესების, ღირებულებების, შესაძლებლობების, გამოცდილებისა და სამუშაო პრიორიტეტების გათვალისწინებით შეამციროთ ან დააკონკრეტოთ შესაძლო პროფესიული ალტერნატივები. ამ თავში თქვენ შეაჯამებთ იმ ინფორმაციასა და ცოდნას, რომლებიც შეაგროვეთ საკუთარი თავის შესახებ, რათა ისინი კარიერულ გადაწყვეტილებას დაუკავშიროთ.

თქვენ უკვე გაეცანით კარიერული განვითარების სიუპერის თეორიასა და პროფესიული გადაწყვეტილების მიღების პროცესებს. ასევე შეისწავლეთ პიროვნული მახასიათებლების, ინტერესების, ღირებულებების, შესაძლებლობებისა და გამოცდილების მნიშვნელოვნება პროფესიული გადაწყვეტილების მიღების დროს. ასევე შეასრულეთ გარკვეული სავარჯიშოები იმისათვის, რომ უკეთ გაგეცნოთ საკუთარი თავი. შესაბამისად, უკვე უნდა გესმოდეთ, რა იგულისხმება სიუპერის „მე-კონცეფციის“ ცნებაში. თქვენი პიროვნული ინდივიდუალობის განმსაზღვრელი კომპონენტები – რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ, თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, თქვენი

გამოცდილება და ღირებულებები – ეს არის ყველაფერი ის, რაც თქვენს „მე-კონცეფციას“ ქმნის.

იქიდან გამომდინარე, რომ შრომის ბაზარი გამუდმებით იცვლება, თქვენც ამ ცვლილებებს საკუთარი ცხოვრების შეცვლითა და განვითარებით უნდა უპასუხოთ. ცხოვრების განმავლობაში თქვენი „მე-კონცეფციის“ გარკვეული ელემენტები შეიძლება შეიცვალოს, მუდმივად ისეთი დარჩეს, როგორც არის ან ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდეს. საუკეთესო პროფესიული არჩევანის ძიების პროცესში უნდა გადაწყვიტოთ თქვენი პიროვნების განმსაზღვრელი რა ელემენტები ან ნაწილები შეიძლება დაუკავშირდეს ან გამოიხატოს იმ პროფესიაში, რომელსაც აირჩევთ. თუ სამუშაო არის ის, რაც თქვენს გარესამყაროსთან კავშირს განაპირობებს, მაშინ უნდა განსაზღვროთ, როგორ ჩარჩოში მოაქცევთ ამ კავშირს. თუ თქვენი ცხოვრების ეს ეტაპი კარიერული არჩევანის გარდამავალი პერიოდია, მაშინ მნიშვნელოვანია პროფესიული გადაწყვეტილების ძირითადი აზრი და მიზანი განსაზღვროთ. ამის შემდეგ უკეთესად შეძლებთ თქვენი ამჟამინდელი გადაწყვეტილებისა და მიზნების შესაბამისობის გაანალიზებას. ზოგი ადამიანი ეტებს სამუშაოს, რომელიც მისი პროფესიული მიზნების შესაბამისია, თუმცა ზოგიერთი მათგანი ცდილობს იპოვოს ისეთი საქმიანობა, რომელიც არა მარტო პროფესიული/კარიერული, არამედ ცხოვრებისეული მიზნების მიღწევაში დაეხმარება. მაგალითად, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ირჩევენ პროფესიას მოქნილი სამუშაო გრაფიკით იმ მიზნით, რომ მეტი დრო გააგარონ არასამუშაო სიგუაციაში – შვილებთან ან მშობლებთან. ის, თუ რა აზრსა და მიზანს მიანიჭებთ თქვენს პროფესიას, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროთ თქვენი მომავალი საქმიანობის აზრი და მიზანი, რაშიც ქვემოთ

სამუშაო გარემო და პროფესიული შესაძლებლობები

თავი 7

მოყვანილი აქტივობები დაგეხმარებათ. ფაქტია, რომ ის, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ დღეს, შეიძლება ხვალ თქვენთვის მეორეხარისხოვანი აღმოჩნდეს. ქვემოთ მოცემული სავარჯიშოს შესრულებისას მნიშვნელოვანია ის, რომ ისწავლეთ საკუთარი მიზნების ფორმირება, რაც პროფესიული გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ.

საპარჯიშო №7.1

დაწერეთ წინადადებები პროფესიის მნიშვნელობისა და პროფესიული მიზნის შესახებ

ა) ახლა დროა, მოახდინოთ ყველა იმ ინფორმაციის ინტეგრირება, რომლებიც შეაგროვეთ და გაადაამუშავეთ წინა თავების გაცნობის შედეგად. გადახედეთ თითოეულ განხორციელებულ აქტივობას და შეადგინეთ იმ კომპონენტების სია, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენთვის. ყურადღება გაამახვილეთ თქვენი ინდივიდუალობის განმსაზღვრელ მახასიათებლებზე, რა მიზანი გამოძრავებთ, რა სარგებლობა შეგიძლიათ და გსურთ მოუგანოთ სამყაროს და რა პრიორიტეტებით აპირებთ იცხოვროთ მომავალში. ჩამოწერეთ თქვენ მიერ განსაზღვრული კომპონენტები ქვემოთ:

ბ) ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებიდან აირჩიეთ 5 ან 6 ძირითადი, რომელთაც განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებთ პროფესიის არჩევისას:

გ) არჩეული კომპონენტების მიხედვით შეაღვინეთ წინადადება, რომელიც იწყება ფრაზით „მე მომავალში...“; მაგალითად, ადამიანს, რომლისათვისაც პრიორიტეტულია გარემოს დაცვა, შეიძლება დაეწერა მსგავსი ფრაზა: „მე მომავალში ვიმუშავებ ისეთ პოზიციაზე, რომ გარემოს, პლანეტის დაცვა შევძლო“.

დაწერეთ თქვენი წინადადება აქ:

დ) ეცადეთ შეაჯამოთ ზემოთ წარმოდგენილი თქვენივე მიზნები, კომპონენტები თუ წინადადებები და დაწეროთ ერთი ზოგადი აზრი, რომელიც კონკრეტულად იქნება დაკავშირებული პროფესიულ მიზანთან და გამოხატავს ვინ ხართ და რა გსურთ აკეთოთ მომავალში:

ყველაფერი, რაც დაწერეთ, ძალიან დაგეხმარებათ პროფესიული გადაწყვეტილების მიღებაში. გაუზიარეთ თქვენი მიზნები თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანებს და ჰკითხეთ მათ აზრი. თუმცა ახალი გამოცდილების მიღებასთან ერთად შეიძლება თქვენი ცხოვრებისეული მიზნები შეიცვალოს. შესაბამისად, სამიზნე წინადადება, რომელიც ბოლოს დაწერეთ, შეგიძლიათ მულტივალ განაახლოთ.

შესაგყვისობა „მე-კონცეფცია“-სა და სამუშაო გარემოს შორის

სამუშაო გარემოთა არაერთი კლასიფიკაცია არსებობს. მათ შორის ერთ-ერთი, სამუშაო გარემოს რვა ჯგუფს აერთიანებს. ესენია:

- **მომსახურება** – ეს სამუშაო გარემო მოიცავს ადამიანთა მოთხოვნილებების, გემოვნების, სურვილების დაკმაყოფილებაზე, მათ კეთილდღეობაზე ზრუნვას; ამ სფეროში შემაჯავალი პროფესიები ფოკუსირებულია ადამიანების დახმარებაზე. ამ სამუშაო გარემოში შემაჯავალი საქმიანობების მაგალითები მოიცავს სოციალურ სამუშაოს, კონსულტირებას, სახანძრო და საგანგებო სიტუაციათა სამსახურებს და ა. შ.

- **ბიზნესი** – ამ სფეროში შემაჯავალი სამუშაოები დაკავშირებულია გაყიდვებთან, პროდუქციის ან სერვისის შეთავაზებასთან. როგორც მომსახურების სფეროს შემთხვევაში, აქაც მნიშვნელოვანია ადამიანებთან კომუნიკაცია, თუმცა ბიზნესის მიმართულებით ადამიანებთან ურთიერთობა ფოკუსირებულია მათ დარწმუნებაზე შეიძინონ რაიმე სახის პროდუქცია ან მომსახურება და არა მათ დახმარებაზე. ამ სამუშაო გარემოში შემაჯავალი საქმიანობის მაგალითები მოიცავს გაყიდვებს, საზოგადოებასთან

ურთიერთობას, მარკეტინგს, რეკლამირებას, უძრავი ქონების მართვას და ა. შ.

- **ორგანიზაცია** – სამუშაო გარემო მიუთითებს უშუალოდ ორგანიზაციულ სამუშაოზე, რომელიც დაკავშირებულია ისეთ კომერციულ კომპანიებთან თუ სახელმწიფო დაწესებულებებთან, სადაც ადამიანთა შორის ურთიერთობები ფორმალდება. მოცემულ გარემოში შედის მენეჯერული და ადმინისტრაციული პოზიციები ბიზნესის, წარმოებისა და სამთავრობო სტრუქტურების მიმართულებით. ამ სფეროს წარმომადგენლები არიან, მაგალითად, მცირე მეწარმეები, ბუღალტრები, სასტუმროს მენეჯერები, ბანკირები და ა. შ.

- **ტექნოლოგიები** – ტექნოლოგიური სამუშაო გარემო ფოკუსირებულია ფართო მოხმარების საქონლის, მაგრიალური პროდუქტისა თუ მოწყობილობების შექმნაზე, ხელშეწყობასა და გრანსპორტირებაზე. ამ ტიპის სამუშაო გარემოში ინტერპერსონალურ ურთიერთობებს ნაკლები ღირებულება ენიჭება. ეს არის სფერო, სადაც მომუშავე უნდა გაუმკლავდეს საგნებსა და არა ადამიანებს. საინჟინრო, მექანიკური, მანქანა-დანადგარებით ვაჭრობისა თუ ტვირთის გადაზიდვის ინდუსტრიები ტექნოლოგიურ სფეროს მიეკუთვნება. ასევე ამ სფეროს შემადგენლობაში შედის ისეთი პროფესიები, როგორებიცაა მექანიკოსი, ღურგალი, ინჟინერი, ელექტრიკოსი, მშენებელი და ა. შ.

- **პროფესიები „შენობის გარეთ“** – მოცემული სამუშაო გარემო დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში შემავალ ისეთ საქმიანობებთან, როგორებიცაა ხენა-თესვა, მოსავლის აღება, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, პირუტყვის მოვლა და ა. შ. როგორც ტექნოლოგიური სამუშაო სფეროს შემთხვევაში, „შენობის გარეთ“ არსებულ პროფესიებშიც ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა შორის ურთიერთობებს. ამ ტიპის პროფესიათა მაგალითებია: ფერმერი, მეცხვე, მებაღე, სანერგე მეურნეობის სპეციალისტი და სხვა.

სამუშაო გარემო და პროფესიული შესაძლებლობები

თბილისი 7

- **მეცნიერება** – მეცნიერული სამუშაო გარემო მოიცავს საქმიანობებს, რომლებიც უშუალოდ მეცნიერული თეორიის შექმნასა და მის პრაქტიკაში გამოყენებისაკენაა მიმართული. უამრავი სამეცნიერო ტიპის პროფესიიდან მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მედიცინის დოქტორი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ფსიქოლოგი, უნივერსიტეტის პროფესორი და ა. შ.

- **ზოგადი კულტურა** – ეს პროფესიული კატეგორია, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია საზოგადოებრივი კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისაკენ. ამ ტიპის საქმიანობებში უფრო მეტად ყურადღება ზოგადად ადამიანის ქცევასა და მოქმედებაზეა გამახვილებული, ვიდრე ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე. ზოგადი კულტურის სამუშაო სფეროს საქმიანობები მოიცავს განათლებას, ჟურნალისტიკას, სამართალს, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში შემავალ მიმართულებებს და ა. შ. პროფესიათა მაგალითებად კი შეგვიძლია დავასახელოთ სკოლის პედაგოგი, რეპორტიორი, ისტორიკოსი, იურისტი და სხვა.

- **ხელოვნება და გართობა** – სამუშაო გარემო მოიცავს პროფესიებს, რომლებიც თანდაყოლილი უნარების გამოყენებას უკავშირდება, მაგალითად, ხელოვნებისა და გართობის სფეროში. ხელოვნებასთან და გართობასთან დაკავშირებული საქმიანობები შეიძლება შეგვხვდეს დიზაინის, სპორტის, თეატრალურ, მუსიკალურ, ლიტერატურულ და სხვა მსგავს სფეროებში. ამ სფეროს პროფესიათა მაგალითებია: მხატვარი, მომღერალი, მწერალი, მოჭადრაკე და ა. შ.

ფსიქოლოგთა უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ადამიანის შრომითი კმაყოფილება, პროფესიული წარმატება და შრომის ნაყოფიერება პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული მისი „მე-

კონცეფციისა“ და სამუშაო გარემოს შესატყვისობის ხარისხთან. ამრიგად, ის აღამიანები, რომლებთანაც მოცემული შესაბამისობა მაღალია, უფრო მეტ წარმატებას აღწევენ, კმაყოფილები არიან შრომით, ხანგრძლივად და ეფექტიანად მუშაობენ არჩეულ სამუშაო პოზიციაზე იმათგან განსხვავებით, რომელთა „მე-კონცეფციისა“ და სამუშაო გარემოს შეთანხმებულობის ხარისხი დაბალია. პიროვნებისა და სამუშაოს შეუთანხმებლობის შედეგად ხშირ შემთხვევაში ვიღებთ ახალი სამუშაო ალტერნატივების განუწყვეტელ ძიებას ან პროფესიის შეცვლის მცდელობას.

პიროვნება-სამუშაოს შეთანხმებულობის ცნების საილუსტრაციოდ ელენეს შემთხვევა განვიხილოთ:

შემთხვევათა ანალიზი

ელენე

ელენე მექანიკური ინჟინერიის კურსს ამთავრებდა უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის პროფესიული კონსულტანტის შეკითხვაზე – იყო თუ არა ბენიერი უნივერსიტეტს რომ ამთავრებდა, მან საკმაოდ უხალისოდ უპასუხა: „არა!“. როდესაც მან პასუხის ახსნა სთხოვა, ელენემ ის დაბრკოლებები დაასახელა, რომელთა გადალახვაც უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მოუხდა.

პირველი სასწავლო წლის განმავლობაში ელენემ აღმოაჩინა, რომ ძალიან უჭირდა წერილობითი დავალებების შესრულება, კვლევის ანგარიშების მომზადება და ტესტურ დავალებებზე პასუხების გაცემა. მისთვის ღიდ პრობლემას წარმოადგენდა ამრის წერილობით გადმოცემა.

სამუშაო გარემო და პროფესიული შესაბამისობა

თბილისი 7

მომღევენო სასწავლო წელს ის მიხვდა, რომ, მოვალად, სწავლისა და მასალის ათვისების უნარი ჰქონდა დაქვეითებული. მან დაიწყო ამ პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა, რისთვისაც კერძო რეპეტიტორი აიყვანა. მუდმივი მეცადინეობისა და თავდაუზოგავი შრომის ხარჯზე ელენემ შეძლო ამ დაბრკოლების გადალახვა და საკმაოდ რთულ საინჟინრო დისციპლინებშიც კარგი შეფასებები მიიღო, თუმცა მაინც წუხდა საკუთარი პროფესიის გამო და საინჟინრო სფეროში მუშაობის დაწყებისაც ეშინოდა. როდესაც პროფესიულ კონსულტანტთან ერთად საკუთარი წუხილის მიზეზები გამოიკვლია, ელენე მარტივ დასკვნამდე მივიდა – მას არ მოსწონდა ინჟინერია. ოთხწლიანი სწავლისა და მექანიკურ ინჟინრად სტაჟირების შემდეგ ელენემ გააყენებინა, რომ ინჟინრის კარიერა არც თუ ისე კარგი არჩევანი იყო მისთვის.

პროფესიული კონსულტანტი ელენეს დაეხმარა უკეთ გაეანალიზებინა პროფესიული უკმაყოფილების მიზეზები. როდესაც მან ელენეს სთხოვა, აღეწერა ინჟინრის სამუშაო გარემო, აქტივობები, რომლებიც მოსწონდა, მისი უნარ-შესაძლებლობები და ღირებულებები, ცხადი გახდა, თუ რაგომ არ ხიბლავდა მას ინჟინრის პროფესია.

კარიერის არჩევისას ელენე მომზადებული იყო იმისათვის, რომ გექნიკური სამუშაო გარემოს პროფესია შეესწავლა. ინჟინერ-მექანიკოსები უმკლავებიან დიდი რაოდენობის რუგინულ სამუშაოს და ნაკლებად უწევთ ურთიერთობა ადამიანებთან. საკუთარი პიროვნების მახასიათებლების გაანალიზების შედეგად (ინტერესები, ღირებულებები, უნარები და ა. შ.), ელენე მიხვდა, რომ მას უფრო შეეფერებოდა მომსახურების სფეროზე ორიენტირებული საქმიანობა. მას მოსწონდა ადამიანებთან ურთიერთობა, მათი სწავლება და პრობლემების გადაჭრაში დახმარება. ერჩივნა უფრო

აღამიანებთან ემუშავა, ვიდრე სავნებთან და მისთვის ღირებული ისეთი სამუშაო იყო, რომელიც ხალხთან ურთიერთობის საშუალებას მისცემდა. ინჟინერ-მექანიკოსის პროფესია არ იყო ელენესათვის შესაფერისი. მიღებული ინფორმაციის წყალობით ელენემ სოციალური სამუშაოსა და კონსულტირების სფეროში ახალი სამუშაო შესაძლებლობების ძებნა დაიწყო. ამჟამად კი ის ოჯახური ძალოლობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრის ხელმძღვანელია და სრულიად კმაყოფილია საკუთარი კარიერით.

პროფესიის ძიების მთავარი შედეგი პიროვნებისა და სამუშაო გარემოს შეთანხმებულობის მაქსიმალური ღონის მიღწევა უნდა იყოს, რაც მომავალში კარიერის დაგეგმვის მომდევნო ეტაპებზე გადასვლის საშუალებას მოგცემთ. ახლა ღროა შეაჯამოთ იმ სავარჯიშოთა შედეგები, რომლებიც აქამდე შეასრულეთ და დაუკავშიროთ ისინი პროფესიულ შესაძლებლობებს. ეს დაგეხმარებათ იპოვოთ ის სამუშაო გარემო, რომელიც შრომით კმაყოფილებას, პროფესიულ სტაბილურობასა და წარმატებას შემოგთავაზებთ.

ზოგიერთი აღამიანისათვის მხოლოდ სამუშაო გარემოთა მოკლე აღწერილობებიც კი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს საიმისოდ, რომ შესაფერისი პროფესიული სფერო ამოიციონ. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ სავარჯიშოების შედეგად მიღებული ინფორმაცია, საგრძნობლად გაზრდის წარმატებული პროფესიული გადაწყვეტილების მიღების შანსს. სავარჯიშოები ყოველთვის გეხმარებათ ობიექტურად შეაფასოთ არჩევანის გაკეთების პროცესი. მათი დახმარებით თქვენ იწყებთ საკუთარი პიროვნების იმ მახასიათებლების

სამუშაო გარემო და პროფესიული შესაძლებლობები

თავი 7

გაცნობიერებას, რომელთა შესახებაც არასოდეს დაფიქრებულხართ და აუმჯობესებთ გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობას.

იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიის არჩევის პროცესში ჩაბმა გადაწყვეტით, განეწყვეთ იმისათვის, რომ შეაფასოთ საკუთარი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და პროფესიის არჩევასთან მათი ინტეგრირება მოახდინოთ. მომდევნო სავარჯიშოები სწორედ ამაში დაგეხმარებათ.

სამარჯიშო №7.2 - დაუკავშირეთ წარსული აწმყოს

სავარჯიშოს შესასრულებლად შეაფასეთ (მიანიჭეთ რეიტინგული ქულა), რამდენად გამოცდილი ხართ ჩამოთვლილი აქტივობების შესრულებაში. ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, არც არასდროს გაგიკეთებიათ, თუმცა უმრავლეს აქტივობებში მცირეოდენი გამოცდილება მაინც გექნებათ. საკუთარი გამოცდილება შემდეგი სკალის მეშვეობით შეაფასეთ:

- 1 = გამოცდილება საერთოდ არ მაქვს;
- 2 = მცირეოდენი გამოცდილება მაქვს;
- 3 = საშუალო გამოცდილება მაქვს;
- 4 = საკმაო გამოცდილება მაქვს;
- 5 = ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს.

აქტივობა	რეიტინგული ქულა
1. ხელოვნების ნაწარმოების შექმნა (ნახატი, ილუსტრაცია და ა. შ.)	
2. ადამიანების მომსახურება	
3. ახალი პროდუქციის ან სერვისის რეკლამირება	
4. მთაში ლაშქრობაზე წასვლა	
5. მათემატიკური პრობლემის გადაჭრა	
6. საგნების შეკეთება ხელსაწყოების დახმარებით	
7. სხვა ადამიანების მუშაობის პროცესის მართვა	
8. ბავშვებისათვის კითხვის სწავლება	
9. მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა	
10. მოხალისედ მუშაობა	
11. კვლევის ჩატარება	
12. ბოსტნეულის დარგვა ბაღჩაში	
13. მომხმარებლისათვის პროდუქტის მიყიდვა	
14. ესკიზების გაკეთება და ხატვა	
15. ნადირობა და/ან თევზაობა	
16. დებატები პოლიტიკურ თემაზე	

17. სამართლებრივ საკითხებზე პასუხების ძიება
18. სამეცნიერო წიგნების კითხვა
19. ადამიანების გართობა და გამხიარულება
20. ბიზნესის პრინციპებისა და კონცეფციების განხილვა
21. ღამიანებული მანქანების ან მოწყობილობების შეკეთება
22. სამეცნიერო მონაცემების შეგროვება
23. მომხმარებლისათვის დაზღვევის შეთავაზება
24. წერილობითი ინფორმაციის ორგანიზება კომპიუტერული პროგრამის დახმარებით
25. ადამიანების დახმარება პირადი პრობლემების გადაჭრაში
26. ძრავის ან მოწყობილობის დაშლა-აწყობა
27. ცხოვრების მნიშვნელოვნების გააზრება
28. ადამიანების დარწმუნება შეიძინონ კონკრეტული ბრენდი ან პროდუქტი
29. მნიშვნელოვანი დოკუმენტების შევსება
30. შენობის გარეთ მუშაობა
31. სტაჯის დაწერა ახალი ამბების შესახებ
32. სამედიცინო პრობლემის გადაჭრის გზების ძიება
33. თოხის დეკორატიული გაფორმება
34. რაიმეს შექმნა ან აშენება
35. საგადასახადო დოკუმენტაციის მოწესრიგება
36. პროფესიის არჩევის საკითხში სხვების დახმარება
37. ავტომობილების გაყიდვა
38. სახლის დიზაინი და მოწყობა
39. მოსავლის აღება
40. მშობლიური ქალაქის ისტორიაზე ინფორმაციის კითხვა

სავარჯიშოს შესრულების შედეგად მიიღებთ ქულას სამუშაო გარემოს სხვადასხვა კატეგორიისათვის. თითოეული პროფესიული ტიპის ჯამური ქულა განისაზღვრება შესაბამისი აქტივობებისათვის მინიჭებული ქულების შეკრებით. ქვემოთ მოცემულია

ქულების დათვლის წესი, რომელიც გიჩვენებთ, რომელი დებულება რომელ პროფესიულ კატეგორიას შეესაბამება. მაგალითად, აქტივობები ნომრით 2, 10, 17, 25 და 36 – წარმოადგენს მომსახურების სფეროს დებულებებს. შეაჯამეთ თქვენი შედეგები თითოეული პროფესიული სფეროსათვის (ჯამური ქულა უნდა მერყეობდეს 5-25 ქულათა დიაპაზონში):

მომსახურების სფერო

$$\frac{\quad}{2} + \frac{\quad}{10} + \frac{\quad}{17} + \frac{\quad}{25} + \frac{\quad}{36} = \frac{\quad}{\quad}$$

ბიზნესი

$$\frac{\quad}{3} + \frac{\quad}{13} + \frac{\quad}{23} + \frac{\quad}{28} + \frac{\quad}{37} = \frac{\quad}{\quad}$$

ორგანიზაცია

$$\frac{\quad}{7} + \frac{\quad}{20} + \frac{\quad}{24} + \frac{\quad}{29} + \frac{\quad}{35} = \frac{\quad}{\quad}$$

ტექნოლოგიები

$$\frac{\quad}{6} + \frac{\quad}{21} + \frac{\quad}{26} + \frac{\quad}{34} + \frac{\quad}{38} = \frac{\quad}{\quad}$$

პროფესიები „შენობის გარეთ“

$$\frac{\quad}{4} + \frac{\quad}{12} + \frac{\quad}{15} + \frac{\quad}{30} + \frac{\quad}{39} = \frac{\quad}{\quad}$$

მეცნიერება

$$\frac{\quad}{5} + \frac{\quad}{11} + \frac{\quad}{18} + \frac{\quad}{22} + \frac{\quad}{32} = \frac{\quad}{\quad}$$

ზოგადი კულტურა

$$\frac{\quad}{8} + \frac{\quad}{16} + \frac{\quad}{27} + \frac{\quad}{31} + \frac{\quad}{40} = \frac{\quad}{\quad}$$

ხელოვნება და გართობა

$$\frac{\quad}{1} + \frac{\quad}{9} + \frac{\quad}{14} + \frac{\quad}{19} + \frac{\quad}{33} = \frac{\quad}{\quad}$$

ქულების დათვლის შედეგად თქვენთვის ცხადი გახდება, თუ რომელ სამუშაო სფეროს შეესაბამება თქვენი გმოცდილება ყველაზე მეტად.

სამპარჯიშო №7.3 რამდენად კარგად აკეთებთ იმას, რასაც აკეთებთ?

სავარჯიშოს შესასრულებლად რეიგინგული ქულის მინიჭების მეშვეობით სხვადასხვა აქტივობის მიხედვით განსაზღვრეთ, რა დონეზე ფლობთ ამა თუ იმ უნარს. საკუთარი გმოცდილება შემდეგი სკალის მეშვეობით შეაფასეთ:

- 1 = საერთოდ არ შემიძლია;
- 2 = მცირე დონეზე შემიძლია;
- 3 = შემიძლია;
- 4 = კარგად შემიძლია;
- 5 = ძალიან კარგად შემიძლია

აქტივობა	რეიგინგული ქულა
1. სხვებისათვის იმ საგანის სწავლება, რომელიც კარგად იცით	
2. ცხოველებთან მუშაობა	
3. რთული იურიდიული ინფორმაციის გაგება	
4. სხვა ადამიანების ხელმძღვანელობა დაჯალბების შესრულების პროცესში	
5. ახალი პროდუქტის რეკლამირება	
6. ხელოვნების ნაწარმოების შექმნა	
7. ფილოსოფიური იდეის ან კონცეფციის გააზრება/ჩაწვდომა	
8. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობების მართვა	
9. ტექსტის ბეჭდვა კომპიუტერის გამოყენებით	
10. დაზიანებული მანქანა-მოწყობილობების შეკეთება	
11. სახლის ინგერიერის დიზაინის შექმნა	
12. მათემატიკური პრობლემის გადაწყვეტა	

13. ახალი მეგობრების შექმნა
14. მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა
15. ადამიანების დარწმუნება შეიძინონ კონკრეტული ბრენდი ან პროდუქტი
16. ადამიანების დარწმუნება საკუთარი შეხედულების სისწორეში
17. სხვების გრძნობების გათავისება
18. რაიმე მექანიზმის მუშაობის პრინციპის აღწერა
19. ადამიანებისათვის რთული დავალების შესრულების სწავლება
20. მონაცემთა ბაზის მართვა/ორგანიზება
21. მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტა
22. რაიმე მოვლენის პრეზენტაცია, საზოგადოებისათვის წარდგენა
23. სხვების მიმართ თანაგრძნობის გამოხატვა
24. ხეხილის ან ბოსტნეულის მოვლა ბაღში
25. ავტომობილის დაზღვევის პაკეტის გაყიდვა
26. საცხოვრებელი სახლების სამშენებლო კომპანიაში მუშაობა
27. დაავადების გამომწვევი მიზეზების კვლევა
28. ტექსტის კორექტირება
29. ორგანიზაციის ფუნქციონირების მეთოდის/სტრუქტურის შექმნა
30. საგანგებო სიტუაციებთან გამკლავება
31. სახლის ეზოს გაფორმება, დიზაინის შექმნა
32. მოვლენის მეცნიერული ახსნის გააზრება
33. მოწყობილობის აღდგენა/აწყობა მისი შეკეთების შემდეგ
34. სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა
35. საწარმოს წარმომადგენლად მუშაობა
36. მეცნიერული საკითხის ინტერნეტის საშუალებით კვლევა
37. ახალ სახლში სამზარეულოს ავეჯის აწყობა
38. ფერმის ფლობა და/ან მართვა
39. მარკეტინგული გეგმის შემუშავება ახალი პროდუქტის გასაყიდად
40. დიდი აუდიტორიის წინაშე რაიმე აქტივობის შესრულება

სავარჯიშოს შესრულების შედეგად მიიღებთ ქულას სამუშაო გარემოს სხვადასხვა კატეგორიისათვის. თითოეული პროფესიული ტიპის ჯამური ქულა განისაზღვრება შესაბამისი აქტივობებისათვის მინიჭებული ქულების შეკრებით. ქვემოთ მოცემულია ქულების დათვლის წესი, რომელიც გიჩვენებთ, რომელი დებულება რომელ პროფესიულ კატეგორიას შეესაბამება. შეაჯამეთ თქვენი შედეგები თითოეული პროფესიული სფეროსათვის (ჯამური ქულა უნდა მერყეობდეს 5-25 ქულათა დიაპაზონში):

მომსახურების სფერო

$$\text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} = \text{---}$$

$$1 \quad 13 \quad 17 \quad 23 \quad 30$$

ბიზნესი

$$\text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} = \text{---}$$

$$5 \quad 15 \quad 25 \quad 35 \quad 39$$

ორგანიზაცია

$$\text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} = \text{---}$$

$$4 \quad 9 \quad 16 \quad 20 \quad 29$$

ტექნოლოგიები

$$\text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} = \text{---}$$

$$10 \quad 18 \quad 26 \quad 33 \quad 37$$

პროფესიები „შენობის გარეთ“

$$\text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} = \text{---}$$

$$2 \quad 8 \quad 24 \quad 31 \quad 38$$

მეცნიერება

$$\text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} = \text{---}$$

$$12 \quad 21 \quad 27 \quad 22 \quad 36$$

ზოგადი კულტურა

$$\text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} = \text{---}$$

$$3 \quad 7 \quad 19 \quad 22 \quad 28$$

ხელოვნება და გართობა

$$\text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} + \text{---} = \text{---}$$

$$6 \quad 11 \quad 14 \quad 34 \quad 40$$

ქულების დათვლის შედეგად თქვენთვის ცხადი გახდება, თუ რომელ სამუშაო სფეროს შეესაბამება თქვენი უნარები ყველაზე მეტად.

სამპარჯიშო №7.4 - იპოვეთ თქვენი სამუშაო გარემო

სავარჯიშოთა შედეგები, რომლებიც აქამდე შეასრულეთ, თქვენთვის ყველაზე შესაფერისი სამუშაო გარემოს კატეგორიების არჩევაში დაგეხმარებათ.

თქვენ მიერ შესრულებულ სავარჯიშოებში მიღებული ქულები შეესაბამება ბევრთ ალწერილ რვა სამუშაო გარემოს. ჩასვით ქვემოთ განთავსებულ გრაფებში თითოეულ სავარჯიშოში მიღებული ქულები, ხოლო ბოლოს შეაჯამეთ თითოეულ სამუშაო გარემოში მიღებული საბოლოო ქულა:

	ქულები სავარჯიშოდან №4.3	ქულები სავარჯიშოდან №7.2	ქულები სავარჯიშოდან №7.3	ჯამი
მომსახურება				
ბიზნესი				
ორგანიზაცია				
ტექნოლოგიები				
პროფესიები „შენობის გარეთ“				
მეცნიერება				
ზოგადი კულტურა ხელოვნება და გართობა				

მიღებული ჯამური ქულა წარმოადგენს პიროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებლების კომბინაციას და

სამუშაო გარემო და პროფესიული შესაძლებლობები

თბილისი 7

დაგეხმარებათ ადეკვატურად გამოყოთ თქვენთვის შესაფერისი პროფესიული შესაძლებლობები. ქვემოთ დაწერეთ ის სამუშაო სფეროები, რომლებშიც ყველაზე მაღალი ჯამური ქულები დააგროვეთ:

1. _____

2. _____

3. _____

კარიერის თქვენთვის ყველაზე შესაფერისი გიპია ის, რომელშიც ყველაზე მაღალი ქულა გაქვთ მიღებული. თუ აღნიშნული სამი სამუშაო გარემოდან რომელიმე ორ მათგანში ერთნაირი ქულები დააგროვეთ, მაშინ თქვენთვის შესაფერისი პროფესია ორივე სამუშაო გიპისათვის დამახასიათებელ გერმინებში აღიწერება.

შემთხვევათა ანალიზი

ანანო

განვიხილოთ მეორე კურსის სტუდენტის, ანანოს, შემთხვევა:

ანანო სკოლაში სწავლას ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა. მის ოჯახს ფინანსურად უჭირდა და არ შეეძლო მას დახმარებოდა, რის გამოც დამამთავრებელ კლასებში სწავლის პარალელურად მუშაობა უწევდა. ანანოს სურდა ძალიან ორგანიზებულად, სწრაფად დაეგეგმა საკუთარი კარიერული მომავალი, რის გამოც ბევრი დრო არ დაუკარგავს შესაფერისი პროფესიის ძებნასა და გამოკვლევაში.

ანანო სრულიად დარწმუნებული იყო, რომ პროფესიის არჩევა სამედიცინო ან იურიდიული სფეროებიდან სურდა, მაგრამ უჭირდა გადაწყვეტილების მიღება. პიროვნული თვისებებისა და ინტერესების საკვლევმა მეთოდებმა დაადასტურა ანანოს ვარაუდი – კითხვარებში მიღებული შედეგებით სამედიცინო და იურიდიული სფეროები ყველაზე მეტად უკავშირდებოდა მის ინტერესებსა და მიდრეკილებებს. მას განსაკუთრებით ხიბლავდა ისეთი პროფესიები, რომლებიც სხვების დახმარების საშუალებას მისცემდა, ხოლო რამდენიმე ექიმთან და იურისტთან ვასაუბრების შედეგად დარწმუნდა, რომ ეს სამუშაო სფეროები სწორედ მისი შესაფერისი იყო.

სანამ პროფესიულ კონსულტანტს მიმართავდა, ანანომ ნამდვილად არ იცოდა, რამდენად გააჩნდა სამედიცინო ან იურიდიული სფეროებისათვის აუცილებელი უნარები. უნარების საკვლევი კითხვარის შედეგებმა აჩვენა, რომ მას სამედიცინო პროფესიის დასაუფლებლად საჭირო საკმარისი შესაძლებლობები გააჩნდა – რაოლენობრივი მსჯელობის, აბსტრაქტული ამროვნების, მათემატიკური უნარები, რაც დაეხმარებოდა კომპლექსური პრობლემების გადაჭრაში. მიუხედავად იმისა, რომ ანანომ საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენა იურიდიული სფეროსათვის აუცილებელ ისეთ უნარებში, როგორებიცაა ვერბალური მსჯელობა და ლექსიკური მარაგის გამოყენება, მედიცინისათვის საჭირო შესაძლებლობებში მან უფრო მაღალი ქულები მიიღო. ანანოს პრობლემათა დიაგნოსტიკა და დავალების ამოხსნის გზების ძიება უფრო უკეთ გამოხდებოდა, ვიდრე არგუმენტირებული მსჯელობა და დებატები. საკუთარი მახასიათებლების კომპლექსური გამოკვლევის შედეგად ანანომ სამედიცინო პროფესიას მიანიჭა უპირატესობა და ახლა ის ერთ-ერთ კლინიკაში გადის სტაჟირებას.

სამუშაო მარჯობა და პროფესიული შესაძლებლობები

დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ლუკამ შეავსო ინგერესებისა და უნარების საკვლევი კითხვარები, რის შედეგადაც მისი შესაფერისი აღმოჩნდა ხელოვნებისა და ვართობის სფერო. ამ სამუშაო გარემოში შემავალი პროფესიებიდან რამდენიმე მათგანის არჩევაზე ლუკას ადრეც უფიქრია. მას სურდა სამუშაო, რომელიც შემოქმედებითი გამომხატველობისა და ავტონომიის გარდა სგაბილურ შემოსავალსაც შესთავაზებდა. მას ჰყავდა ერთი მსახიობი მეგობარი, რომელიც ხანდახან ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში იყო უმუშევარი და არ სურდა მისი ბედი გაემიარებინა. ლუკა სამუშაოსაგან ფინანსურ უსაფრთხოებასა და რეგულარულ ხელფასს მოელოდა. აღსანიშნავია, რომ ხელოვნებისა და ვართობის სამუშაო სფერო მას მსახიობისა და მხატვრის კარიერასაც სთავაზობდა, თუმცა საკუთარი მიზნებისა და ღირებულებების გათვალისწინებით ლუკამ გადაწყვიტა უკეთ გამოეკვლია ინგერიერის დიპლომის სფერო. დღეს კი ის ინგერიერის დიპლომზე მომუშავე ერთ-ერთი წარმატებული კომპანიის თანამფლობელია.

მარიამის სიგუაცია ლუკას შემთხვევისაგან ოდნავ განსხვავდება. ის უამრავ საგანს სწავლობდა სკოლაში, თუმცა უჭირდა მათგან მისთვის განსაკუთრებით საინტერესო დისციპლინების გამოყოფა. ინგერესებისა და უნარების საკვლევი კითხვარების შევსების შემდეგ ცხადი გახდა, თუ რაგომ უჭირდა მას პროფესიული შესაძლებლობებიდან რომელიმეს არჩევა – რეიგინგით პირველი და მეორე სამუშაო გარემოთა ქულები თითქმის იდენტური აღმოჩნდა: ხელოვნება-ვართობისა და მომსახურების ჯამური მაჩვენებლები მხოლოდ ორი ქულით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. აქედან

გამომდინარე, მარიამისათვის საუკეთესო პროფესია ამ
ორი გარემოს კომბინაციის შესაფერისი უნდა ყოფილიყო.

პროფესიის ძიების პროცესში მარიამმა განიხილა
ორივე სამუშაო სფეროს პროფესიები და განათლების ის
მთხოვნები, რომლებიც დაკავშირებული იყო თითოეულ
მათგანთან. მარიამი მარგობელა დედა იყო, მას ორი
შვილი ჰყავდა და არ სურდა ისეთი პროფესია აერჩია,
რომლის დასაუფლებლადაც წლობით დასჭირდებოდა
სწავლა. მან, ასევე, შეაფასა ანამლაურების
შესაძლებლობები და ამ ყველაფრის შედეგად მისი
პროფესიული ალტერნატივების ჩარჩოში მხოლოდ სამი
პროფესია შევიდა: სოციალური მუშაკი, ხელოვნების
პედაგოგი და ნარკოდამოკიდებულთა ან ალკოჰოლიზმით
დაავადებულთა კონსულტანტი. საბოლოოდ, მან
ხელოვნების პედაგოგის პროფესია აირჩია და დღემდე
სიამოვნებით მუშაობს საკუთარი სპეციალობით.

ერთი რამ ცხადია: საკუთარი ინტერესების, უნარებისა
თუ სასურველი პროფესიის შესახებ ინფორმაციის
შეგროვებასთან ერთად არ უნდა დაივიწყოთ სამუშაო
გარემოს შესახებაც ინფორმაციის მოპოვება. უნდა
გაანალიზოთ, ხომ არ ეწინააღმდეგება სამუშაო, რომელიც
მოგწონთ იმ ფასეულობებს, რომლებითაც ცხოვრებაში
ხელმძღვანელობთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Darrel Anthony Luzzo, Lisa Ellen Severy ; Making Career Decisions That Count – A Practical Guide, Third Edition; Pearson prentice Hall, 2009.
2. Nicholas Lore; The Pathfinder – How to Choose or Change Your Career for a Lifetime of Satisfaction and Success; A Touchstone book – A Division of Simon & Schuster, Inc., 1998.

8

იდეალური სამუშაოს პიესის პროცესი

სამწუხარო იქნება, თუ თქვენ 40 ან 50 წლის განმავლობაში იმ საქმით იქნებით დაკავებული, რომელიც გერჩიენათ, რომ საერთოდ არ გაგეკეთებინათ, რადგან თქვენ შეგწევთ ძალა იმ საქმიანობას დაუკავშიროთ ცხოვრება, რომელიც თქვენთვის ყველაზე სასურველი და შესაფერისია.

იდეალური სამუშაო – რა შეიძლება იყოს ეს?

სწორად არჩეული პროფესია თქვენი ცხოვრების ტონუსს ამაღლებს. ის შეესაბამება თქვენი ქცევის სტილს და ასახავს თქვენს ინდივიდუალობას. სწორად არჩეული პროფესია საშუალებას გაძლევთ გამოავლინოთ თქვენი ძლიერი მხარეები და თანდაყოლილი უნარები. ის არ გაიძულებთ გააკეთოთ ის საქმე, რაც, როგორც წესი, არ გეხერხებათ ან არ გამოგდით.

როგორ უნდა განსაზღვროთ, შეგესაბამებათ თუ არა თქვენი პროფესია? ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა კრიტერიუმი.

თუ თქვენ მიერ არჩეული პროფესია ნამდვილად თქვენი შესაბამისია, მაშინ:

- თქვენ სიხარულით ივლით სამსახურში;
- ის, რასაც გააკეთებთ, ენერგიით აგავსებთ;
- იგრძნობთ, რომ სამუშაოს შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ და ამას აფასებენ;
- სიამაყით ილაპარაკებთ თქვენს სამსახურზე;
- თქვენ მოგეწონებათ და პატივს სცემთ იმ ადამიანებს, ვისთან ერთადაც იმუშავეთ;
- ოპტიმისტურად შეხედავთ მომავალს.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ პროფესიული წარმატების მისაღწევად იმდენივე განსხვავებული გზა არსებობს, რამდენიც განსხვავებული ადამიანია. არ არსებობს „იდეალური“ პროფესია, რომლისაკენაც ყველა უნდა მიიღგვოდეს, მაგრამ არსებობს პროფესია – იდეალური თქვენთვის.

შრომის ბაზარი სავსეა განუსაზღვრელი რაოდენობის პროფესიული შესაძლებლობით. თუ პროფესიაში წარმატების მიღწევა გსურთ, აუცილებლად უნდა გაერკვეთ საკუთარ ინტერესებში და განიხილოთ მათი შესაბამისი შესაძლებლობები. შესაძლოა არსებობდეს სპეციალობა, რომელიც კომფორტსა და სტაბილურობას მოგიტანს და, მეორე მხრივ, ისეთი სპეციალობაც, რომელიც ბრძოლასა და რისკთანაა დაკავშირებული; თითოეული პროფესია მისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებს უყენებს ადამიანს. მაგალითად, გარკვეული საქმიანობა კომუნიკაბელურობას მოითხოვს, სხვა კი სიმშვიდესა და საქმეზე ფოკუსირებას. იცით, რა უფრო შეგეფერებათ? ოდესმე გიფიქრიათ ამ საკითხის შესახებ? ვიმედოვნებთ, რომ ამ წიგნმა მოგცათ ამ საკითხებზე დაფიქრების სტიმული და შესაძლებლობა.

იდეალური სამუშაოს ძიების პროცესი
თავი 8
183

იმდენად, რამდენადაც ადამიანები შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების მიხედვით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ზოგ ადამიანს მოსწონს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ზოგს კი არ გააჩნია ამის უნარი. არიან ადამიანები, რომელთათვისაც მთავარი პრიორიტეტი ფულის გამომუშავებაა; არიან ისეთებიც, რომელთათვისაც მთავარია საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთება და ხელფასი მათთვის მეორეხარისხოვანია. ზოგი ადამიანი ფაქტებისა და სტატისტიკის გარემოცვაში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, ზოგს კი შემოსავლისა და გასავლის ანგარიშების ბალანსის შედგენაზე ერთი გაფიქრებაც კი თავს ატკივებს; ადამიანთა შორის განსხვავებების ამგვარი ჩამონათვალი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. საბედნიეროდ, არსებობს უამრავი განსხვავებული საქმიანობა, რომელთაგანაც თქვენთვის იდეალური უნდა ამოარჩიოთ.

შემთხვევათა ანალიზი

პროფესიული კონსულტანტი გიორგი იხსენებს:

„ადამიანური რესურსების ერთ-ერთი სააგენტოს თანამშრომლებისათვის პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებულ სემინარებს ვატარებდი. მუშაობის პროცესში შევეჯახეთ ნათელ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება პროფესია, რომელიც ერთი ადამიანისათვის სრულიად შესატყვისი და იდეალურია, საერთოდ არ შეესაბამებოდეს მეორე ადამიანს.

სემინარში ერთ-ერთ სააგენტოში მომუშავე რამდენიმე აგენტი მონაწილეობდა. მათ ძირითად მოვალეობას კომპანიებისათვის პერსონალის შერჩევა წარმოადგენდა. სამიზნე კანდიდატები სხვა ორგანიზაციაში უკვე მომუშავე

მაღალი რანგის პროფესიონალები იყვნენ. აგენტებს ევალუბოდათ დაერწმუნებინათ კანდიდატები, რომ სამუშაო, რომელსაც სთავაზობდნენ, სწორედ ის იყო, რაც მათ სჭირდებოდათ. თუ კანდიდატი მართლაც შეიცვლიდა სამუშაო ადგილს და ახალ სამსახურში სულ მცირე სამი თვის მანძილზე წარმატებით იმუშავებდა, აგენტი სოლიდურად ჯილდოვდებოდა. სხვა სიგეყებით რომ ვთქვათ, სამუშაო ორიენტირებული იყო შედეგებზე, მოითხოვდა კონკურენტუნარიანობას, კომუნიკაბელურობას და გარკვეული სამუშაოს განსაზღვრულ ვადებში შესრულებას (შებლულ დროში გარკვეული რაოდენობის კანდიდატების შერჩევას).

ერთ-ერთ აგენტს – ნიკოს, აშკარად ძალიან შეეფერებოდა მისი საქმიანობა. მას მოსწონდა სამუშაოს დინამიკა; იყო ენერგიული ადამიანი, მოსწონდა სხვადასხვა ადამიანთან გელეფონით ურთიერთობა; ის წარმატებით არწმუნებდა კანდიდატებს მიეღოთ ახალი კარიერული შეთავაზება და კმაყოფილი იყო, როცა მიმანს აღწევდა. მან იცოდა ფორმულა: 50 ადამიანიდან, რომლებსაც დაურეკა, მხოლოდ 10 ისურვებს საუბრის გაგრძელებას და აქედან ორი ან სამი კანდიდატი მიიღებს შეთავაზებას. სამუშაოს შესრულებაში ნიკოს ემოციური მდგრადობა და გამძლეობა ეხმარებოდა: მას ხშირად ეუბნებოდნენ უარს შეთავაზებაზე, მაგრამ ის არასოდეს აღიქვამდა ამას უბედურებად და ჩვეული განწყობით აგრძელებდა მუშაობას. სამუშაო ძალების მომატებას ის მაშინ გრძნობდა, როცა წარმატებით ასრულებდა ერთ ვარიგებას და იწყებდა ახალ მოლაპარაკებას. ის კეთილსინდისიერად მუშაობდა მთელი დღის მანძილზე და კარგადაც გამოიმუშავებდა.

აგენტ ნაგალის შემთხვევაში სრულიად განსხვავებულ სიგუაციასთან გვქონდა საქმე. როგორც ნიკოს, მასაც მოსწონდა დღის განმავლობაში სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობა. თუმცა, ნიკოსაგან განსხვავებით, ის

ილექტური სემინარი
მიუიის პროცესი
თავი 8

ცდილობდა ყველა კლიენტს დახმარებოდა მათთვის იდეალურად შესაფერისი სამუშაოს პოვნაში. ის თავგამოდებით ეძებდა ისეთ ვაკანსიებს, რომლებიც კანდიდატებს პროფესიული ზრდის, წარმატებისა და მორალური კმაყოფილების მიაღწევის შესაძლებლობას მისცემდა. ხელმძღვანელმა არაერთხელ მიუთითა ნაგალის, რომ მედმეგად ბევრ დროს უთმობდა თითოეულ კანდიდატს მაშინ, როდესაც სწრაფად უნდა გაერკვია, დაინტერესდა თუ არა კანდიდატი შეთავაზებული წინადადებით და გადასულიყო შემდეგზე. ფაქტობრივად, ნაგალი კონსულტაციას უწევდა სამუშაოს მაძიებლებს და ნაკლებად ასრულებდა დამსაქმებლების დაკვეთას. ფიქრი იმის შესახებ, რომ შეეძლო მეტი გამოემუშაებინა, საქმიანობის მის სტილზე ვაღელვას ვერ ახლენდა. მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა იმ ფაქტს, რომ ვაკანსური სამუშაო აღვილისათვის კადრი ეპოვა, არამედ იმას, რომ აღნიშნული სამუშაო კანდიდატისათვის იდეალურად შესაფერისი ყოფილიყო.

როცა რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ სემინარები განახლდა, ჩვენთვის გასაკვირი არ აღმოჩნდა იმის გაგება, რომ ნაგალიმ სამსახური დატოვა.“

ზემოთ აღწერილი შემთხვევა თვალნათლივ მიუთითებს პროფესიისა და ადამიანის პიროვნული ფასეულობების შესაფერისობის მნიშვნელობაზე. ყველა ადამიანს ინდივიდუალური მოთხოვნილებები, მისწრაფებები, ინტერესები, ჩვევები და ღირებულებები აქვს. განსხვავებული ტიპის საქმიანობები, ამა თუ იმ სამუშაოს კონკრეტული განსხვავებული ასპექტები და მცირე დეტალებიც კი დამაკმაყოფილებელი შეიძლება აღმოჩნდეს ერთი ადამიანისათვის, მეორე ალტერნატივაში მოიყვანოს, ხოლო მესამე საერთოდ გულგრილი დატოვოს აღნიშნული საქმიანობის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პროფესიული

კონსულტანტებისა და პროფესიული გზამკვლევების ავტორთა მცდელობის მიუხედავად ამ ძირითად პრინციპს, საყოველთაოდ ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ.

იპოვეთ, რა არის მნიშვნელოვანი თქვენთვის

ყველა ადამიანს სურს ცხოვრების განმავლობაში აკეთოს ის, რაც მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. ის ადამიანებიც კი, რომლებიც ამბობენ, რომ სამუშაოს ხასიათს მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, საბოლოოდ მაინც აკეთებენ არჩევანს და უპირატესობას მათთვის უფრო საინტერესო საქმიანობას ანიჭებენ. ყოველ ჩვენგანს საკუთარი შინაგანი მოდელი გააჩნია იმისა, თუ რა არის პრიორიტეტული, მნიშვნელოვანი, საინტერესო და ღირებული. ეს ფაქტორი უადრესად ინდივიდუალურია და შეიძლება სხვადასხვა ადამიანის შემთხვევაში რადიკალურად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. თქვენთვის, სიცყვა „მნიშვნელოვანი“, შეიძლება, მუშაობის პროცესში თქვენი იდეალების განხორციელებას უკავშირდებოდეს, ხოლო სხვისთვის შეიძლება ის საინტერესო და სასიამოვნო სამუშაოზე მიუთითებდეს. ჩვენ მიღრეკილები ვართ ვიფიქროთ, რომ ჩვენი მუსიკალური გემოვნება, პოლიტიკური შეხედულება ან ცხოვრების ჩვენიული გაგება, უფრო სწორი და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ვიდრე იმ ადამიანებისა, რომლებიც ამ ყველაფერს სხვა თვალთ უყურებენ. შესაძლოა, ძალოსანს გაუჭირდეს იმის გაგება, თუ როგორ არის გამხდარი და სუსტი აღნაგობის მქონე მოჭადრაკე სრულიად კმაყოფილი საკუთარი ყოფით. ასევე ადამიანებს, რომელთათვისაც პრიორიტეტი პიროვნული მრდა და პროფესიული განვითარებაა, უჭირთ გაუგონ მათ, რომლებიც დღევანდელი დღით ცხოვრობენ და მომავალზე ან თვითრეალიზაციაზე ნაკლებად ზრუნავენ.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ადამიანის შეხედულება „მნიშვნელოვნების“ შესახებ განსხვავებულია, ყველა მათგანი რეალური და მართებულია. უბრალოდ „მნიშვნელოვნების“ ცნებას სუბიექტური ხასიათი აქვს. ჩვენ ზოგი რამ დიდად გვეჩვენება, ზოგიც – პაგარად; ჩვენთვის რაღაც უფრო ახლოსაა და რაღაც – შორს; ამგვარ სუბიექტურ აღქმას ადამიანთა ინდივიდუალური განსხვავებულობა განაპირობებს, რაც საფუძვლად უდევს იმას, თუ რისი კეთებით ვიქნებით ბედნიერნი და რა მიაყენებს ზიანს ჩვენს ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ კეთილდღეობას.

თუ თქვენ უკვე გაქვთ რეალური წარმოდგენა იმის შესახებ, რა არის თქვენთვის *მნიშვნელოვანი*, მაშინ ჩათვალეთ, რომ თქვენ ირგვლივ მნიშვნელოვნების შესახებ მილიონობით ისეთი წარმოდგენა არსებობს, რომლებიც თქვენსას არ ჰგავს. სწორედ ამგვარი სხვადასხვაობის განუსაზღვრელი რაოდენობის გამოა კაცობრიობა მრავალფეროვანი და საინტერესო. გემოთ აღწერილი მსჯელობის მიზანი ის კი არ არის, რომ ფიზიკურ თუ მისტიკურ ფილოსოფიაში ჩაგახედოთ, არამედ ის, რომ მრავალფეროვანი არჩევანის ფონზე თქვენთვის მნიშვნელოვანი სამუშაოს პოვნაში დაგეხმაროთ.

თუ გგონიათ, რომ ის, რაც თქვენთვის მნიშვნელოვანია, სულაც არ არის ცალსახად კარგი, გაითვალისწინეთ, რომ ეს თქვენი ინდივიდუალური მოდელია და როგორც არ უნდა იყოს, აუცილებლად დაგეხმარებათ მომავალი პროფესიის უფრო სწორად არჩევაში.

ის, რაც თქვენთვის მნიშვნელოვანია, არ არის აუცილებელი, მუსკად ემთხვეოდეს თქვენს მისწრაფებებსა და ინტერესებს. მნიშვნელოვანი საქმის კეთების მოტივაციას, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად უდევს თვითრეალიზაციისა და თვითგანვითარების მოთხოვნილება. ის, რაც გამოძრავებთ, შესაძლოა, კეთილშობილური მიზნები იყოს, იდეალები, მსოფლიოსათვის სარგებლის მოგანის სურვილი, პირადი

კეთილდღეობისათვის ბრუნვა და ა. შ. მოწყალების ღები ან მოხალისე ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების დიდ ნაწილს უსახლკარო ადამიანების თავშესაფარსა და საკვებზე ბრუნვაში აგარებენ, ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ. არასწორი იქნებოდა თუ ვიგყოდით, რომ ისინი ამ ყველაფერს მხოლოდ საკუთარი თავის რეალიზებისა და განვითარების მიზნით აკეთებენ. მათ ამოდრავებთ სამოგადოების დახმარებისა და კაცობრიობისათვის მსხვერპლის გაღების სურვილი, მაგრამ ეს საქმიანობა სიამოვნებასა და კმაყოფილებას რომ არ ანიჭებდეთ, ისინი აუცილებლად იპოვიდნენ რაიმე უფრო შესაფერის სფეროს.

თქვენი გადასაწყვეტია მიჰყვებით თუ არა თქვენს იდეალებს. თუ გსურთ, უნდა ითამაშოთ ჩოგბურთი, გახდეთ ბალერინა ან აკეთოთ ღვებელები. თუ თვლით, რომ ეს თქვენთვის მიშენელოვანია, ძალიან კარგი! მთავარია, მთელი დარჩენილი ცხოვრება თავი დამნაშავედ არ იგრძნოთ იმის გამო, რომ არ გამოხვედით ექიმი ან მომღერალი. მნიშვნელოვანია ის, რასაც აირჩევთ თქვენ და რაც საუკეთესოა თქვენთვის და არა ის, რასაც სხვები ფიქრობენ თქვენ შესახებ.

პროფორინგაციის მკვლევარი ქრისტიანე იხსენებს:

„რამდენიმე წლის წინ რაღაც არაჩვეულებრივი შევამჩნიე ერთ უბრალო, ასაკოვან ადამიანში, რომელიც ჩემს უბანში ნაგვის გადამზიდ მანქანაზე მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას წვიმაში, ქარსა თუ სიცხეში უწევდა მუშაობა, მოგჯერ ადამიანების მხრიდან უხემ მოპყრობასაც იგანდა, ის მაინც განუსაზღვრელი ერთუბიანებით აღსავსე და ღიმილიანი სახით ეგებებოდა ყველა შემხვედრს. დროთა განმავლობაში ჩემი ცნობისმოყვარეობა ამ შემთხვევის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. ნუთუ მას მოსწონდა ღია ცის ქვეშ მუშაობა? ბუნებრივად ასეთი მხიარული იყო, თუ ცოცხა შეშლილი? ბოლოს, იმისათვის, რომ ამ კითხვებზე პასუხები მეპოვა, თავად მას ვკითხე. მან მიპასუხა, რომ მთელი ცხოვრება ნაგვის გადამზიდვაზე მუშაობდა. როდესაც ახალგაზრდა იყო, ფიქრობდა, რომ ერთ დღესაც დაგოვებდა თავის ნაგვის მანქანას და დაიწყებდა რაიმე ისეთის კეთებას, რაც მის ოცნებებთან იყო ახლოს, მაგრამ ერთ დღესაც გაიღვიძა და გააცნობიერა, რომ უკვე შუა ხნის ასაკს მიაღწია და მთელ დარჩენილ ცხოვრებას ნაგვის გადამზიდ მანქანაზე მუშაობაში გააგარებდა. მაშინ გაიფიქრა, რომ ცხოვრება აღარაფრად უღირდა. მწუხარების ვარკვეული პერიოდის შემდეგ გააცნობიერა, რომ საკუთარი ცხოვრების გაუფასურების განცდა არ იყო გამოწვეული იმით, რომ მთელი ცხოვრება ნაგვის გადამზიდზე მუშაობდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ მას ცხოვრებაში მიზანი არ გააჩნდა. მიხვდა, რომ მხოლოდ მას შეეძლო ცხოვრებისეული მიზნის დასახვა და საკუთარი ყოფისათვის აზრის მინიჭება. მისთვის მნიშვნელოვანი იყო ევრძნო თავი ღირებულ

ადამიანად და არა დასუფთავების სამსახურის უბრალო მუშაკად. მან გადაწყვიტა დარჩენილი ცხოვრება მიედევნა ერთი მიზნისათვის: „შევიგანო სინათლის მცირე სხივი და ღიმილი ყველა იმ ადამიანის ცხოვრებაში, რომელსაც შევხვდები“.

ყოველ ჩვენგანს ცნება „მიზნის“ საკუთარი განსაზღვრება გააჩნია. აქამდე თქვენ მსჯელობისას საკუთარ ინტერპრეტაციებს ეყრდნობოდით, როდესაც ცდილობდით გაგერკვიათ საკუთარი ინტერესები, ფაქტორები, რომლებსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევთ, თუ საქმიანობა, რომელიც ღირებულია თქვენთვის. დასახული მიზნის მიხედვით ცხოვრება კი პრობლემის განსხვავებული მიდგომით განხილვას მოითხოვს. მიზანი არის გარკვეული პრინციპის დაცვის ვალდებულება, რომელიც გაქცევთ ისეთად, როგორც ხართ. ესაა არა ის, რასაც აკეთებთ, არამედ ის, ვინც ხართ. ზემოთ განხილულ შემთხვევაში დასუფთავების სამსახურის მუშაკმა მიზნის დასახვით საკუთარ თავში დაინახა განახლებული „მე“, ახალი პიროვნება, რომელიც ცხოვრობს იმისათვის, რომ სიხარული და ღიმილი აჩუქოს ადამიანებს.

და მაინც, რას ნიშნავს იცხოვრო მიზნის მიხედვით? რა არის ამისათვის საჭირო? მიზნის არსი წვლილის შეგანაში მდგომარეობს. თქვენ იღებთ ვალდებულებას იმ პრინციპის მიმართ, რომელიც თქვენს გარეთ მდებარეობს და ბევრად აღმატებულია თქვენზე. საკუთარ თავს უძღვებით ამ პრინციპს და კისრულობთ მისი დაცვის ვალდებულებას. საბოლოოდ კი ეს თქვენი ცხოვრებისა და არსებობის აზრი ხდება. ადამიანი, რომელიც მიზნად დაისახავს ყოველდღე სიხარული და მზის სხივი შეიგანოს სხვა ადამიანების ცხოვრებაში, არასოდეს დაასრულებს ამ მიზნის შესრულებას. ეს არ არის სამუშაო, რომელიც შეგიძლიათ

იქვეაქტი სიმუშაოს ძიების პროცესში
თავი 8

დაამთავროთ და სახლში წახვიდეთ. სწორედ ამიტომ მიზანი თქვენი ცხოვრების ნაწილი და მათგან იმედი ფაქტორი ხდება. ეს განაპირობებს იმასაც, რომ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისას პასუხს ეძებთ არა საკუთარ გუნება-განწყობილებაში ან შეხედულებებში, არამედ იმ მიზანში, რომელიც ცხოვრებაში დაისახეთ. ზემოთ მოხსენიებულ მოხუცსაც გააჩნდა საკუთარი ხასიათი, რომელიც, შესაძლოა, ყოველთვის მხიარული და ხალისიანი არ ყოფილიყო, მაგრამ ის ხელმძღვანელობდა არა გუნება-განწყობილებით, არამედ მიზნით.

რასაკვირველია, მიზანი, რომელიც უნდა დაისახოთ „ციდან არ ჩამოვარდება“ და მას ვერც საღმრთო იპოვით. ერთადერთი გზა საკუთარი ცხოვრების მიზნის თავად არჩევაა. ბევრი ფიქრობს, რომ ადამიანი განსაზღვრული მიზნით იბადება, რომელიც შემდგომ თავად უნდა აღმოაჩინოს. ისინი ეძებენ კიდევ საკუთარ თავში მას, თუმცა თუ თქვენ „თანდაყოლილი“ მიზანი ვერ აღმოაჩინეთ, შეგიძლიათ თავად შექმნათ ის.

თქვენ შეგიძლიათ დაისახოთ მიზანი ცხოვრების ნებისმიერი სფეროსათვის. შეიძლება თქვენი მიზანი უკავშირდებოდეს თავისუფალ დროს, ვარჯიშს, პიროვნულ მრდას, მეგობრების შეძენას, ქორწინებას და ა. შ. იმისათვის, რომ მიზანი დაისახოთ და მთელი თქვენი ცხოვრება და საქმიანობა მას მიუძღვნათ, აუცილებელი არაა განდი ან დედა ტერეზა იყოთ, შეიძლება ეს მიზანი იყოს რაიმე ამაღლებული, მაგალითად, სამართლიანობის დაცვისათვის ან მსოფლიოში შიმშილის არარსებობისათვის მრუნვა, ან სრულიად ჩვეულებრივი, რომელიც მხოლოდ თქვენ გიკავშირდებათ. მაგალითად, უამრავი ადამიანი ცხოვრობს მიზნით, კარგად აღზარდოს შვილები, ბევრი რამ ასწავლოს მათ ან უბრალოდ იმრუნოს იმისათვის, რომ შეიქმნას უკეთესი საცხოვრებელი გარემო. იმისათვის, რომ გაგაჩნდეთ მიზანი, არ არის საჭირო მიჰყევით აღმაგებულ

იდეალებს. მზალ უნდა იყოს და ეცალოთ იცხოვროთ ისეთი ცხოვრებით, რომელსაც მხოლოდ თქვენი მოთხოვნილებები და სურვილები არ განსაზღვრავს. როდესაც საკუთარი თავის შეცნობისა და არჩევანის გაკეთებისას შექმნით მიზანს, ჩაიხედავთ არა მხოლოდ საკუთარ პიროვნულ მახასიათებლებში, არამედ იმ მიზნისადმი ვალდებულებაშიც, რომელიც დაისახეთ. თქვენი მიზანი მსხვერპლის გაღების სანაცვლოდ თვითგანვითარებისა და რეალიზების განცლით დაგაჯილდოვებთ.

ერთი შეხედვით არაჩვეულებრივი იქნება, თუ შეძლებთ იმის კეთებას, რაც გაინგერესებთ და მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ. ადამიანთა უმრავლესობა ცდილობს სრულად გამოხატოს თავი სამუშაოში. თუმცა იპოვო პროფესია და იმუშაო საკუთარი მიზნის შესაბამისად ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ საინგერესო და მნიშვნელოვანი. იპოვით რა საკუთარ მიზანს, სრულიად ახლებულად შეხედავთ საკუთარ პიროვნებას და პროფესიას, რომელსაც აირჩევთ, იქნება საშუალება იმისა, რომ გამოხატოთ არა მარტო საკუთარი ინგერესები და ღირებულებები, არამედ ემსახუროთ საკუთარ მიზანსა და პრინციპებს. ამასთან, მიზანი დაგეხმარებათ მიაღწიოთ ყველაფერს, რაზეც გიოცნებიათ. როდესაც თქვენი გონება და მოქმედება ფოკუსირებულია მიზნის მიღწევაზე, გამოსავალს ჩვეულების საზღვრებს მიღმა ეძებთ, თქვენ აკეთებთ იმას, რაც შედეგიანია – თქვენი სურვილი უბრალოდ სურვილად არ რჩება. დაისახეთ მიზანი და თქვენთვის აღარაფერი იქნება შეუძლებელი.

„როდესაც თქვენ შთაგონებული ხართ რაიმე დიადი და არაჩვეულებრივი მიზნით, თქვენი გონება არღვევს საზღვრებს: თქვენს ამროვნებას აღარ გააჩნია ლიმიტი, ცნობიერება ფართოვდება ყველა მიმართულებით და თქვენ ხედავთ ახალ, დიად და საოცარ სამყაროს. თქვენი უმოქმედოდ მყოფი ძალები, მიძინებული ნიჭი იღვიძებს და აღმოაჩენთ საკუთარ თავს უფრო დიად ადამიანად, ვიდრე ოდესმე გიოცნებიათ“.

პაგანჯალი – ინდოელი სწავლული, იოგას სკოლის (დარშანის) ფუძემდებელი.

დაიწყეთ საკუთარი თავის შეცნობით

როგორც უკვე აღინიშნა, პროფესიული წარმატების საილუმლო მდგომარეობს იმაში, რომ აკეთოთ ის საქმე, რომელსაც თქვენთვის კმაყოფილება მოაქვს. ადამიანთა მცირე ნაწილი ცხოვრების დასაწყისშივე ამოხსნის ხოლმე ამ საილუმლოს მაშინ, როცა უმრავლესობას ფსიქოლოგიური ბრძოლის გადაგანა უწევს: ჩვენ შესაძლებლობების, ვალდებულებებისა (რასაც სხვები გვაწერენ) და რეალური სურვილების ფარგლებში ვვითარდებით. მნიშვნელოვანია კონცენცირირება მოახდინოთ იმაზე, თუ ვინ ხართ სინამდვილეში და ყველაფერი დალაგდება.

პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტებისათვის უკვე დიდი ხანია ცნობილია ის ფაქტი, რომ გარკვეული ტიპის ადამიანები სხვებზე უკეთ უმკლავდებიან განსაზღვრული

ტიპის მოვალეობებს. ადამიანის ბუნებისა და შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის შესაგვესობა უადრესად მნიშვნელოვანია. სამწუხაროა, რომ გრადიციული მიდგომით მხედველობაში არ იღებენ რიგ ფაქტორებს. გრადიციულ ანალიზში მხოლოდ „ღიდი სამეული“ განიხილება: შესაძლებლობები, ინგერესები, ღირებულებები. თუმცა ბუნებრივია, იმისათვის, რომ წარმატებით ვიმუშაოთ, გარკვეულ უნარებსაც უნდა ვფლობდეთ. თუ სამუშაო გაინგერესებთ, ესეც ძალიან დაგეხმარებათ. მნიშვნელოვანია მოგწონდეთ ის, რასაც აკეთებთ სამსახურში. თუმცა ეს არ არის საკმარისი სრული სურათის მისაღებად. პიროვნებას გააჩნია სხვა განზომილებებიც, რომლებიც მხედველობაში უნდა მიიღოთ. როგორც წესი, რაც უფრო მეტად შეესაბამება თქვენი პიროვნული მახასიათებლები თქვენს სამუშაოს, მით უფრო მეტ კმაყოფილებას განიჭებთ პროფესიას.

სამუშაოს შესაგვესობა ბევრი ისეთი ფაქტორის გათვალისწინებას მოთხოვს, როგორებიცაა: რამდენად გაძლევთ სტიმულს სხვა ადამიანებთან ერთად მუშაობა და საერთოდ შეგიძლიათ თუ არა ეს; როდის შეასრულებთ უკეთესად თქვენს მოვალეობას, როდესაც მცირე ჯგუფთან ერთად იმუშავებთ, თუ განმარტოებით, დამოუკიდებლად; რა ტიპის ინფორმაციის გათავისება/გადამუშავება გესაჭიროებათ სამუშაო პროცესში და რა გამოვლით უკეთ; როგორ იღებთ გადაწყვეტილებას; ცხოვრების თავისუფალ სტილს ანიჭებთ უპირატესობას, თუ მოწესრიგებულ რიგს; პასუხები ამ კითხვებზე განხვავებული პიროვნული ტიპებისათვის განსხვავებული იქნება.

არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რაც ამტკიცებს, რომ პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული საკითხებისადმი გრადიციული მიდგომა არასაკმარისია. „ღიდი სამეულის“ ყველა კომპონენტი (შესაძლებლობები, ინგერესები, ღირებულებები) ასაკის მაგებასთან ერთად ცვლილებას

იდეალური სიმუშაოს ძიების პროცესში
თავი 8
195

განიცდის. სამუშაო გამოცდილების გაზრდასთან ერთად, თქვენი ცოდნაც სულ უფრო და უფრო მრავალმხრივი ხდება. წლების შემდეგ, შესაძლოა, გაგიჩნდეთ სხვა ინტერესები და დაივიწყოთ ის, რაც ადრე გაინტერესებდათ. შეიძლება განვითარების ყოველ ეტაპზე ხელახლა იპოვოთ საკუთარი თავი და, შესაბამისად, ბევრჯერ შეიცვალოთ სამუშაო ადგილი. თუმცა, შეიძლება სწორი არჩევანი კარიერის დასაწყისშივე გააკეთოთ და პროფესიის არჩევასა დაყრდნობით იმას, რაც რეალურად ხართ (და მომავალშიც იქნებით).

შემთხვევათა ანალიზი

ალექსი

39 წლის ალექსი ექიმ თერაპევტად მუშაობდა ქალაქის გარეუბანში. მის ოჯახში თავიდანვე ივარაუდებოდა, რომ ალექსი ოჯახურ გრადიციას გააგრძელებდა და ექიმი გახდებოდა. თორმეცწლიანი სწავლის განმავლობაში მას ერთხელაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ საკუთარი პროფესიული არჩევანი. თუმცა ხუთწლიანი პრაქტიკული საქმიანობის შემდეგ სამწუხარო დასკვნა გააკეთა – ის ექიმი ვერ იქნება. უფრო მეტიც, მისთვის ამჟამად გახდა, რომ არასოდეს სურდა ექიმობა.

პრობლემა, რომელსაც ალექსი წააწყდა, საკმაოდ გავრცელებულია. შეეკითხეთ თქვენს ნაცნობებს: „რომ შეგეძლოთ, დაკავდეთ ნებისმიერი პროფესიით, რომელს აირჩევდით?“ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გამოკითხულთა ნახევარი მაინც იმ პროფესიას დაასახელებს, რომელიც ამჟამად მისი საქმიანობის სფეროს არ წარმოადგენს.

ბევრ ჩვენგანს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მაშინ უწევს, როცა ამისათვის საერთოდ არ არის მზად. იმ გადაწყვეტილებებს კი, რომლებსაც ახალგაზრდობაში ვიღებთ, თან მოვლენათა მთელი ჯაჭვი მოჰყვება, რომლებიც შემდგომ მთელ დარჩენილ ცხოვრებას განსაზღვრავს. ახალგაზრდა ასაკში თითქმის არ გავგაჩნია საკმარისი გამოცდილება, თუმცა სხვადასხვა იდეალისტურ წარმოდგენაზე დაყრდნობით დარწმუნებით ვიღებთ გადაწყვეტილებებს, ვიქცევით დაუფიქრებლად და არ ვითვალისწინებთ შესაძლო შედეგებს. ამ ასაკში ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმარისი ცხოვრებისეული გამოცდილება, ვართ გელმეგად მგრძნობიარენი, გელმიწვენით მივყვებით მშობლების, მასწავლებლების, მეგობრების რჩევებს. ასე რომ, არ არის ვასაკვირი – ბევრი ადამიანი მისთვის შეუფერებელ პროფესიას ირჩევს.

იპოვეთ იდეალური სამუშაო

იდეალური სამუშაოს მოძიება საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა. ამისათვის დაგჭირდებათ საკმაოდ კარგად დაფიქრება და, სავარაუდოდ, სხვების დახმარებაც. აუცილებელია გქონდეთ სრული ინფორმაცია იმ სამუშაოების შესახებ, რომლებიც ყველაზე მეტად გაინტერესებთ. ამასთან, უკვე კარგად უნდა იცნობდეთ საკუთარ პიროვნებას, უნარებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს, ღირებულებებსა და სხვა იმ ფაქტორებს, რომელთა შესახებაც სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში ვილაპარაკეთ. იქნებ თქვენ ძალიან გაინტერესებთ რომელიმე პროფესიას, მაგრამ არ გავაჩნიათ რესურსი იმისა, რომ ამ საქმიანობით წარმატებას მიაღწიოთ. ხშირად ადამიანები არ ითვალისწინებენ ამ ფაქტორს, რის გამოც კარგავენ დროს, რომელიც, შესაძლოა, უფრო

იდეალური სამუშაოს მოძიების პროცესში

ეფექტიანად გამოეყენებინათ. აუცილებელია მოიპოვოთ საკმაო ინფორმაცია სხვადასხვა სამუშაოს შესახებ, რათა შეძლოთ დაინახოთ, რომელი მათგანი აკმაყოფილებს თქვენს პრიორიტეტებს და რომელ მათგანს შეესაბამებით ყველაზე მეტად. თუმცა პროფესიის მახასიათებლების ცოდნის მიუხედავად ადამიანებს მაინც უჭირთ არჩევანის გაკეთება. მრავალმხრივი ინტერესების არსებობის შემთხვევაშია განსაკუთრებით რთული აირჩიოთ ის ერთადერთი საქმიანობა, რომელსაც მთელი თქვენი ცხოვრება უნდა მიუძღვნათ.

ადამიანთა უმრავლესობა კარიერის არჩევისას არ აანალიზებს არსებულ ალტერნატივებს და ხშირად გადაწყვეტილებას იღებს ინტუიციურად, სხვების რჩევით, გაუაზრებლად ან იმ განათლებასა და გრენინგებზე დაყრდნობით, რომლებიც მიღებული და გავლილი აქვთ. შედეგად კი ადამიანს მთელი ცხოვრება იმ საქმის კეთება უწევს, რომელიც არ აინტერესებს. ყველაზე დიდი შეცდომა, რომელსაც ადამიანები კარიერის არჩევის პროცესში უშვებენ, არის ის, რომ ისინი არ ცდილობენ ამა თუ იმ პროფესიისა თუ სამუშაოს შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიებას. ხშირად ისინი მხოლოდ სამუშაოს შესახებ თავიანთი წარმოდგენებით მსჯელობენ, რომლებიც ხშირად მცდარია. კარიერული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანთა დიდი ნაწილი აღმოაჩენს ხოლმე, რომ გააკეთა არასწორი არჩევანი და ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელიც რეალურად არ აინტერესებს.

სამუშაოს მიზნები ფოკუსირებულია იმაზე, რომ დასაქმებულმა სამუშაო ორგანიზაციისათვის შეასრულოს, იდეალური სამუშაოს განმარტება კი ნაწილობრივ ემთხვევა გამოთქმულ მოსაზრებას იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მომუშავე აკეთებს იმას, რაც მას სიამოვნებს და სამუშაოსგან იღებს ყველაფერს, რისი მიღებაც სურს. კარგი ანამბლაურება, მოქნილი გრაფიკი,

სასიამოვნო სამუშაო გარემო, დასვენების შესაძლებლობა, უნარების განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა, კარგი სამუშაო გუნდი – ეს არის იდეალური სამუშაოს მახასიათებლების არასრული ჩამონათვალი.

კარიერული არჩევანის გაკეთებისას ადამიანები ხშირად იღებენ არასწორ გადაწყვეტილებებს იმის გამო, რომ ბუნდოვანი ან არასწორი წარმოდგენა აქვთ მათთვის სასურველი პროფესიისა თუ სამუშაოს შესახებ. ისინი ირჩევენ პროფესიას მისი მიმზიდველობისა თუ სხვა გარეგნული მახასიათებლების მიხედვით, თუმცა არ იციან რეალურად რას მოიცავს ეს სამუშაო, რისი შესრულება უწევს ადამიანს და რა პასუხისმგებლობებს გულისხმობს ეს პროფესია. ამის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია კარიერული გადაწყვეტილების მიღებისას სამუშაოს აღწერილობებს დაეყრდნოთ, რომლებშიც მოცემულია დეტალური ინფორმაცია სამუშაოს შესახებ: მოვალეობები, პასუხისმგებლობები, შესასრულებელი დავალებები და აქტივობები, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია სამუშაოს კარგად შესასრულებლად; ამასთანავე, საჭიროა გაითვალისწინოთ, რა დიაპაზონში მერყეობს ამ პროფესიის წარმომადგენელთა ანაზღაურება, განვითარების რა შესაძლებლობები გაქვთ მომავალში, ხელმისაწვდომია თუ არა სამუშაო ადგილები და ა. შ. კარიერის არჩევისას ადამიანები ეყრდნობიან მცირე ინფორმაციას, მაგალითად, მხოლოდ სამუშაოს სახელწოდებას და არა სამუშაოს შინაარსს, ორგანიზაციის გიჟს, სამუშაო გარემოსა და ა. შ. სწორედ ეს უღევს საფუძვლად არასწორ პროფესიულ არჩევანს. ახალგაზრდა ასაკში ხშირად თქვენთვის საოცნებო და სასურველი ხდება ესა თუ ის პროფესია ამ პროფესიის ადამიანთა იმიჯის, პოპულარობისა თუ წარმატების გამო და არა იმიტომ, რომ თვით ამ

იდეალური სამუშაოს ძიების პროცესში
თავი 8

საქმიანობის შინაარსი მოგწონთ. თქვენ ხელავთ ცნობილ მსახიობებს, პატივსაცემ და დაფასებულ თეთრხალათიან ექიმებს, პოპულარულ მომღერლებსა თუ ჟურნალისტებს და გსურთ მომავალში მათ დაემსგავსოთ. რეალურად კი, დიდი ალბათობით, თქვენი პიროვნული მახასიათებლები, უნარ-შესაძლებლობები თუ ინტერესები სრულიად სხვა პროფესიის შესაბამისია, რომელიც ბევრად უფრო დიდ წარმატებას მოგიტანთ, ვიდრე რომელიმე სხვა.

პროფესიის წარმატებით არჩევა მოიცავს ბევრად მეტი ინფორმაციის გაანალიზებას, ვიდრე მხოლოდ სამუშაოს სახელწოდება და გარეგნული მიმზიდველობაა. ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანს ერთდროულად რამდენიმე ინტერესი აქვს და უჭირს მათ შორის არჩევანის გაკეთება. მაგალითად, რა გადაწყვეტილებას მიიღებთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ კარგად ერკვევით მათემატიკაში, მაგრამ, ამავედროულად, გაინტერესებთ ხელოვნება? ან იმ შემთხვევაში, თუკი კარგად გამოგდით ტექნიკის შეკეთება და, ამასთანავე, თქვენთვის არანაკლებ საინტერესოა გაყიდვების სფერო? ამ შემთხვევაში იდეალური გამოსავალია, თუ იპოვით ისეთ სამუშაოს, რომელიც ორივე სახის ინტერესის გაერთიანებას შეძლებს. სწორედ ამიტომ პროფესიის არჩევისას საჭიროა ადამიანი ჩასწვდეს საკუთარ ინტერესებს და გაანალიზოს, რომელი მათგანია მისთვის პრიორიტეტული და რა მიმართულებით სურს ცოდნის გაღრმავება. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ისეთი პროფესიის პოვნა, რომელიც თქვენი ინტერესების სრულად დაკმაყოფილებას შეძლებს.

მიიღეთ სამუშაოსაგან უფრო მეტი, ვიდრე ანაზღაურებაა

ბევრი თქვენგანი ალბათ ფიქრობს, რომ მუშაობა აუცილებელია მხოლოდ იმისათვის, რომ გამოიმუშავოთ გარკვეული ჯილდო ანაზღაურების სახით, რაც მნიშვნელოვანია სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად – საკვებისათვის, განსაცმლისათვის და ა. შ. თუმცა სამუშაო ასევე გაჯილდოვებთ საკუთარი თავის პატივისცემით, წახალისებით, ძალაუფლებით, დაწინაურებით, ახალი მეგობრებით, საკუთარი უნარების რეალიზებით, მიღწევით, შემოქმედებითობით, მხიარულებით, თავისუფლებით და ა. შ.

დღეს კარიერის არჩევის პირველივე ეტაპიდან ადამიანები პროფესიის ორ ასპექტს ითვალისწინებენ: სამუშაოს შინაარსი და სამუშაოს შესრულების შედეგად მიღებული სიამოვნება. არიან ადამიანები, რომლებიც სამუშაოსაგან მხოლოდ მაგერიალურ სარგებელს მოელიან, თუმცა ჩაგარებული კვლევების უმრავლესობა ცხადყოფს, რომ შრომით კმაყოფილებას მხოლოდ ანაზღაურება არ განსაზღვრავს. სამუშაოს სხვა მახასიათებლები უფრო მეტად განაპირობებს იმას, მოგანიჭებთ თუ არა ბედნიერებას პროფესიული საქმიანობა. ამასთანავე, კვლევებით დგინდება, რომ მაღალი ანაზღაურების მქონე ადამიანების ნახევარზე მეტი ვერ იღებდა სიამოვნებას საკუთარი სამუშაოსაგან. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მაღალანაზღაურებადი სამუშაო ყოველთვის არასასიამოვნოა.

კვლევის შედეგები უბრალოდ იმაზე მიუთითებს, რომ სამუშაოთი კმაყოფილების მოსაპოვებლად მხოლოდ მაღალი ანაზღაურება არ არის საკმარისი.

აღამიანები სამუშაოთი კმაყოფილებას ინდივიდუალურად, განსხვავებული კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ. უმეტესი მათგანისათვის მნიშვნელოვანია სამუშაოს შინაარსი, მისი საზოგადოებრივი ღირებულება და დანიშნულება, სამუშაო გუნდი და ა. შ. უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენი მომავალი კმაყოფილების უზრუნველყოფა ნაწილობრივ კარიერის დასაწყისშივე შეგიძლიათ. ამისათვის საჭიროა გააკეთოთ სწორი არჩევანი და აირჩიოთ ისეთი პროფესია, რომლის შესრულებისათვის საკმარისი უნარები გაგაჩნიათ და რომელიც თქვენს მისწრაფებებს მაქსიმალურად უპასუხებს.

ერთ-ერთმა ამერიკულმა კვლევითმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა შედეგები, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა 80% მიიჩნევდა, რომ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის კარგი დაზღვევისა და სხვა ისეთი პრივილეგიების არსებობა, რომლებსაც ორგანიზაცია თანამშრომლებს სთავაზობს; გამოკითხულთა 78% ამბობს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია სამუშაოს შინაარსი; ამავე კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ აღამიანებისათვის მნიშვნელოვანია სამუშაო უქმნიდეთ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შეგრძნებას, უზრუნველყოფილი იყვნენ უქმე ღლებითა და შვებულებებით, ჰქონდეთ დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება და თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობა. მაღალ ანაზღაურებას პრიორიტეტულად გამოკითხულთა მხოლოდ 56% აღიქვამს.

ზემთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინება პროფესიული გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანია. ამასთანავე, უმჯობესია, თუ აღამიანი თავიდანვე განსაზღვრავს, რა არის მისთვის ყველაზე მეტად პრიორიტეტული, მაგალითად, საინტერესო სამუშაო თუ მუშაობის პროცესში აღამიანებთან მუშაობის

შესაძლებლობა; მოქნილი სამუშაო გრაფიკი თუ სტრესული, დატვირთული სამუშაო დღე; მოწესრიგებული სამუშაო გარემო თუ შენობის გარეთ მუშაობის შესაძლებლობა; ხშირი მივლინებები და მოგზაურობა თუ მუდმივად ერთ ოფისში მუშაობა; სრული ავგონომია სამუშაო დავალებების შესრულების პროცესში თუ სხვის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა; მრავალფეროვანი სამუშაო თუ ერთფეროვანი დავალებები და ა. შ. უნდა გაითვალისწინოთ, აგრეთვე, შრომის ბაზრის მოთხოვნები. თუ გსურთ დაიწყოთ მუშაობა და მთელი ცხოვრება უმრუნველყოფილი იყოთ სტაბილური და უსაფრთხო სამსახურით, ნუ აირჩევთ პროფესიას, რომელიც, შესაძლოა, რამდენიმე წლის შემდეგ აღარ იყოს აქტუალური და მოთხოვნადი. ამასთან, პროფესიის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში არ დაივიწყოთ საკუთარი ინტერესები და მიდრეკილებები.

თუ თქვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაოსთან დაკავშირებულ ისეთ ღირებულებას, როგორც ხელფასია, მაშინ ეცადეთ აირჩიოთ მაღალანაზღაურებადი პროფესია. მაგრამ ის სამუშაო, რომელიც სრულიად იდეალური იქნება თქვენთვის, შემოგთავაზებთ ბევრად უფრო ღირებულ ჯილდოს, ვიდრე მხოლოდ ხელფასია. ის უნდა ეთანხმებოდეს თქვენს გარეგან (როგორებიცაა შემოსავალი და სტაბილურობა) და შინაგან (როგორებიცაა მიღწევის განცდა და მაღალი თვითშეფასება) შრომით ღირებულებებს. სამუშაოსაგან მიღებული ყველაზე ფასეული ჯილდო სულაც არ არის ის, რასაც სამოგადოება მიიხნევს მნიშვნელოვნად და არც ის, რასაც ორგანიზაციები მიიხნევენ მიმზიდველად. *ფასეულია ის, რაც თქვენთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი.* სამუშაოსაგან მიღებულ ჯილდოს თითოეული ადამიანი განსხვავებულად აღიქვამს. შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული არჩევანის გერმინებში ღირებულებები და ჯილდო ერთი მონეტის ორი მხარეა. ადეკვატური იქნება

იდეალური სამუშაო
მიიღოს პროფესია
თავი 8
203

თუ ვიგყვით, რომ სამუშაოსაგან ორგვარი „ანაზღაურება“ უნდა მიიღოთ. ერთი, ეს არის ციფრებში გამოხატული ხელფასი, ხოლო მეორე, ესაა იმ ღირებულებების შესრულება, რომლებიც თქვენთვისაა ყველაზე მნიშვნელოვანი. თუ პროფესია ადეკვატურად ვერ აკმაყოფილებს თქვენი წამყვანი ღირებულებებიდან თუნდაც ერთს, მაშინ ანაზღაურების (რაც უნდა მაღალ ციფრებში იყოს ის გამოხატული) მნიშვნელობა და სამუშაოთი კმაყოფილება მკვეთრად მცირდება. მაგალითად, თუ თქვენთვის წამყვან შრომით ღირებულებას წარმოადგენს შესრულებული სამუშაოსათვის პოზიტიური უკუკავშირი, ხოლო ორგანიზაციაში, რომელშიც იმუშავებთ მართვის სტილი წახალისების ნაცვლად, დაშვებული შეცდომებისათვის კრიტიკას მიანიჭებს უპირატესობას, მაშინ ვერ მიიღებთ მუშაობით სიამოვნებას და ხელფასის ოდენობის მიუხედავად კმაყოფილიც ვერ იქნებით.

სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ იდეალური კარიერის განსაზღვრისას

უკვე განვიხილეთ ის ძირითადი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კარიერული გადაწყვეტილების მიღებისას და იდეალური სამუშაოს ძიებისას უნდა გაითვალისწინოთ: უნარ-შესაძლებლობები, ინტერესები და პიროვნული ღირებულებები. ამ ნაწილში ჩვენ მიმოვიხილავთ პროფესიასთან დაკავშირებულ დამატებით ასპექტებს, რომლებიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კარიერული გადაწყვეტილების მიღებისას. ესენია:

- სასურველი ანაზღაურება;
- პასუხისმგებლობის დონე;
- სამუშაოს მდებარეობა;

- სპეციალური ცოდნა;
- სამუშაო გარემო;
- ადამიანები, რომლებთან ერთადაც გასურთ მუშაობა.

კარიერული არჩევანის გაკეთებისას ამ ფაქტორების გათვალისწინება გაგიაღვილებთ ყურადღება გაამახვილოთ საკვანძო საკითხებზე და მათზე დაყრდნობით გააკეთოთ არჩევანი.

თქვენთვის სასურველი ანაზღაურება

უკვე ვისაუბრეთ, რომ ხელფასი არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანისათვის, ის ვერ ქმნის შრომითი კმაყოფილების გარანტიას. თუმცაღა შემოსავალი არც ისე უმნიშვნელო ფაქტორია. ადამიანთა უმეტესობა ანაზღაურებას მეორადი მნიშვნელობის ფაქტორად განიხილავს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამსახურს იცვლის და რამდენიმე სამუშაოს შორის არჩევანის გაკეთება უწევს.

შეიძლება უკვე ბევრი ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ფული არ არის მნიშვნელოვანი ადამიანებისათვის, თუმცა არც ასეა საქმე. ანაზღაურება მნიშვნელოვანი კომპონენტია მაშინ, როდესაც მუშაობას იწყებთ ან როდესაც აქცენტს სამუშაოს არჩევისა და მუშაობის დაწყების აუცილებლობაზე აკეთებთ. ყურადღას დასაძლავია თქვენი პროფესიული არჩევანი (ან პროფესიები, რომლებიც მოგწონთ) განიხილოთ კომპენსაციის სამართლიანობის გერმინებში. თუ ინფორმაციის მოძიების საფუძველზე აღმოაჩინეთ, რომ მოცემული პროფესია, უმეტეს შემთხვევაში, უსამართლოდ დაბალ ანაზღაურებას სთავაზობს დასაქმებულებს (მაგალითად, ინფორმაციული წყაროებიდან უმრავლესობა გეუბნებათ, რომ ექიმებს

დაბალი ხელფასები აქვთ), შეიძლება ამან გარკვეული პრობლემები გამოიწვიოს. ანაზღაურების სამართლიანი სისტემა ადამიანებისათვის მაშინაა მნიშვნელოვანი, როდესაც ისინი გაწეული შრომის შესაბამისი ანაზღაურების მიღებას ითხოვენ. როდესაც მომუშავე აკეთებს ბევრ საქმეს და ამის სანაცვლოდ იღებს მცირე ანაზღაურებას, იკლებს შრომითი მოტივაცია. შესაბამისად, იკლებს თქვენი დაინტერესებისა და მოწონების ხარისხი მსგავსი პროფესიების მიმართ (მაგალითად, შეიძლება ამგვარი ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვიტოთ, რომ აღარ გსურთ ექიმობა). მიუხედავად ამისა, კარგად დაფიქრდით იმ საკითხზე, თუ თქვენი ღირებულებებიდან რა წილი მოდის ანაზღაურების ფაქტორზე. თუ თვლით, რომ გულწრფელად გაინტერესებთ რომელიმე საქმიანობა, ნუ გაღაღებთ გვერდზე მის განხილვას მხოლოდ შესაძლო დაბალი ანაზღაურების გამო.

შეეცადეთ თითოეული პროფესიისათვის კომპლექსურად, სხვა დანარჩენ ფაქტორებთან ერთად განიხილოთ სასურველი ანაზღაურების დიაპაზონიც. ამ გზით თავიდან აიცილებთ შეცდომებს, რომლებიც მთელს თქვენს მომავალ ცხოვრებას უკავშირდება.

პასუხისმგებლობის სასურველი დონე

პასუხისმგებლობის მაღალი დონე ხშირად ადამიანების ხელმძღვანელობასა და ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას მოიცავს, რომლებიც გავლენას ახდენს სხვა ადამიანებისა თუ ორგანიზაციის მუშაობაზე. შესაძლოა ფიქრობთ, რომ რაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ მომავალ სამსახურში,

მით უფრო მაღალი იქნება თქვენი ანაზღაურება. თუმცა პასუხისმგებლობის დონე ყოველთვის არ განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას. ამასთან, საპასუხისმგებლო პროფესია, ხშირად, ანაზღაურებისა და დასაქმების შესაძლებლობების მიუხედავად ხდება ხოლმე მამოტივირებელი ადამიანებისათვის. ეს ეფუძნება იმ ფაქტს, რომ პასუხისმგებლობის აღება იმთავითვე მაღალ თვითშეფასებასთან, პატივისცემასა და მიღწევის განცდასთან ასოცირდება. გასათვალისწინებელია ისიც, თუ პასუხისმგებლობის რა დონეს უკავშირებთ თითოეულ პროფესიას. დასვენა საკუთარი აღქმებისა და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა გააკეთოთ. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ აირჩიოთ საპასუხისმგებლო პროფესია, დაფიქრდით იმაზეც, რა გიპის ჯილდოს ელით პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების სანაცვლოდ. თუ ბანკის აღმასრულებელი დირექტორი საპასუხისმგებლო სამუშაოს სანაცვლოდ მაღალ ხელფასს იღებს, მედღა, რომელიც არანაკლებ საპასუხისმგებლო სამუშაოს ასრულებს, საპასუხოდ მაღლიერებასა და შინაგან კმაყოფილებას იღებს, როდესაც სხვებს ეხმარება. ასევე უნდა იმსჯელოთ იმ შემთხვევაშიც, თუ ნაკლებ საპასუხისმგებლო პროფესიის არჩევაზე ფიქრობთ. შეიძლება ნაკლები პასუხისმგებლობა ნაკლებ ანაზღაურებასთან ან თვითრეალიზებისა და მიღწევით კმაყოფილების ნაკლებ განცდასთან იყოს დაკავშირებული. ამასთან, პასუხისმგებლობის ის დონე, რომლითაც ადამიანი თვითშეფასების ამაღლებასა თუ საკუთარ მნიშვნელოვნებას იგრძნობს, უკიდურესად ინდივიდუალური და განსხვავებულია თითოეული ადამიანისათვის. ამიგომ აქცენტი პასუხისმგებლობის თქვენთვის სასურველ დონეზე გააკეთეთ და არა იმაზე, თუ რას მიიჩნევენ თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები „კარგად“ ან „ცუდად“.

იმისათვის, რომ მიახლოებით გაერკვეთ რა ღონის პასუხისმგებლობების აღება გსურთ საკუთარ თავზე და რა ღონის პასუხისმგებლობებს უნდა მოიცავდეს თქვენთვის იდეალური სამუშაო, რამდენიმე კითხვას უპასუხეთ:

- მოგწონთ ხელმძღვანელად მუშაობა?
- სხვებზე შედამხედველობა კარგად გამოგლით?
- ჯგუფში მუშაობას ანიჭებთ უპირატესობას?
- დამოუკიდებლად გირჩევნიათ მუშაობა, თუ სხვისი დაქვემდებარების ქვეშ?

პასუხები ამ კითხვებზე დაგეხმარებათ მიხედეთ, შეგეფერებათ თუ არა ისეთი საპასუხისმგებლო სამუშაო, რომელიც ლიდერობასა თუ ხელმძღვანელობას გულისხმობს. თუმცა შეგიძლიათ იმსჯელოთ სხვაგვარადაც – რამდენად ღირებული და საპასუხისმგებლოა ესა თუ ის პროფესია სამოგადოებისათვის. ყურადღება გაამახვილეთ საქმიანობის შესაძლო შედეგზე, პროდუქტზე – ვისთვის შეიძლება იყოს ის მნიშვნელოვანი ან აუცილებელი და გსურთ თუ არა შესაბამისი პასუხისმგებლობა. მაგალითად, პედაგოგის პროფესია, რომელიც არ არის დაკავშირებული მენეჯერულ საქმიანობასთან, არანაკლებ საპასუხისმგებლოა, რადგანაც პედაგოგი მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდასა და განათლებებზე ზრუნავს.

სად გსურთ მდებარეობდეს თქვენთვის იდეალური სამუშაო?

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს კარიერის არჩევანზე, არის სამუშაოს გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა, ანუ ამ სიწყევების პირდაპირი მნიშვნელობით – სად გსურთ მდებარეობდეს თქვენთვის იდეალური სამუშაო. თუ თქვენ გირჩევნიათ იმუშაოთ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობთ, რათა უფრო ახლოს იყოთ ახლობლებთან, მოგწონთ აქ ცხოვრება და არ გინდათ სხვაგან წასვლა, მაშინ დაფიქრდით, რა პროფესიით შეძლებთ დასაქმებას საკუთარ მშობლიურ ქალაქში. შესაძლებელია არსებობდეს ძალიან ბევრი მიზეზი, რის გამოც თქვენ გირჩევნიათ სამსახური იპოვოთ იქ, სადაც ცხოვრობთ, ამიტომ კარგად მოიფიქრეთ, რა სფერო უნდა აირჩიოთ ამ მიზნის მისაღწევად. შესაძლოა სასურველი პროფესიის არჩევისათვის ან პროფესიული განვითარებისათვის მსხვერპლის გადაება მოგიწიოთ – გადახვიდეთ სხვა, უფრო ღიდ ქალაქში და იცხოვროთ ოჯახისაგან მოშორებით. რა თქმა უნდა, არსებობს ბევრი პროფესია, რომლებიც არ მოცემთ მშობლიურ მხარეში განვითარებისა და დასაქმების გარანტიას მაშინ, როდესაც იგივე პროფესიები ძალიან პოპულარული და პერსპექტიულია ღიდ ქალაქში. თუ ამგვარ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ, ეცადეთ შეაფასოთ, რა დადებითი თუ უარყოფითი მხარეები აქვს თითოეულ შესაძლებლობას და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს თქვენს არჩევანს. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეთ, რა არის თქვენთვის უფრო ღირებული და რა შესაძლებლობას გაძლევთ თითოეული პროფესია.

რა სპეციალური ცოდნა შეიძლება გამოიყენოთ პროფესიაში?

პროფესიული არჩევანის გაკეთების პროცესში აუცილებელია გაითვალისწინოთ, რა ცოდნა, განათლება თუ გამოცდილება გაგაჩნიათ და ასევე ისიც, თუ რა ცოდნა, განათლება და გამოცდილებაა საჭირო იმ პროფესიის დასაუფლებლად და წარმატების მისაღწევად, რომელიც მოგწონთ. განსაზღვრეთ, რა დონის ცოდნას უფლობთ და რა ტიპის განათლების მიღებას გეგმავთ მომავალში. ეს დაგეხმარებათ პროფესიის არჩევის სწორ გზას დაადგეთ.

შესაძლოა, კარგად გამოგდით კომპიუტერების შეკეთება, წერა, ნივთების აწყობა, მოხსენებების მომზადება ან კულინარია; გაითვალისწინეთ ნებისმიერი პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა, რომლებიც თქვენს ინტერესებს გამოხატავს. სწორი გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციის უკეთ გაანალიზების მიზნით უმჯობესი იქნება, თუ იმ საკითხებს ჩამოწერთ, რომელთა შესახებაც ცოდნა სკოლიდან, ტრენინგებიდან, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, ფორმალურ თუ არაფორმალურ სიგუაცებიდან მიიღეთ. ეს ინფორმაცია კიდევ უფრო მეტად დაგეხმარებათ პროფესიის მოთხოვნებისა და თქვენი ცოდნის შესაბამისობის გაანალიზებაში.

ფორმალური განათლება, სპეციალური ტრენინგები და სამუშაო გამოცდილება ცალსახად მნიშვნელოვანია პროფესიული არჩევანის გაკეთებისას ან შესაფერისი სამუშაოს ძიებისას, თუმცა, შესაძლებელია, ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღებაში ასევე დაგეხმაროთ თავისუფალი აქტივობების, ჰობის, ოჯახური პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. იმისათვის, რომ განსაზღვროთ რა ცოდნა, ინტერესები და გამოცდილება გსურთ გამოიყენოთ თქვენთვის იდეალურ

სამუშაოზე, გირჩევთ გაიაზროთ ის ცოდნა და გამოცდილება, რომლებსაც სიამოვნებით გამოიყენებდით თქვენთვის იდეალურ სამუშაოზე. თუკი ისინი არსებობს, შეეცადეთ გაითვალისწინოთ ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესები. მაგალითად, თუ თქვენ მენეჯერის პროფესიის არჩევა გსურთ და, ამავდროულად, ღიბანის გაინტერესებთ და გსურთ ამ მიმართულებით გაიაროთ მოსამზადებელი კურსი, შეეცადეთ მოიფიქროთ – რომელი პროფესია ან სამუშაო დააკმაყოფილებს თქვენს ორივე ინტერესს? შეგიძლიათ დაეუფლოთ ორივე პროფესიას და იმუშაოთ ღიბანის სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელშიც ასევე წარმატებით შეძლებთ მენეჯერული ცოდნის გამოყენებას. გახსოვდეთ, ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს გამოსავალი. თუ მოგწონთ რომლიმე პროფესია და თვლით, რომ არ გაგაჩნიათ ამ პროფესიისათვის საჭირო ცოდნა, ნუ დაყრით ფარ-ხმალს. თავდაუზოგავი შრომისა და სწავლის ხარჯზე აუცილებლად მიაღწევთ მიზანს. ცოდნა გამოცდილებასთან ერთად მოდის და თუ გგონიათ, რომ სათანადო უნარი გაგაჩნიათ, აუცილებლად უნდა განივითაროთ ის.

მას შემდეგ, რაც სასურველი პროფესიების შესახებ ინფორმაციას მოიძიებთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ – განათლებისა და ცოდნის რა დონეს ითხოვს თითოეული მათგანი. აუცილებელი არ არის თქვენთვის მიმზიდველი ყველა პროფესია უმაღლეს განათლებას მოითხოვდეს და პირიქით – ნუ გამორიცხავთ საქმიანობებს, რომელთა დასაუფლებლადაც უმაღლესი განათლებაა საჭირო. კარგად შეაფასეთ თქვენი რეალური შესაძლებლობები. თუ კონკრეტული პროფესია სრულიად შეესაბამება თქვენს ინტერესებს, ღირებულებებს, ფასეულობებს, უნარ-შესაძლებლობებს და ა. შ., ყველაფერ იმას, რის შესახებაც არაერთხელ ვისაუბრეთ, უმაღლესი განათლების საჭიროებას დაბრკოლებად ნუ ჩათვლით;

იდეალური სიზმარი
 ბიზნის პროფესია
 თავი 8

ასევე ნუ მიიჩნევთ თქვენთვის შესაგყვის პროფესიას შეუფერებლად მხოლოდ იმის გამო, რომ მისი დაუფლება სპეციალურ პროფესიულ განათლებას მოითხოვს და არა უმაღლესს. თუ თქვენ ან თქვენი ახლობელი ადამიანები მიიჩნევენ, რომ უმაღლესი განათლების მიღება აუცილებელია, ამის გამო ნუ გამოორიცხავთ თქვენი თვალთახედვიდან სპეციალური განათლების მოთხოვნის მქონე ისეთ პროფესიას, რომელიც ძალიან მოგწონთ. შესაძლოა, ამ სპეციალობით ბევრად დიდ წარმატებასა და კეთილდღეობას მიაღწიოთ, ვიდრე სხვა რომელიმე პროფესიით, რომელსაც უნივერსიტეტში სწავლის გზით დაეუფლებით. უპირველეს ყოვლისა, კარგად შეისწავლეთ თითოეული პროფესიის შინაარსი, მოთხოვნები და დრო, რომელიც მისი დაუფლებისათვის დაგჭირდებათ. სათანადოდ შეაფასეთ თქვენი რეალური პერიორიტივები და თითოეულ მათგანს შესაბამისი წონა მიანიჭეთ. ამ გზით უფრო გაგიაღვილდებათ ობიექტური დასკვნის გამოგანა.

როგორი სამუშაო გარემოა თქვენთვის შესაფერისი?

ამ ნაწილში ვისაუბრებთ სამუშაო გარემოს შესახებ, როგორც მისი ზოგადი მნიშვნელობით, ისე იმ კონკრეტულ და მაგერიალურ საკითხებთან დაკავშირებითაც, რომლებსაც ის მოიცავს.

ერთი შეხედვით სამუშაო გარემო არის ადგილი, სივრცე, გერიგორია, სადაც ადამიანი მუშობს. თუმცა უფრო გლობალური თვალსაზრისით, სამუშაო გარემო მოიცავს სამუშაოს შინაარსს, მრავალფეროვნებას, სამუშაო გრაფიკს, სამუშაო დავალებების ტიპს, გამოყენებული

ტექნიკისა თუ ხელსაწყოების ჩამონათვალსა და კიდევ სხვა უამრავ სპეციფიკურ თუ არასპეციფიკურ მახასიათებელს.

ლაფიქრდით, როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი მომავალ პროფესიაში? შეგვიძლია მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი: ზოგიერთ ადამიანს ურჩევნია იმუშაოს უფანჯრო ოთახში, რადგან თავს უფრო კომფორტულად მაშინ გრძნობს, როდესაც მას არაფერია უყურებს. ჩვენ ყველას გვაქვს სურვილები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ სამუშაო გარემოში გვინდა მუშაობა, ზოგიერთი ტიპის გარემო ჩვენთვის მოსაწყენია, ზოგიერთი კი პირიქით, გვართობს და მუშაობის სტიმულს გვაძლევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდები უპირატესობას ამა თუ იმ პროფესიას ხშირად მხოლოდ იმიტომ ანიჭებენ, რომ მოსწონთ მისი სამუშაო გარემო. ბავშვობაში ალბათ ყველას გიოცნებიათ ნაყინის გამყიდველობაზე იმის გამო, რომ ეს ბევრი ნაყინის ჭამის საშუალებას მოგცემდათ. მხოლოდ და მხოლოდ საიგერესო და მოსაწონი სამუშაო გარემოს გამო მოზრდილ ასაკშიც არაერთხელ გამხდარა მიმზიდველი ადამიანებისათვის რადიოწამყვანის, ცურვის ინსტრუქტორისა თუ სტილისტის პროფესიები.

თუ პროფესიის არჩევის ეტაპზე სამუშაო გამოცდილება არა გაქვთ, იმის განსასაზღვრად, როგორ სამუშაო გარემოში იგრძნობთ თავს კომფორტულად, შესაძლებელია სასკოლო ან ცხოვრებისეული გამოცდილება გამოიყენოთ. მაგალითად, განიხილოთ, როგორი სიტუცია იყო სკოლაში თქვენთვის კომფორტული, მომაბებრებელი, გამაღიზიანებელი, სასიამოვნო და ა. შ. საინტერესოა, რომ ბევრი მოსწავლე, რომელთაც არ უყვართ სკოლა და ფიქრობენ, რომ მისი დამთავრების შემდეგ არასოდეს დაბრუნდებიან იქ, მოქნილი სამუშაო გრაფიკის გამო მოგვიანებით პელაგოგის პროფესიას ირჩევენ. ამგვარი არაერთი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ. ახლა კი გაიხსენეთ ყველა ის სიტუაცია და გარემო თქვენ

იდეალური სემინარი
პიუბლიკაციის
თარიღი 8
213

სასკოლო ცხოვრებიდან, რომლებსაც დადებითად ან უარყოფითად დაახასიათებთ. ეს დაგეხმარებათ განსაზღვროთ, როგორი გარემო იქნება თქვენთვის მისაღები სამუშაოზე. ქვემოთ წარმოდგენილია სამუშაო გარემოთა მაგალითები. მართალია, ეს ჩამონათვალი არ არის ყოვლისმომცველი და სრულყოფილი, თუმცა მაინც ღირებულ ინფორმაციას მოგცემთ იმის შესახებ, თუ სამუშაო გარემოს რა მახასიათებლებზე გაამახვილოთ ყურადღება:

- ძალიან ჩუმი/მშვიდი სამუშაო გარემო;
- მრავალფეროვანი სამუშაო ადგილი;
- ფანჯრებიანი სამუშაო ოთახი;
- უპრობლემო პარკირება;
- სამუშაო, რომელიც ითხოვს მოძრაობას;
- ადამიანებზე ორიენტირებული სამუშაო;
- სამუშაო, რომელიც ითხოვს ოფისის გარეთ მუშაობას;
- მცირე ორგანიზაცია.

მიმზიდველობის მიხედვით ჩამოწერეთ სამუშაო გარემოს ის ხუთი სასურველი მახასიათებელი, რომლებიც თქვენთვისაა მნიშვნელოვანი. შედეგად თქვენ მიიღებთ სამუშაო გარემოს იმ წამყვან ხუთეულს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ მომავალი პროფესიის არჩევის დროს. სასურველი სამუშაო გარემოს გათვალისწინება მნიშვნელოვანი ფაქტორია კარიერული გადაწყვეტილების საწყის ეტაპზე, ის თქვენ საშუალებას მოგცემთ მიახლოებით განსაზღვროთ, როგორი გიპის სამუშაოს შესრულებისას მიიღებთ სიამოვნებას. მაგალითად, თუ თქვენ მოგწონთ მუშაობა მშვიდ გარემოში და ვერ ეგუებით ხმაურიან სიტუაციებს, თქვენთვის შეუსაბამო იქნება სამრეწველო დაწესებულებებში (ქარხნები,

საწარმოები და ა. შ.) მუშაობა, სადაც ადამიანების ხმაურს თან ერთვის მანქანა-დანადგარების ხმა; ასევე არაკომფორტული იქნება თქვენთვის ისეთი სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია სამოგადობრივი თავშეყრის ადგილებთან, წვეულებებთან და ა. შ. შესაძლებელია ადამიანისათვის მნიშვნელოვანი იყოს ისეთი სამუშაო, რომელიც ორიენტირებულია ადამიანურ ურთიერთობებზე, ამ შემთხვევაში ბუღალტერია ნაკლებად შესაფერისი სფეროა მისთვის. ზოგიერთ ადამიანს მოსწონს სამუშაოს შესრულება ოფისის გარეთ, ასეთ შემთხვევაში ძნელია დაკმაყოფილდე საკანცელარიო სამუშაოთი, რომელიც ოფისში ჯდომას ითხოვს, თუმცა ნამდვილად შესაფერისი იქნება სავლელე მკვლევრის პოზიცია, რომელსაც მუდმივად სიარული და ხალხთან ურთიერთობა უწევს.

რა გიპის ადამიანებთან ერთად გირჩევენიათ მუშაობა?

ნებისმიერი პროფესია გარკვეულ დონეზე მოითხოვს ადამიანებთან ურთიერთობას. შეიძლება ფიქრობთ, რომ თუ აირჩევთ ისეთ პროფესიას, რომელიც დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას იძლევა, შესაბამისად, სამსახურში არ მოგიწევთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, თუმცა ეს ასე არ არის. სამსახურებრივი საქმიანობის გარკვეულ დონეზე ყველა პროფესია სოციალურ ურთიერთობებს გულისხმობს თანამშრომლებთან, ხელმძღვანელთან, შიდა თუ გარე მომხმარებლებთან და ა. შ. შესაბამისად, შრომით კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს ისიც, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ იმ ურთიერთობებით, რომლებსაც სამსახურში ამყარებთ. ცხადია, პროფესიის არჩევისას სასურველი საქმიანობისათვის დამახასიათებელი სოციალური ურთიერთობების ხასიათის გათვალისწინება აუცილებელი კომპონენტია. თუ ისეთი ხელმძღვანელი

იდეალური სოციალური ურთიერთობის პირობები
თავი 8

გეყოლებათ, რომელიც არ მოგეწონებათ და იმგვარი თანამშრომლები, რომლებთან შეგუებაც გაგიჭირდებათ, ნათელია, რომ სამუშაოს შესრულების პროცესისაგან სიამოვნებას ვერ მიიღებთ. პრობლემების თავიდან ასაცილებლად და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ადამიანმა განსაზღვროს, რა სახის სოციალურ აქტივობას მოიცავს ესა თუ ის პროფესია და მუშაობის პროცესში რა გიპის ადამიანებთან მოგიწევთ ურთიერთობა.

სხვადასხვა პროფესიული სფერო განსხვავებულ სოციალურ ურთიერთობებს მოითხოვს. რასაკვირველია, მომსახურების სფერო და სოციალური პროფესიები ადამიანებთან კონტაქტს უფრო მეტად მოითხოვს, ვიდრე ისეთი კვლევითი დარგები, როგორებიცაა ბიოლოგია, ფიზიკა ანდა პროგრამირება. შეიძლება პროფესია გარე მომხმარებლებთან ურთიერთობას უფრო მეტად გულისხმობდეს, ვიდრე თანამშრომლებთან ან პირიქით, შეიძლება საერთოდ არ გიწვედეთ მომხმარებლებთან ურთიერთობა და სამუშაო თანამშრომლებთან აქტიურ კონტაქტს საჭიროებდეს. პროფესიათა შესახებ ინფორმაციის მოძიების შედეგად გაიგებთ, რომელი საქმიანობა რა პიროვნულ თვისებებს საჭიროებს და რომელ სამუშაო რგოლთან ურთიერთობას მოითხოვს. ამგვარ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა გააანალიზოთ, როგორი გიპის ადამიანებთან მოგიწევთ კონტაქტი კონკრეტული პროფესიის არჩევის შემთხვევაში.

ეცადეთ განსაზღვროთ, როგორი გიპის ადამიანებთან ურთიერთობაა თქვენთვის სასიამოვნო და მისაღები – მაგალითად, ხმაურიან და აქტიურ ადამიანებს უფრო ეგუებით, თუ მშვიდ და გაწონასწორებულ ადამიანებს? შეგიძლიათ დაეყრდნოთ წარსულ გამოცდილებას, რომელიც მიიღეთ სკოლაში, ოჯახში, მეგობრებთან თუ ახლობლებთან ურთიერთობის დროს. გაიაზრეთ ის

პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც არ მოგწონდათ იმ ადამიანებში, რომლებთანაც ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში მოგიწიათ ურთიერთობა. ასევე ჩამოწერეთ ის პიროვნული თვისებები, რომელთა მქონე ადამიანებსაც ადვილად ეგუებით. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, თუ რომელი პროფესიის არჩევის შემთხვევაში გექნებათ ყველაზე მეტი შესაძლებლობა იურთიერთოთ თქვენთვის მისაღები ტიპის ადამიანებთან. ამ ინფორმაციის გათვალისწინება გაგიადვილებთ პროფესიის არჩევასა და გადაწყვეტილების მიღებას. ჩამოწერეთ ყველა პიროვნული მახასიათებელი, რომლებიც მოგწონთ ან არ მოგწონთ ადამიანებში, შემდეგ კი გამოყავით მხოლოდ ხუთი მათგანი, რომლებიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ასევე გახსოვდეთ, რომ არსებობს პროფესიები, რომლებიც მოითხოვს არა მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობას, არამედ ჯგუფში მუშაობას. შეაფასეთ, რამდენად ხართ მზად გუნდური მუშაობისათვის. იქნებ გირჩევნიათ თქვენი საქმე დამოუკიდებლად აკეთოთ? ნებისმიერ შემთხვევაში დეტალური ინფორმაციის მოპოვება და გაანალიზება სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებათ.

ვერაფერს გააწყობთ – თქვენ ასეთი დაიბადეთ!

რადგან სამუშაოს შესაგყვისობა თქვენი პიროვნული ტიპის ყველა კომპონენტზეა დამოკიდებული, ამიტომ გარკვეული დრო დაგჭირდებათ მათ გასაცნობიერებლად და პროფესიული არჩევანის გასაკეთებლად. თქვენ გაცნობიერებულად უნდა ეცადოთ ამოიცნოთ თქვენი „ნამდვილი მე“, კონცენტრირება მოახდინოთ ბუნებისაგან მონიჭებულ თქვენს ძლიერ მხარეებზე და მიდრეკილებებზე, ისწავლოთ მათი იმ საქმეში გამოყენება, რომლისათვისაც მთელი ცხოვრების მიძღვნას აპირებთ.

ყოველი ჩვენგანი ინდივიდუალურია. ინდივიდუალობა თანდაყოლილ ლაქას ჰგავს, რომელიც დაბადებიდან გვაქვს და სიკვდილამდე არ მოგვშორდება. ჩვენ ვიბადებით ამა თუ იმ პიროვნული ტიპით, ვცხოვრობთ მისი გავლენითა და ასეთივენი ვართ სიცოცხლის ბოლომდე.

შეიძლება თქვენ გაიფიქრეთ: „მოიცა, მე ახლა ასეთი ვარ, მაგრამ ხანდახან ხომ საერთოდ არ ვარ ასეთი? განა კონკრეტული სიტუაცია არ ახდენს გავლენას ჩვენი პიროვნების ტიპზე?“

ჩვენი პასუხია: „არა!“

„განსხვავდება თუ არა ჩვენი ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში? – რა თქმა უნდა.“

ყოველ ჩვენგანს გააჩნია ქცევითი მოდელების ფართო სპექტრი. ამის გარეშე უაზრო იქნებოდა ნებისმიერი აქტიური საქმიანობა. ბუნებრივია, რომ სამსახურში ჩვენ ვიქცევით არა ისე, როგორც სახლში; განსხვავებულად ვურთიერთობთ უცნობ ადამიანებთან და მეგობრებთან; თავი განსხვავებულად გვიჭირავს სადღესასწაულო საღამომე და დაკრძალვამე. სწორედ ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ჩვენი ინდივიდუალური პიროვნული ტიპი, არამედ გარემო ფაქტორებიც. მშობლები, ნათესავები, მასწავლებლები, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარემოებები, რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობენ ჩვენი ცხოვრების მიმართულების განსაზღვრაში. და მაინც, ყოველი ჩვენგანი სრულიად განსხვავებული პიროვნული ტიპით იბადება, რომელიც განაპირობებს ჩვენი ქცევის სტილს მთელი ცხოვრების მანძილზე. ასე რომ, ცხოვრებისეული კეთილდღეობის მოსაპოვებლად აუცილებელია მივალწიოთ ჩვენი პიროვნული ტიპისა და გარემო ფაქტორების იდეალურ შესაბამისობას. ეს აქსიომა კი თქვენი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან სფერომეც უნდა გავრცელდეს, როგორცაა თქვენი მომავალი პროფესიული საქმიანობა.

